# რედაქტორისგან

კენ რობინსონი ერთ-ერთი ლექციის დროს „როგორ დავაღწიოთ თავი განათლების სიკვდილის ხეობას“ ასეთ არაჩვეულებრივ ამბავს ჰყვება:

ჩემი საცხოვრებლიდან არც ისე შორს, არის ადგილი, სახელად „სიკვდილის ხეობა“, ეს ყველაზე ცხელი და მშრალი ადგილია ამერიკაში. იქ არაფერი იზრდება, არაფერი იზრდება, რადგან არასდროს წვიმს. 2004 წლის ზამთარში მოულოდნელად იწვიმა ხეობაში, მსხვილი წვეთები ცვიოდა მცირე ხნით. 2005 წლის გაზაფხულზე სასწაული მოხდა: სიკვდილის ხეობის მთელი მიდამო დაიფარა ყვავილებით. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს, რომ „სიკვდილის ხეობა“ არ არის მკვდარი, უბრალოდ, თვლემს. ზუსტად ზედაპირის ქვეშ არის შესაძლებლობების მარცვლები, რომლებიც ელოდებიან შესაბამის პირობებს, რომ გამოჩნდნენ და ორგანული სისტემით თუ პირობები ზუსტია, სიცოცხლე გარადაუვალია, ის ყოველთვის მიმდინარეობს... იღებ ერთ ადგილს: სკოლას, უბანს... ცვლი პირობებს, აძლევ განსხვავებულ საშუალებებს და განსხვავებულ მოლოდინს, სთავაზობ მოქმედების თავისუფლებას, ეხმარები, იყვნენ ინოვაციურები იმაში, რასაც აკეთებენ და სკოლები, რომლებსაც აკლდა ეს, ივსებიან სიცოცხლის წყურვილით.

კენ რობინსონის მიხედვით, ჭეშმარიტი როლი განათლების ლიდერობაში არ არის და არც უნდა იყოს ბრძანება და კონტროლი. ლიდერობის მთავარი როლი არის კლიმატის კონტროლი, შესაძლებლობების კლიმატის შექმნა.

ბენჟამენ ფრანკლინის ამბობდა, რომ მსოფლიოში არსებობს სამი სახის ადამიანი: ის, ვინც უძრაობაშია – ადამიანი, რომელიც ვერ იგებს და არც უნდა გაიგოს; ის ვინც მოძრაობაშია – ვინც ხედავს ცვლილებების საჭიროებას და ის, ვინც ამოძრავებს...

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ ძვირფასო მასწავლებლებო და ვისურვებდი, რომ მეტი ადამიანის წახალისება შევძლოთ, მოძრაობისკენ და ცვლილებებისკენ !

ნატო ინგოროყვა
*მთავარი რედაქტორი*


# მასწავლებელი

N6(43), 2015

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

**ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.**

**პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.**

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

**მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, გიორგი გახელაძე, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** მაია ჯალიაშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თამარ მოსიაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ცვატა ბერძენიშვილი, ნინო ლომიძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ალფაიძე, ირინა სამსონია, ანა ჯანელიძე, თამთა კობახიძე, ანი კოპალიანი, თამთა დოლიძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

## ექსპერტი


**მანანა ბოჭორიშვილი**

8 **ცოდნის მიღება და კვლევითი აქტივობები**

მასწავლებელმა, რომელიც იყენებს კვლევით აქტივობებს, კარგად იცის: კვლევის მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი ასწავლის უფრო ნაკლებს, მოსწავლეები კი სწავლობენ უფრო მეტს.

**ანა ჯანელიძე**

11 **რისკიანი თამაში**

რისკიანი თამაშის საშუალებით ბავშვი შეიცნობს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს, სწავლობს და ეუფლება ახალ უნარებს.

**მაია ფირჩხაძე**

15 **ლოგიკური ამოცანების გამოყენება ისტორიის გაკვეთილზე**

ზოგადად, ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების კანონების შესახებ. შესაბამისად, სწორი, ანუ ლოგიკური აზროვნება იკვლევს და ახარისხებს არგუმენტირებულ განცხადებათა სტრუქტურას, მათ წყობას.

**თამარ მოსიაშვილი**

20 **სიღარიბის გავლენა განათლებაზე**

ამ სტატიის დაწერა ჩემმა ერთმა წარუმატებელმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიკარნახა. წლების წინ მასწავლებელი ვიყავი. ჩემი სკოლა არ მიეკუთვნებოდა ელიტური სკოლების ჯგუფს. სკოლაში სასწავლო პროცესი მოწესრიგებული იყო, კვალიფიციური მასწავლებლები ბევრ საინტერესო ღონისძიებასა თუ გაკვეთილს ატარებდნენ. სკოლაში ერთ-ერთი მთავარი სირთულე რუტინისთვის თავის გართმევაა. ახალბედა პედაგოგი ვიყავი, ახალგაზრდული შემართებით ვცდილობდი, მემუშავა კარგად, მესწავლა მასწავლებლობა და მესწავლებინა ჩემი ბავშვებისთვის.


## მოსაზრება


**მაია ჯალიაშვილი**

4 **სასწავლო მეთოდები და რეალობა**

რთულია, ერთდროულად გააანალიზო ადამიანის რამდენიმე თვისება, ამიტომაც ჩვენ ხშირად ვაერთიანებთ მათ. ამგვარი გაერთიანება კი მცდარი წარმოდგენების წყარო ხდება და ხელს უშლის დაგეგმილი ამოცანებისა და მიზნების შესრულებას.

**ნინო ლომიძე**

36 **ზეპირმეტყველების განმავითარებელი რამდენიმე აქტივობა საშუალო საფეხურისთვის**

კოლეგებს შორის გამოცდილების და მოსაზრებების ურთიერთგაცვლა ცვლილებების საწინდარია. ცვლილებები კი სასიცოცხლოს მნიშვნელოვანია განვითარებისთვის და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

**თეონა ბექიშვილი**

49 **რას მინდა სწავლობდნენ ქართულ სკოლაში**

არავინ დავობს, რომ განათლების მისაღებად კლასიკური გამოცდილების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურის დღევანდელ პროგრამას გადახალისება სჭირდება.

**თამთა დოლიძე**

44 **მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სკოლაში**

გერმანული გამოცემები (Suddeutsche Zeitung, Die Welt) წერენ, რომ მუშაობის პოტენციალი იკლებს, როდესაც ადამიანი განუწყვეტლივ გრძნობს კონტროლს მენეჯერისგან.

**ნესტან რატიანი**

46 **როგორ ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილები**

შეეცადეთ, ისეთი შეკითხვები დასვათ, რომ მოსწავლე პასუხამდე თვითონ მივიდეს ანუ აღმოაჩინოს ის, რაც თავისთავად ცხადია.

# შინაარსი

## რესურსი

ეკატერინე ყიფიანი

25 **ფიზიკური აქტივობა ფსიქიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად**

რა არის კარგი აზროვნება? რა ითვლება მაღალი ინტელექტის განმსაზღვრელად? ბევრი წიგნის წაკითხვა და დამახსოვრება? ცხოვრებისეული გამოცდილება? სივრცეში კარგი ორიენტაციის უნარი თუ სხარტი მათემატიკური აზროვნება?

ნინო კაპანაძე

52 **საგანმანათლებლო სივრცის უწყვეტი პროცესი**

რამდენად დემოკრატიულად და კეთილგანწყობით მივუდგებით მოსწავლეებთან ურთიერთობას, იმდენად გავზრდით სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

## გლობალური განათლება

ანი კოპალიანი

54 **ისინი, ვინც თამაშის წესებს ცვლიან**

საკლასო ოთახებში გატარებული დრო ყველასათვის საერთოა, შედეგი კი _ განსხვავებული. ვფიქრობ, ეს მოდელი უნდა შეიცვალოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომით, რომლის მიზანიც ცოდნის კონკრეტული დონის მიღწევა იქნება, ხოლო საკლასო ოთახში გატარებული დრო კი ყველასთვის განსხვავებული გამოვა

## გამოცდილება

ქეთევან ოსიაშვილი

32 **პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლასთან და სასკოლო სწავლება**

მუდამ გვახსოვდეს აღზრდის ოქროს წესი: ბავშვს ჩვენი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ სჭირდება, როცა ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას.

ცვატა ბერძენიშვილი

39 **მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები**

კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებენ.

მაია ჯალიაშვილი

# სასწავლო მეთოდები და რეალობა

როგორ შეიძლება პედაგოგმა მიაღწიოს წარმატებას? არსებობს კი რაიმე ფორმულა, რომლის გათვალისწინებითაც წინასწარ დაიგეგმება და შემდეგ განხორციელდება ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის განხორციელებას?

ყველამ კარგად იცის, რომ სკოლა რთული და მრავალფეროვანი ორგანიზმია, რომლის მართვა ისევე უნდა განხორციელდეს, როგორც კომპანიისა, რომელსაც ბევრი თანამშრომელი ჰყავს. ამ თვალსაზრისით, სკოლა ნებისმიერ კომპანიაზე რთული სამართავია, რადგან უმრავლესობას შეადგენენ მოსწავლეები, რომელთა განვითარება, ჩამოყალიბება სწორედ სკოლის სივრცეში ხდება. მართვას უნდა ახორციელებდეს არა მხოლოდ დირექტორი, არამედ ყოველი პედაგოგი, მართვის პროცესში კი უნდა მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე მათი მშობლებიც. შესაბამისად, სკოლის წარმატება გულისხმობს ყველას წვლილს ამ საქმეში. თუმცა გამოკვეთილი როლი სწავლების რთულსა და მრავალმნიშვნელოვან პროცესში მასწავლებელს აქვს. სწორედ იგია ერთგვარი საყრდენი იმ მრავალკომპონენტიანი მექანიზმისა, სკოლა რომ ჰქვია. მასწავლებლის პროფესიონალიზმის, მუხტისა და ენერგიის, ენთუზიაზმის გარეშე წარმოუდგენელია მწყობრი და სისტემური განვითარება საგანმანათლებლო პრაქტიკისა.

პედაგოგები ყოველდღიური საქმიანობით, პედაგოგიკის დარგში ნაშრომების გაცნობით, სხვადასხვა ტრენინგზე მონაწილეობით, წარსულისა და თანამედროვეობის გამოცდილებათა შედარებით, ანალიზითა და კლასიფიკაციით უნდა ცდილობდნენ, ახსნან სწავლების წარმატების საიდუმლეზანი. თუმცა არც ერთ საქმეში, მათ შორის არც სწავლების სფეროში, არ არსებობს მზა რეცეპტები, მაგიური ფორმულები, რომელთა დაუფლებაც პედაგოგს წარმატების გარანტიას მისცემს.

კვლევის ამ გზაზე მრავალი მეთოდი, სტრატეგია შემუშავდა, თუმცა ძიება არ წყდება, რადგან იცვლება გარემო, ტექნოლოგიების განვითარება ადამიანს განსხვავებულ პირობებს უქმნის და, შესაბამისად, ამ ახალ სივრცეში განსხვავებული მოქმედებაა საჭირო. შემოქმედებითი აზროვნება სწავლების ნებისმიერ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა „არწივის ეფექტი“, რომელიც აღწერილია თანამედროვე მეცნიერის, პროფესორ ფილ როზენცვეიგის ამავე სახელწოდების წიგნში. ავტორის აზრით, ყოველი მენეჯერი ეძებს იდეას ან მეთოდს, რომელიც განსაზღვრავს გზას წარმატებისაკენ. რას ნიშნავს „არწივის ეფექტი“?

სკოლაში, ჩვეულებისამებრ, დამჯერ მოსწავლეს მასწავლებელი მიიჩნევს უფრო ჭკვიანად და მეგობრულად, ვიდრე დანარჩენ მოსწავლეებს. ადამიანი ცდილობს გაექცეს კოგნიტურ დისონანსს – ეს არის ფსიქიკის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებით ან შეხედულებებით. რამდენადაც ადამიანები მიისწრაფვიან მსჯელობის ლოგიკურობისაკენ, ისინი ცდილობენ, თავი აარიდონ ამგვარ დისონანსს, რომელიც ერთგვარ დისკომფორტს ქმნის. რთულია, ერთდროულად გააანალიზო ადამიანის რამდენიმე თვისება,

ამიტომაც ჩვენ ხშირად ვაერთიანებთ მათ. ამგვარი გაერთიანება კი მცდარი წარმოდგენების წყარო ხდება და ხელს უშლის დაგეგმილი ამოცანებისა და მიზნების შესრულებას.

მაგალითად, მასწავლებელმა ივარაუდა, რომ დამჯერი მოსწავლე უნდა იყოს ჭკვიანი და მეგობრული. ჩვენ ხშირად ვირჩევთ ასე თუ ისე შესამჩნევ თავისებურებას და შემდეგ ჩვენს შეხედულებას ვავრცელებთ სხვებზეც. „არწივის ეფექტიც“ სწორედ ამას ნიშნავს: როდესაც ერთ რომელიმე თავისებურებას მივაბამთ მეორესაც. ვიღაც თავდაჯერებულია, ე.ი. ჭკვიანია. თუ მოსწავლე კარგად იქცევა, ესე იგი, გონიერია. თუ უდისციპლინოა, ე.ი. სწავლა არ შეუძლია, თავხედია და სხვ.

ამგვარი წარმოდგენები ეხმიანება განწყობის თეორიასაც. დიმიტრი უზნაძე ფიქრობდა, რომ გარკვეული განწყობა კონკრეტული ქცევის, მოქმედების, ფიქრის მაპროვოცირებელი ხდება. შესაბამისად, საჭიროა უკვე შექმნილ განწყობათა გადახედვა, კრიტიკული ანალიზი.

პედაგოგი ხშირად იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის ქცევაზე, სწავლის ხარისხზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების არჩევისას მიღებული გადაწყვეტილებები. ნებისმიერი გადაწყვეტილება – ეს არის არჩევანი რამდენიმე ვარიანტს შორის, ამიტომ პედაგოგი აუცილებლად უნდა ფიქრობდეს სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებაზე, რათა შემდგომ მათგან აარჩიოს დროის, ვითარების, მასალისა და კლასის გარემოს შესაფერისი.

ნებისმიერ სასწავლო მეთოდს თან ახლავს აღწერა, თუ რა შედეგები მოაქვს ან რა უნარების გაუმჯობესებას იწვევს მოსწავლეებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მეთოდს თუ გამოიყენებს მასწავლებელი, იმავე შედეგებს მიიღებს. ეს იქნება არასწორი მოლოდინი. ერთმნიშვნელოვანი ტოლობის ნიშანი მეთოდსა და შედეგს შორის მან მხოლოდ მაშინ უნდა დასვას, როცა თავისი გაკვეთილების მონაცემებს გააანალიზებს და დასკვნებს გამოიტანს. თითოეული კლასი უნიკალურია. ეს იმგვარი ცოცხალი ორგანიზმივითაა, რომელიც განუწყვეტლივ იცვლება და ვითარდება. შერჩეული მეთოდები და არსებული რეალობა ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

პედაგოგის მთავარი ამოცანაა, ამოიცნოს კლასის ბუნება, მისი შესაძლებლობები და ინტერესები და შემდეგ შეძლებისდაგვარად მართოს, სასურველი მიმართულებით წარმართოს. ამ პროცესში მან გამუდმებით უნდა ცვალოს მეთოდი და სტრატეგია, რადგან რეალობაც გამუდმებით იცვლება.

მართალია, პედაგოგის მიზნები მიმდინარე სასწავლო პროცესის შესაბამისადაა განსაზღვრული, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს ზოგადი მიზნებიც, მათ შორის უპირველესად ის, რომ სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე. საზოგადოებას სკოლისთვის სწორედ ამგვარი დაკვეთა აქვს მიცემული, მაგრამ სკოლასაც აქვს საზოგადოებისგან ის მოლოდინი, რომ ყურადღებას მიაქცევს, ხელს შეუწყობს და დაეხმარება. ამ ორმხრივ თანამშრომლობას ეფუძნება ის შედეგი, რომელიც ქვეყანას უნდა გამოადგეს.

სამეცნიერო იდეების ჭეშმარიტებას განსაზღვრავენ ცდების მეშვეობით, ცრუმეცნიერება კი ეფუძნება შემთხვევითობასა და იმ მონაცემებს, რომელთა სისწორისა და სიყალბის დამტკიცება შეუძლებელია. შესაბამისად, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად გამოსაყენებელ მეთოდებსაც ამგვარად უნდა მიუდგეს პედაგოგი, გამოცდილების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების მიხედვით უნდა შეაფასოს მათი გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა.

ნებისმიერ საქმეში, მათ შორის სწავლების პროცესშიც, საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიის მოსინჯვა. ერთი მეთოდიკის წარუმატებელმა გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ძიების სულისკვეთების ჩახშობა. საჭიროა გაანალიზდეს, რამ გამოიწვია თეორიულად მომხიბვლელი მეთოდიკის წარუმატებლობა პრაქტიკული განხორციელებისას. უნდა შეიკრიბოს, კლასიფიცირდეს და გაანალიზდეს ყველა მონაცემი, მაგალითად: მოსწავლეთა დამოკიდებულება მეთოდის მიმართ, მასწავლებლის არაშემოქმედებითი მიდგომა, საკლასო გარემოებების გაუთვალისწინებლობა და სხვ. პედაგოგმა უნდა უარყოს არა მეთოდი თუ სტრატეგია, არამედ მისი განხორციელების გზა. მან უნდა ეძებოს, იპოვოს და გამოასწოროს ის ხარვეზები, რომლებმაც გამოიწვია ერთგვარი მარცხი.

**„რთულია, ერთდროულად გააანალიზო ადამიანის რამდენიმე თვისება, ამიტომაც ჩვენ ხშირად ვაერთიანებთ მათ. ამგვარი გაერთიანება კი მცდარი წარმოდგენების წყარო ხდება და ხელს უშლის დაგეგმილი ამოცანებისა და მიზნების შესრულებას.“**

**„პედაგოგის მთავარი ამოცანაა, ამოიცნოს კლასის ბუნება, მისი შესაძლებლობები და ინტერესები და შემდეგ შეძლებისდაგვარად მართოს, სასურველი მიმართულებით წარმართოს. ამ პროცესში მან გამუდმებით უნდა ცვალოს მეთოდი და სტრატეგია, რადგან რეალობაც გამუდმებით იცვლება.“**

მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ავტომატურად არც ერთი მეთოდი თუ სტრატეგია არ გამოიღებს შედეგს. მასწავლებლის შემოქმედებითობა ყოველთვის განმსაზღვრელია. რაც უფრო მიმზიდველად გამოიყურება სადემონსტრაციოდ გამოყენებული მეთოდი (ვთქვათ, ტრენინგზე გამოყენებული, სატელევიზიო პროგრამაში თუ ინტერნეტის რომელიმე პორტალზე წარმოდგენილი), მით უფრო რთული შეიძლება აღმოჩნდეს მისი მისადაგება ჩვეულებრივი საგაკვეთილო პროცესისათვის.

მასწავლებელი ანალიტიკოსი უნდა იყოს, რაც გულისხმობს გამუდმებულ დაკვირვებას გაკვეთილებზე, საკუთარ ქცევასა და გაკვეთილის ჩატარების სტილსა თუ მანერაზე. მან კრიტიკულად უნდა შეაფასოს როგორც სხვების გაკვეთილები (საჭიროა, რომ სკოლაში მასწავლებლებს ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრების საშუალება ჰქონდეთ, რათა შემდეგ შეიკრიბონ და ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები), ასევე – საკუთარი. სასურველია, მან ორი-სამი გაკვეთილი ჩაიწეროს ვიდეოკამერით და შემდეგ უცხოს თვალით დააკვირდეს. საკუთარი თავის კრიტიკა ხომ უფრო მისაღებია ადამიანის ბუნებისათვის. ამ შემთხვევაში, ის აუცილებლად შენიშნავს თავის ნაკლს, რომლის შესახებ სხვისი მითითება, კრიტიკა და მსჯელობა შესაძლოა მისთვის მტკივნეული და შეურაცხმყოფელი ყოფილიყო.

ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად პედაგოგმა უნდა შეაგროვოს მაქსიმალური რაოდენობა იმგვარი შეხედულებებისა, რომლებიც ფაქტებითაა დამტკიცებული. მას უნდა ჰქონდეს გამომუშავებული უნარი, განსაზღვროს, რას მიაქციოს ყურადღება და რას – არა, რა შეისწავლოს და რა გადაამოწმოს. ეს ნებისმიერი ეფექტური გადაწყვეტილების პირობაა.

ეფექტური გადაწყვეტილება არ გულისხმობს იმას, რომ ის კონსესუსის შედეგადაა მიღებული. პირიქით, ეს არის სხვადასხვა თვალსაზრისისა თუ ყველაზე განსხვავებული ვარიანტების ანალიზის შედეგი.

პედაგოგმა არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სანამ არ მოისმენს სხვადასხვა შეხედულებას, რომლებიც მისას ეწინააღმდეგება. რატომ არის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებისას კონტრარგუმენტთა მოსმენა? იმიტომ, რომ პედაგოგი არ მოექცეს გარკვეულ შეხედულებათა ტყვეობაში. ეს კი გულისხმობს კოლეგებთან შეხვედრებს, საუბარსა და დისკუსიებს სწავლების აქტუალურ საკითხებზე, ახალ მეთოდებსა და სტრატეგიებზე.

თანამედროვე ამერიკელი ფსიქოლოგი, პროფესორი რობერტ ჩალდინი თავის წიგნში „გავლენის ფსიქოლოგია“ ავითარებს აზრს, რომ თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია ყოველი გადაწყვეტილების დეტალების გააზრება და ამიტომაც ვსარგებლობთ ფსიქოლოგიური იარლიყებითა და სტერეოტიპებით. მაგალითად, „ფასი განსაზღვრავს ხარისხს“

– ამ სტერეოტიპის გამოყენებით ბევრი კომპანია ასაღებს უხარისხო პროდუქტს.

გარკვეულწილად, სწორედ ამ სტერეოტიპულ აზროვნებას გულისხმობს ე.წ. „პიგმალიონის მეთოდიც“, რომელიც ეფუძნება მასწავლებლის მოლოდინის რაგვარობას. ბერნარდ შოუს ამავე სახელწოდების პიესის („პიგმალიონი“) მთავარი გმირი თავისი მოლოდინის შესაბამისად „ქმნის“ ქუჩის გოგონასგან მაღალი საზოგადოების ქალბატონს (ისევე როგორც ძველ ბერძნულ მითში მოქანდაკე პიგმალიონი აქანდაკებს მშვენიერ ქალს).

რას ელიან მასწავლებლები მოსწავლეებისაგან? ზოგჯერ ისინი თვითონვე უწყობენ ხელს საკუთარი „წინასწარმეტყველებების“ ახდენას. თუ რომელიმე ბავშვისგან მოელიან, რომ მაღალ ქულებს მიიღებს, რადგან ის ბეჯითი და ყურადღებიანია, შეიძლება თვალიც კი დახუჭონ მის ნაკლზე და მოლოდინის შესაბამისი ქულებით შეაფასონ, ხოლო იმ მოსწავლეების მიმართ, რომელთაგან არაფერს სასიკეთოს არ მოელიან, უყურადღებობა და გულგრილობა გამოიჩინონ.

ამიტომაც, საჭიროა მასწავლებელმა მუდმივად გადასინჯოს თავისი მოლოდინი, გააკონტროლოს და შეცვალოს ის, ხელი შეუშალოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას ცნობიერებაში. თუ ასე არ მოიქცევა, მალე ის ამ მოლოდინის ტყვე გახდება და გაუჩნდება კომპლექსები, რომელთა გადალახვას უფრო მეტი დრო და ენერგია დასჭირდება, ვიდრე ჩამოყალიბებას.

დიმიტრი უზნაძეც ხომ წერდა, რომ „სასკოლო გარემოში სწავლა გარკვეულ სასწავლო მასალასთან ერთად აუცილებლად მასწავლებელსაც გულისხმობს, კერძოდ კი, მის მონაწილეობას სწავლის პროცესში. მასწავლებლის ფუნქცია მასალის უბრალოდ მიწოდება და გამოკითხვა კი არ არის, არამედ – სწავლება. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს, რისთვისაც სასწავლო მასალას მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით გარდაქმნის და ისე აწოდებს მას. მასალა, ერთი მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების („ძალთა“) აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორე მხრივ, კი - მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას. მასწავლებლის ფუნქცია სწორედ ამ პირობების რეალიზაციაა: მოსწავლისათვის ახალი მასალის მისაწვდომად გადაცემა, „ახსნა“. ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს“. ამგვარად, მოსწავლის განვითარების პროცესში მასწავლებელი შუამავალია მასალასა და მოსწავლეს (მის „ძალებს“) შორის. ახსნის შედეგად მანამდე პრაქტიკულად მოცემული გარკვეული ფაქტი ბავშვისთვის დაკვირვების ობიექტად იქცევა, მისი ცნობიერებისთვის მისაწვდომი ხდება. რაიმე ფაქტი, მოვლენა თუ საგანი სწავლის შედეგად ბავშვისთვის არა მხოლოდ პრაქტიკულად მოცემული არსებობს, არამედ ცნობიერებაშიც ინახება ცნების სახით. ამრიგად, უზნაძის მიხედვით, სწავლის ძირითადი არსი ახსნაში და ამ გზით მოვლენათა, ფაქტთა და საგანთა ცნობიერებაში ასახვასა და მოზარდის ცნებითი აზროვნების განვითარებაში მდგომარეობს (განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის).

„მასწავლებლებს უჭირთ მოსწავლის შეხედულებების შეცვლა, რადგან ეს შეხედულებები ყოველდღიური რეალობიდან მიღებული გამოცდილებითაა გამყარებული. წინარე შეხედულებები სერიოზულ დაბრკოლებას შეიძლება ქმნიდეს ახალი დისციპლინის ათვისებისას“, – წერენ მ. სიუზან დონოვანი და კონ დ. ბრენსფორდი სტატიაში „როგორ ვსწავლობთ: ისტორია, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“. მათი აზრითვე: „სწავლებაზე პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მასწავლებელი არ არის. სწავლების საუკეთესო მეთოდებიც კი მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როცა მოსწავლე სწავლის შესაძლებლობას იყენებს. მთავარია მოსწავლეთა დახმარება, რათა მათ უკეთ ისწავლონ. „მეტაკოგნიტური“, ანუ თვითმონიტორინგის მიდგომა დაეხმარება მოსწავლეებს, განივითაროონ ის უნარები, რომლებითაც შეძლებენ საკუთარი თავის მონიტორინგს სწავლის პროცესში, სწავლის მიზნების დასახვისას და მიზნების მიღწევის გზაზე. ისინი შეძლებენ შეაფასონ, თუ რამდენად წარმატებით მიაღწიეს თავდაპირველ მიზნებს. ზოგი მასწავლებელი შემდეგნაირად წარმოუდგენს მოსწავლეებს თვითშეფასების ცნებას: „თქვენი ტვინი თქვენ გეკუთვნით და გემორჩილებათ, მაგრამ მას გამოყენების სახელმძღვანელო არ მოჰყვება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ“.

მანანა ბოჭორიშვილი

# ცოდნის მიღება და კვლევითი აქტივობები

**სწავლა-სწავლების პროცესში კვლევითი აქტივობების მნიშვნელობაზე ლიტერატურის გაცნობის შემდეგ გიჩნდება განცდა, რომ მეთოდურ სახელმძღვანელოში, სამეცნიერო სტატიასა თუ კვლევის ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ერთმანეთს ავსებენ. ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ თითოეული სტატია, სახელმძღვანელო თუ კვლევა კონკრეტულ სეგმენტზეა ფოკუსირებული და მასალების გაცნობის შემდეგ ჰოლისტურ კონცეფციას ხედავ.**

### რატომ არის ეს საკითხი აქტუალური დღეს მასწავლებლებისთვის?

დღევანდელი მასწავლებლის მთავარი გამოწვევაა, რომ მან მხარი დაუჭიროს კვლევითი სწავლების იდეას. ამიტომ, თანამედროვე მასწავლებელი ეძებს გზებს და მიდგომებს, რათა ეფექტურად მოარგოს სწავლა-სწავლება ამ კონცეფციას.

ეს საკითხი აქტუალურია დღეს, რადგან თანამედროვე მასწავლებელმა იცის, რომ ნებისმიერი ასაკისა თუ განვითარების დონის მოსწავლეს ბუნებრივად აქვს ახლის აღმოჩენის სურვილი, ისევე როგორც გადაუჭრელი პრობლემებისთვის გამოსავლის მოძებნის ინტერესი.

ყველა პროფესიონალმა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ კვლევის გზით პრობლემის გადაჭრისას **მოსწავლის მიერ მოძებნილი სწორი ან არასწორი გამოსავალი, ალტერნატივა ან პასუხი** არც ერთ სახელმძღვანელოში არ შეხვდება.

გამოცდილი, პროფესიონალი მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში კვლევითი აქტივობის შედეგზე მეტად მნიშვნელოვანი თავად პროცესია; ამიტომაც, ბევრი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ კვლევითი სწავლების ერთ-ერთ მიზანს პროცესში მოსწავლის მონაწილეობა წარმოადგენს.

მასწავლებელმა, რომელიც იყენებს კვლევით აქტივობებს, კარგად იცის: კვლევის მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი ასწავლის უფრო ნაკლებს, მოსწავლეები კი სწავლობენ უფრო მეტს. ამ საკითხის აქტუალურობის დამადასტურებელი მოსაზრებების რაოდენობა საკმაოდ ბევრია.

### ბუნებრივია, უნდა დავსვათ კითხვა: რაში მდგომარეობს კვლევაზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პედაგოგიური ასპექტი?

კვლევაზე ორიენტირებული სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და მასწავლებელს, იქცნენ: შეუპოვარ მაძიებლებად, გამომკითხველებად, მოაზროვნეებად. საბოლოო შედეგს მაშინ მიიღებთ, როდესაც მოსწავლეებს დაებადებათ კითხვა, რომელსაც სვამს ნობელის პრემიის ყველა მფლობელი: „ნეტავ რა მოხდებოდა, რომ არა..?“ სწორედ კვლევის შედეგად ჩნდება ახალი ცოდნა. პროცესში ჩართულობით ხდებიან მოსწავლეები ისტორიკოსები, მეცნიერები, ეკონომისტები, მსახიობები, ბიზნესმენები, პოეტები, მწერლები და მკვლევრები – თუნდაც ეს კლასში ერთი ან ორი საათით მოხდეს.

### როგორია საბაზისო კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების ნუსხა, რასაც აქტიურად იყენებს მასწავლებელი სწავლებისას?

1. **დაკვირვება.** საგნების ამოცნობა, საგნის თვისებები, სხვადასხვა სისტემებში მონაცვლეობა; კონტროლირებადი დაკვირვებები; დაკვირვებათა სერიებად დალაგება.
2. **კლასიფიკაცია.** მარტივი და რთული კლასიფიკაცია; დაკვირვებათა გამოთვლა და კოდირება.
3. **დასკვნა.** დაკვირვებებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება; სიტუაციების შექმნა დასკვნების შესამოწმებლად.
4. **რიცხვების გამოყენება.** მიმართულებებისა და რიცხვების ამოცნობა და შემდგომი მათემატიკური პროცესებისათვის მათი გამოყენება.
5. **გაზომვა.** ჯერ სიგრძეების, შემდეგ კი – სივრცის, მოცულობის, წონის, ტემპერატურისა და სიჩქარის; მათი ამოცნობა და დალაგება.
6. **სივრცისა და დროის ურთიერთკავშირის გამოყენება.** მოძრაობისა და მიმართულების ამოცნობა; იმ წესების სწავლა, რომლებიც პოზიციის ცვლილებებს განაპირობებს.
7. **კომუნიკაცია.** გრაფებისა და დიაგრამების აგება მარტივი და შემდგომ რთული ფენომენების ასახსნელად; ზეპირი და წერილობითი მოხსენებების კეთება.
8. **წინასწარ განჭვრეტა.** მონაცემთა დამატება და გამოკლება; წინასწარ განსაზღვრის უნარის შესამოწმებლად მეთოდების ფორმულირება.
9. **ქმედითი დეფინიციების შემქნა.** ქმედით და უსარგებლო დეფინიციებს შორის განსხვავების პოვნა; ახალი პრობლემებისთვის ქმედითი დეფინიციების მოფიქრება.
10. **ჰიპოთეზების ჩამოყალიბება.** ჰიპოთეზის განსხვავება დასკვნისგან, დაკვირვებისა და წინასწარ განჭვრეტისაგან; ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შემოწმება.
11. **მონაცემთა ინტერპრეტაცია.** მონაცემებისა და მათზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნების აღწერა; ჰიპოთეზისადმი მათი მისადაგება; ექსპერიმენტული აღმოჩენების განზოგადება.
12. **ცვლადების კონტროლი.** დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების განსაზღვრა; ექსპერიმენტების ჩატარება; აღწერა, თუ როგორ ხდება ცვლადების კონტროლი.
13. **ექსპერიმენტის ჩატარება.** ექსპერიმენტული პროცედურების ჩატარება; მეცნიერული ექსპერიმენტების ჩანაწერთა ინტერპრეტაცია; პრობლემის დასახვა; ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

**დღეს აქტუალურია შემდეგი საკითხი: რაში მდგომარეობს ემპირიული ეპისტემოლოგიის და ინდუქციური კვლევის ურთიერთმიმართების საიდუმლო?**

> **„დღევანდელი მასწავლებლის მთავარი გამოწვევაა, რომ მან მხარი დაუჭიროს კვლევითი სწავლების იდეას. ამიტომ, თანამედროვე მასწავლებელი ეძებს გზებს და მიდგომებს, რათა ეფექტურად მოარგოს სწავლა-სწავლება ამ კონცეფციას.“**

> **მასწავლებელმა, რომელიც იყენებს კვლევით აქტივობებს, კარგად იცის: კვლევის მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი ასწავლის უფრო ნაკლებს, მოსწავლეები კი სწავლობენ უფრო მეტს.**

**ემპირიული ეპისტემოლოგია** (ცოდნის მიღება დაკვირვებისა და ექსპერიმენტის გზით) წარმოუდგენელია მაღალი დონის აზროვნების გარეშე. **ინდუქციური კვლევა** კი არის სწავლების მეთოდი, რომლის თანახმადაც მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთონ დასკვნები, განაზოგადონ ინფორმაცია, და გაარკვიონ კავშირები. ინდუქციური კვლევის აქტივობები, რომლებსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ გაკვეთილზე, ორი სახისაა: 1. წარმართული, 2. წარუმართავი. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სტატისტიკურ მონაცემებს, ფაქტებს, სპეციფიკაციას და სთხოვს, რომ მათ თავად განაზოგადონ ინფორმაცია, ამ დროს ის იყენებს **წარმართულ ინდუქციურ კვლევას.** როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეაგროვონ მონაცემები და თავად აღმოაჩინონ სპეციფიკა, სანამ განზოგადებას დაიწყებენ, ეს არის **წარუმართავი ინდუქციური კვლევა.**

განათლების სპეციალისტები და გამოცდილი მასწავლებლები, საკუთარ კვლევებსა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, გვირჩევენ: საწყის ეტაპზე უპირატესობა უნდა მივანიჭოთ წარმართულ ინდუქციურ კვლევით აქტივობებს, რაც დაგვეხმარება, გავიგოთ, თუ როგორი დასკვნების გაკეთება ან განზოგადება შეუძლიათ მოსწავლეებს ამ ეტაპზე. წარმართული ინდუქციური კვლევა ხელს უწყობს მასწავლებელს, განმარტებითი სწავლებიდან გადავიდეს ნაკლებად განმარტებით სწავლებაზე.

### სწავლების რა ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ წარმართული ინდუქციური კვლევა?

ინდუქციური კვლევის გამოყენება შეიძლება სწავლების ყველა საფეხურზე, სკოლამდელი ასაკიდან უნივერსიტეტის საფეხურის ჩათვლით. სწავლების თითოეულ დონეზე ხდება დაკვირვების, დასკვნების გამოტანის, კლასიფიცირების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების, წინასწარ განჭვრეტის უნარების გამყარება მოსწავლეთა და სტუდენტთა გამოცდილებით.

წარმართული ინდუქციური კვლევის მარტივი მაგალითი: სწავლების პირველ საფეხურზე მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს თოვლიან ლანდშაფტს ოთხ სურათზე (ტრიალი ადგილი, ტყისპირა ადგილი, ადგილი გამოქვაბულის წინ, მდინარის ნაპირი). თოვლზე დათვის კვალი ჩანს. მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს ისეთი კითხვებით, რომლებიც „აიძულებს" მათ, აწარმოონ კვლევა და განაზოგადონ ამ სურათების მახასიათებლები:

- გინახავთ ასეთი რამ აქამდე?
- კვალი ფორმით ყველგან ერთნაირია თუ სხვადასხვა?
- რას შეეძლო გამოეწვია ასეთი კვალი თოვლზე?
- და ა.შ.

მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს:

1. ჩამოაყალიბონ დაკვირვების შედეგები;
2. გააკეთონ დასკვნები;
3. შეძლონ დასკვნების განზოგადება.

### ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა საფეხურებია გასავლელი წარმართული ინდუქციური კვლევიდან განზოგადებამდე?

1. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, რისი განზოგადება უნდა მოსთხოვოს მოსწავლეს.
2. ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობა, რომ მოსწავლეები იძულებულნი გახდნენ, განზოგადების ხერხი გამოიყენონ.
3. განზოგადებამდე აუცილებელია, მოსწავლეებმა დაწერონ შემაჯამებელი მოხსენება, რაც ერთგვარ საფუძველს მოამზადებს განზოგადებისთვის.
4. მნიშვნელოვანია, მოვთხოვოთ მოსწავლეებს, ჩამოთვალონ მოცემული მოვლენების, საგნებისა თუ სხვა სახის მონაცემების თავისებურებათა თანმიმდევრობა.
5. ვთხოვოთ მოსწავლეებს, შეაჯამონ ეს სტრუქტურები თუ თანმიმდევრობები ერთი წინადადებით.
6. ვთხოვოთ მოსწავლეებს, დაამტკიცონ, რომ მათ მიერ გაკეთებული დასკვნა ნამდვილად არის განზოგადების მაგალითი; აღნიშნულის დამტკიცება კი უნდა მოხდეს ამ განზოგადების სხვა მოვლენებისადმი, საგნებისა თუ მონაცემებისადმი მისადაგებით.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება შრომატევადი პროცესია მასწავლებლისათვის. კვლევითი აქტივობებით დატვირთული სასწავლო პროცესი ერთგვარად ართულებს მასწავლებლის საქმეს იმ ურთიერთქმედებების გამო, რომლებიც ამ პროცესს ახლავს. ამავდროულად, კვლევითი აქტივობებით დატვირთული სასწავლო პროცესი ხარისხიანი განათლების საფუძველია გლობალიზაციის პირობებში და კონკურენტულ სამყაროში.

# რისკიანი თამაში

ანა ჯანელიძე

სკოლამდელი განათლება მრავალ ქვეყანაში გვევლინება, როგორც სიცოცხლის მანძილზე სწავლის განუყოფელი კომპონენტი და საგანმანათლებლო სისტემის პირველი საფეხური. სხვადასხვა დისციპლინაში ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვდა ცოდნა, რომელიც მიუთითებს, რომ სკოლამდელ ასაკში მიღებული გამოცდილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის, მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისთვის. ამ ასაკში თამაშს განსაკუთრებული როლი აქვს და, როგორც წესი, სკოლამდელი განათლების პროგრამები ბავშვის თამაშის, მისი ინიციატივის და ინტერესების ირგვლივ იგება. სკოლამდელი ასაკის ბავშვების თამაშის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. შესწავლილია თამაშის ფორმები, სოციალური ასპექტები, ეტაპობრივი განვითარება, ზრდასრულთა როლი თამაშის წახალისებასა და განვითარებაში და ა.შ. დღეს მკვლევარებისთვის მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს რისკიანი თამაში, რომელიც ბავშვებს განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა ხშირად საგრძნობლად იზღუდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კულტურული თუ სამართლებრივი ნორმების გამო.

ყოველდღიურ კომუნიკაციაში, განსაკუთრებით კი, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება, რისკი ხშირად უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია. განვითარების ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან, რისკის გაწევა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ქცევა, რომელიც ასოცირდება უარყოფითი შედეგების გარკვეულ ალბათობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მკვლევარისთვის რისკის ცნება უფრო კომპლექსურია, ვიდრე ზემოაღნიშნული განმარტება: ის შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის ქცევასა და აქტივობას და ამავდროულად ასოცირდებოდეს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ შედეგთან. მკვლევარების აზრით, რისკის აღქმაზე გავლენას ახდენს სოციალური და კულტურული ფაქტორები: ის, რაც ერთ სოციალურ ან კულტურულ ჯგუფში შეიძლება რისკიან ქმედებად მოიაზრებოდეს, მეორეში შესაძლოა არ იყოს მიჩნეული ასეთად, ან ნაკლებად რისკიანად ითვლებოდეს.

ვინაიდან ჩვენს წარმოდგენებში რისკი ხშირად უარყოფით შედეგთან ასოცირდება, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ რისკის გაწევას შეიძლება მოსდევდეს პოზიტიური შედეგებიც. რისკიანი მოქმედება მნიშვნელოვანია სწავლის პროცესისთვის: რისკი საშუალებას გვაძლევს გავცდეთ ძველ ცოდნას, არსებულ კომპეტენციებს და დავეუფლოთ ახალს, შეუცნობელს. ეს კი, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის. რისკიანი თამაშის საშუალებით ბავშვი შეიცნობს საკუთარი შესაძლებ-

> **სხვადასხვა დისციპლინაში ჩატარებული კვლევების შედეგად დაგროვდა ცოდნა, რომელიც მიუთითებს, რომ სკოლამდელ ასაკში მიღებული გამოცდილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის, მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისთვის.**

ლობების საზღვრებს, სწავლობს და ეუფლება ახალ უნარებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განათლებასთან მიმართებაში რისკიანი სიტუაცია შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც კონტექსტი, რომელშიც მოსწავლე მოქმედების არჩევანის წინაშე დგას და ამ არჩევანის შედეგი მისთვის არ არის წინასწარ ცნობილი. ასეთი არჩევანი უბიძგებს ბავშვს, შეადაროს სავარაუდო უპირატესობები შესაძლო უარყოფით შედეგებს, აგრეთვე შეაფასოს წარმატებისა თუ წარუმატებლობის ალბათობა. ასეთი შეხედულება გვთავაზობს რისკის პოზიტიურ ხედვას: რისკი არ არის საფრთხე, რომელსაც უნდა მოვერიდოთ, არამედ გამოწვევაა, რომელსაც უნდა გავუმკლავდეთ.

მნიშვნელოვანია, რომ რისკისა და რისკიანი თამაშისგან განვასხვავოთ საშიშროება და საფრთხის შემცველი თამაში. რისკი გულისხმობს სიტუაციებს, როდესაც შედეგი (პოზიტიური თუ ნეგატიური) არ არის ცნობილი. საშიშროება არის სიტუაცია, რომელიც გულისხმობს დაშავების მაღალ ალბათობას. ბავშვების უსაფრთხო რისკიანი თამაშის ხელშეწყობა, პირველ რიგში, გულისხმობს საშიშროების შემცველი ელემენტების აღმოფხვრას სასწავლო გარემოდან. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ დაშავების რისკი და ხარისხი მინიმალური უნდა იყოს, თუკი რისკიანი თამაში/ქმედება ნეგატიური შედეგით დასრულდება. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა ხელი შუწყონ ბავშვებს, რომ ისინი დააკვირდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და ეტაპობრივად მოსინჯონ უფრო რთული თამაშები. გაურკვევლობა და გარკვეულწილად რისკიც – თამაშის განუყოფელი ელემენტებია. თამაში, როგორც წესი, ხასიათდება არაპროგნოზირებადობით, სიახლით, მოქნილობით. რაც მთავარია, ის პროცესზე (და არა შედეგზე) არის ორიენტირებული. თამაში, როგორც არაპროგნოზირებადი და ნაკლებად სტრუქტურული ქცევა, ბუნებრივად შეიცავს რისკის ელემენტებს. თანამედროვე მკვლევარები რისკიან ქმედებას ბავშვის თამაშის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ.

რისკიანი თამაში ბავშვებს სთავაზობს გამოწვევებს, საზღვრების გამოცდას (სადამდე შეიძლება?), შესაძლებლობების გამოცდას და ცოდნას რისკის შესახებ. რისკის სწორად შეფასება და სავარაუდო შედეგების აწონ-დაწონა კი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო უნარია.

სკოლამდელი და დაწყებითი ასაკის ბავშვებთან ჩატარებული კვლევები, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკვირვების, მეორე მხრივ კი, გამოკითხვის მეთოდებს იყენებდნენ, გამოყოფენ რისკიანი თამაშების ძირითად მახასიათებლებს: სიჩქარე, გაურკვევლობა, მღელვარება, სიახლის გამოცდის წყურვილი, გამოწვევა, „უკონტორლობის“ პირზე ყოფნის შეგრძნება (ხშირად სიჩქარის ან სიმაღლის გამო) და შიშის გადალახვის წყურვილი. ნორვეგიაში ჩატარებული კვლევის შედეგების საუძველზე გამოიყო რისკიანი თამაშის ექვსი კატეგორია:

- სიმაღლესთან დაკავშირებული;
- სიჩაქრესთან დაკავშირებული;
- „ჭიდაობით“ თამაში;
- სახიფათო ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებმაც შეიძლება დაზიანება გამოიწვიოს;
- ფიზიკურ გარემოში არსებულ სახიფათო ელემენტებთან დაკავშირებული (მაგ., ჩავარდნის საფრთხე);
- განმარტოებასთან დაკავშირებული („დაკარგვის“ საფრთხე).

მრავალი კვლევა ადასტურებს რომ ბავშვებს ძალიან უყვართ რისკიანი თამაშები, სიხარულით ერთვებიან მათში და საუბრობენ ამის თაობაზე. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ბავშვების უმრავლესობისთვის (დაახლოებით 70-80%) გარე სივრცე ასოცირდება საყვარელ თამაშთან.

ამავდროულად, საინტერესოა, რომ 3-დან 5 წლამდე ბავშვებიც კი რისკიანი თამაშის დროს აცნობიერენ საკუთარ შიშს და ფიქრობენ დაშავების ალბათობაზე.

კვლევები აჩვენებს, რომ სკოლამდელი და დაწყებითი ასაკის ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ ისეთი აქტივობები, როგორიცაა ხეზე ძრომა, სიმაღლიდან ხტომა, სწრაფად ჩამოსრიალება, წონასწორობის

დაცვა ნაკლებად საიმედო სიტუაციებში (მაგ., შემაღლებულ ვიწრო ადგილზე). ასეთ დროს ბავშვებს საშუალება აქვთ, შეისწავლონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ რისკის შეფასება და მართვა. რისკიანი თამაშის დროს ბავშვებისთვის მნიშვნელოვანი და თავისთავად ძვირფასია შიშის გადალახვის პროცესი და უკონტროლობის შეგრძნება.

რისკიანი თამაშის ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ არსებული ცოდნა უკვე ასახულია სხვადასხვა ქვეყნის სკოლამდელი განათლების ეროვნულ კურიკულუმებსა თუ დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, ხშირად რისკიანი თამაშის ხელშეწყობა პრაქტიკაში ნაკლებად ხდება. ამის მიზეზი ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პარალელური დისკურსია, რომელიც მყარად დამკვიდრდა განვითარებულ ქვეყნებში. ერთი მხრივ, მასწავლებლებმა იციან, რომ თამაში ბავშვებისთვის საინტერესო და გამოწვევებით სავსე უნდა იყოს, მეორე მხრივ კი, ხშირად ვერ ახორციელებენ ამას, რადგან ემორჩილებიან უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მკაცრ რეგულაციებს. გარდა ამისა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორიც უკავშირდება რისკიანი თამაშის შესაძლებლობების შემცირებას: ბავშვებისა და მასწავლებლების ამგვარი თანაფარდობა – ბევრი ბავშვი ერთ მასწავლებელზე, არასათანადოდ აღჭურვილი ეზო/გარე სივრცე, მასწავლებელთა არასაკმარისი ან შეუსაბამო ცოდნა რისკიანი თამაშის უპირატესობების შესახებ, სამართლებრივი დევნის შიში.

რისკიანი თამაშის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან ერთად იყვნენ საკმარისი რაოდენობის მასწავლებლები, რათა ყურადღება დაეთმოს თითოეული ბავშვის რისკიან ქცევას.

კვლევები ადასტურებს, რომ როდესაც ბავშვებს არ ეძლევათ საშუალება, უსაფრთხოდ გამოსცადონ ძალები და ჩაერთონ რისკიან თამაშში, უარესდება ფიზიკური თამაშის ხარისხი, მცირდება ფიზიკური აქტიურობა, არ ვითარდება რისკიანი სიტუაციების შეფასების უნარი, იზრდება საშიშ რისკიან თამაშში ჩართვის შემთხვევები და, შესაბამისად, მეტია დაშავების ალბათობა. როცა ფიზიკური გარემო არ არის განვითარებისთვის შესაბამისი გამოწვევებით სავსე, ბავშვები ცდილობენ, გამოწვევები ხელოვნურად შექმნან, მაგალითად, არამართებულად გამოიყენონ ეზოს მექანიზმები. ეს კი ხშირად უკავშირდება დაშავების უფრო მაღალ რისკს.

ბავშვის განვითარებას ხელი ეწყობა და თამაშის ხარისხი უმჯობესდება მაშინ, როდესაც ბავშვებს საშუალება აქვთ, მათ ირგვლივ არსებული გარემო გამოიკვლიონ, ჩაატარონ ექსპერიმენტები, მიიღონ გამოწვევები და გასწიონ რისკი. იდეალურ შემთხვევაში, სათამაშო სივრცე უნდა მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, რომლებიც წაახალისებს მრავალფეროვან ფიზიკურ, სოციალურ, ინტელექტუალურ და ბუნებასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და თამაშებს. ფიზიკური გარემოსა და ეზოს მექანიზმების გამოყენების კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს უფრო მეტად მოსწონთ ისეთი მოწყობილობები, რომლებიც მათთვის გამოწვევას წარმოადგენს. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბავშვები

სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ასეთი მოწყობილობების გამოყენებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, წახალისებულია მათი დამოუკიდებლობა, მეორე მხრივ კი, მასწავლებელი მზად არის, სურვილის შემთხვევაში ფიზიკურად დაეხმაროს ან სიტყვიერად გაამხნევოს ბავშვები.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ბუნებაში ყოფნა, სადაც მრავალფეროვანი ელემენტებია თავისუფალი მოქმედებისთვის, განსაკუთრებულად უწყობს ხელს ბავშვების დამოუკიდებელ არჩევანს, ინიციატივის გამოჩენას, პოზიტიურ რისკიან თამაშს. ეს მასწავლებლებს აძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას, ბავშვის ინტერესების შესაბამისად წარმართონ აქტივობები. ბუნების სივრცის გამოყენებას, ტრადიციულად, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა სკანდინავიის ქვეყნების სკოლამდელ განათლებაში, თუმცა ნელ-ნელა მეტად პოპულარული ხდება ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა ინგლისი, ირლანდია, უელსი, ავსტრალია და ა.შ. „ბუნების სივრცეში“ ხშირად მოიაზრება ისეთი ადგილები, რომლებიც არ არის მოწყობილი, როგორც

**„რისკიანი თამაშის საშუალებით ბავშვი შეიცნობს საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს, სწავლობს და ეუფლება ახალ უნარებს.“**

ბავშვის სათამაშო სივრცე ან პარკი. ასეთი სივრცეები ხელს უწყობს მრავალფეროვან ფიზიკურ აქტივობებს (სირბილი, ხტომა, აძრომა, გორაობა), განსხვავებულ სოციალურ თამაშებს (განმარტოებული, პარალელური, ჯგუფური თამაშები და აქტივობები), განსხვავებული ტიპის თამაშებს (წარმოსახვითი, როლური, წესებიანი თამაშები და სხვა).

კვლევების შედეგები მიუთითებს, რომ ბავშვები, რომლებიც გარე სივრცედ იყენებენ ბუნებას და არა – სპეციალურად მათთვის სტრუქტურირებულ გარემოს (მაგ., ეზო, რომელიც მოწყობილია სპეციალური აღჭურვილობით), ფიზიკურად უფრო ჯანსაღნი არიან, უკეთ აქვთ განვითარებული მსხვილი მოტორიკა და წონასწორობის დაცვის უნარი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვებს დაწყებითი და სკოლამდელი განათლების საფეხურზე ბევრად უფრო მოსწონთ ბუნებრივი სივრცეები, ვიდრე სპეციალურად მათთვის შექმნილი და მოწყობილი გარემო. ბუნებრივ გარემოში მათ მოქმედებისა და იმპროვიზაციისთვის მეტი თავისუფლება ეძლევათ, აგრეთვე მეტი შესაძლებლობებია რისკიან თამაშში მონაწილეობისთვის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობისთვის, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარებისთვის, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის ჩამოყალიბებისთვის. ბუნებაში ბავშვებს აქვთ საშუალება, გამოცდილება მრავალფეროვან და საინტერესო გარემოში მიიღონ (ნიადაგის მრავალფეროვნება, არათანაბარი ზედაპირი, მცენარეული საფარის ნაირსახეობა და სხვა).

ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, ბუნებრივი სივრცე ახდენს კოგნიტური განვითარების სტიმულირებას. უელსში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბუნებრივი სივრცე ხელს უწყობს ბავშვებს, წამოიწყონ დიალოგი მასწავლებლებთან, დასვან კითხვები, შექმნან თეორიები, გამოთქვან და დაასაბუთონ ჰიპოთეზები, გადაჭრან პრობლემები და ა.შ. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ბუნებრივ გარემოში ბავშვების მიერ წამოწყებული კომუნიკაცია, უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებოდა გარემოს, რომელიც მათი ინტერესის სტიმულირებას ახდენდა.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სკოლამდელ განათლებაში ყოველწლიურად მეტი ბავშვი ერთვება. ბავშვები დღის აქტიურ ნაწილს ძირითადად სკოლამდელ დაწესებულებებში ატარებენ. სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაღებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ – შეუქმნან ბავშვებს ისეთი გარემო, სადაც მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს მათ განვითარებას, სხვათა შორის, უსაფრთხო რისკიან თამაშში მონაწილეობის გზითაც. დასავლეთის ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც უსაფრთხოების მკაცრი რეგულაციებია, საქართველოში ჯერჯერობით არ განსაზღვრულა სახელმწიფო სტანდარტები სკოლამდელ დაწესებულებებში უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. მასწავლებელთა დამოკიდებულება რისკიანი თამაშის მიმართ, აგრეთვე, ზოგადად, ამ კუთხით დამკვიდრებული პრაქტიკა სამომავლო კვლევის საგანია. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებზე დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში სკოლამდელ და დაწყებით საფეხურზე არ ხდება რისკიანი თამაშის წახალისება, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს სოციო-კულტურული ნორმები, ბავშვის დამოუკიდებლობისა და რისკის მიმართ დამოკიდებულებები, ნაკლები ინფორმაცია რისკიანი თამაშის მნიშვნელობისა და პოზიტიური შედეგების შესახებ და სხვა.


**გამოყენებული წყაროები**

1. Hansen Sandseter, E. B. (2012). Children's risky play in early childhood education and care. Childlinks. Barnardos.
2. Little, H. & D. Eager. (2010). Risk, challenge and safety: implications for play quality and playground design. *European Early Childhood Education Research Journal 18 (4)*, 497-513.
3. Little, H. (2010). Finding the balance: Early Childhood practitioners' views on risk, challenge and safety in outdoor play settings. *Paper presented at the AARE Annual Conference , Melbourne, 2010.*
4. Waters, J. & T. Maynard. (2010). What's so interesting outside? A study of child initiated interaction with teachers in the natural outdoor environment. *European Early Childhood Education Research Journal* 18 (4), 473-483.
5. Willoughby, M. (2012). The value of providing for risky play in early childhood settings. Childlinks. Barnardos.

**ფოტოები**

1. https://delightfulchildrensbooks.files.wordpress.com/2011/ 12/trees1.jpg
2. http://cdn.citylab.com/media/img/citylab/2015/06/Adventure/lead_large.jpg

# ლოგიკური ამოცანების გამოყენება ისტორიის გაკვეთილზე

მაია ფირჩხაძე

თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის უმნიშვნელოვანესია კომპეტენციების ფლობა, ანუ კომპეტენტურობა, მზადყოფნა გარკვეული ფუნქციის შერსულებისთვის. კომპეტენციის ფლობისთვის კი აუცილებელია გარკვეული განათლება, რომელსაც სკოლაში ეყრება საფუძველი. საგანმანათლებლო პროცესმა ბუნებრივად უნდა შექმნას სასწავლო მიზნების შესრულებისთვის საჭირო სიტუაცია. ეს უპირველესად გულისხმობს იმ მეთოდებისა და სტრატეგიების, გზებისა და ხერხების გამოყენებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, დაეუფლოს გარკვეულ კომპეტენციებს, ანუ გახდეს კომპეტენტური, პირველ რიგში, საგნობრივი დისციპლინების ათვისების თვალსაზრისით.

ცოდნის შეძენის გზაზე უმთავრესია ინფორმაციის მოპოვებისა და გადამუშავების, მისი ტრანსფორმაციის, ტექსტთან მუშაობის უნარ-ჩვევის ფორმირება. ამიტომ ნებისმიერი საგნის სწავლებისას გამოყენებული სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტთან მუშაობას ითვალისწინებს, იქნება ის ბუნებრივი ხიდი, რომლითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო მიზნების შესრულებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ლოგიკური სააზროვნო ოპერაციების დაუფლება.**

ზოგადად, ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების კანონების შესახებ. შესაბამისად, სწორი, ანუ ლოგიკური აზროვნება იკვლევს და ახარისხებს არგუმენტირებულ განცხადებათა სტრუქტურას, მათ წყობას. **ლოგიკური სააზროვნო ოპერაციები განკუთვნილია**: განსაზღვრების, კლასიფიკაციის, დამტკიცების, უარყოფის, განზოგადების, ანალიზის, შედარების, ახალი მასალის ათვისების, კანონზომიერების დადგენის, ასოციაციური კავშირების დამყარების, არგუმენტირების, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენა-განმტკიცებისთვის. აღსანიშნავია, რომ ასეთი დავალებები ფაქტობრივი მასალის ცოდნასაც საჭიროებს და თავადაც უწყობს ხელს მასალის ათვისებას.

**ლოგიკური ამოცანების შესრულება იწყება** მარტივი დავალებებით, რომელთაც მკაფიოდ გამოხატული პრაქტიკული, სასწავლო-შემეცნებითი ხასიათი აქვთ. ისინი ინფორმაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარება მოსწავლეს. საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათ შორის **ისტორიის შესწავლისთვის** ასეთი დავალებების გამოყენება V-VI კლასიდან იწყება, როდესაც საგნისადმი მოსწავლეთა ინტერესი მაღალია. დავალებები დიფერენცირებულია და ასაკის შესაბამისი. **ასეთი დავალებებია:**

- ტექსტის ანალიზი და სიტუაციის გარკვევა;
- პირობის დადგენა და საყრდენი ცნებების პოვნა;
- ტექსტიდან ცნობილი და უცნობი, საკმარისი და არასაკმარისი, ასევე ზედმეტი ინფორმაციის გამოყოფა;

**ზოგადად, ლოგიკა არის მეცნიერება სწორი აზროვნების კანონების შესახებ. შესაბამისად, სწორი, ანუ ლოგიკური აზროვნება იკვლევს და ახარისხებს არგუმენტირებულ განცხადებათა სტრუქტურას, მათ წყობას.**

- რაოდენობრივი და თვისებრივი განსხვავებების გამოვლენა;
- სიტუაციური მოდელის (ვიზუალური, სქემატური, გრაფიკული) წარმოდგენა;
- ამოცანის ელემენტების დაკავშირება მოდელის შემადგენელ ელემენტებთან;
- დავალების ტიპის დადგენა;
- ინფორმაციის დაშლა პატარ-პატარა ნაწილებად და უმარტივეს დავალებამდე დაყვანა;
- მოქმედებების და მათი თანმიმდევრობის ამორჩევა და არჩევანის დასაბუთება;
- ტექსტის შეკვეცა უმარტივეს ჩანაწერამდე.

ყველაზე **მარტივი ლოგიკური ამოცანები** V-VI კლასის პროგრამის მიხედვით:

I – დააკავშირე:

| | |
|---|---|
| 1. თევზჭერა | ა. ხმალი |
| 2. ნადირობა | ბ. ჰარპუნი |
| 3. შემგროვებლობა | გ. ნამგალი |
| 4. მიწათმოქმედება | დ. ჯოხი |

II – გამოიყენე მეორე სვეტის სიტყვები და პირველი სვეტის სიტყვებს მოუძებნე შესატყვისი განსაზღვრება:

| | |
|---|---|
| 1. ქვის | ა. თემი |
| 2. გონიერი | ბ. ადამიანი |
| 3. ძვლის | გ. იარაღი |
| 4. მშობლიური | დ. ურო |

ასეთი მარტივი დავალებები იმაზე დიდ ინტერესს იწვევს, ვიდრე უბრალო შეკითხვები (მაგალითად, „როგორი იარაღით დადიოდა პირველყოფილი ადამიანი სანადიროდ?“ ანდა „რა მასალით მზადდებოდა ჰარპუნი?“)

სწავლის ზედა საფეხურზე დავალებები და ლოგიკური ამოცანები აუცილებლად გართულდება. მაგალითად, VII კლასის ისტორიის შესწავლისას შესაძლებელია ასეთი დავალებების მიცემა:

სავარჯიშო – **დააჯგუფეთ ისტორიული პიროვნებები მათი პროფესიული საქმიანობის მიხედვით:**

| | |
|---|---|
| 1. ეხნატონი | ა. ლიკურგე |
| 2. ჰეროდოტე | ბ. ტიგლათფილასარი |
| 3. სანხერიბი | გ. ფარნავაზი |
| 4. ხამურაბი | დ. თუკიდიდე |

**პასუხები:**

ა. ეხნატონი და ფარნავაზი – ცნობილი რელიგიური რეფორმატორები;
ბ. სანხერიბი და ტიგლათფილასარი – ცნობილი ასურელი სარდლები;
გ. ხამურაბი და ლიკურგე – გამოჩენილი კანონმდებლები;
დ. ჰეროდოტე და თუკიდიდე – ცნობილი ბერძენი ისტორიკოსები.

მნიშვნელოვან და საჭირო მიმართულებას წარმოადგენს ასევე **დავალებები ზედმეტი მოცემულობებით , ანუ ზედმეტი ინფორმაციის ამოცნობის სავარჯიშოები**. ეს დავალებები შეიძლება გადაწყდეს ისე, რომ გარკვეული ინფორმაცია დარჩეს ტექსტის გარეთ. ასეთი მონაცემების პოვნა ტექსტში მოსწავლისგან მოითხოვს მთელ რიგ მოქმედებებს:

- პირობა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მასში დარჩეს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც შესრულებისთვისაა საჭირო;
- ამოცანა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ტექსტში არსებული ყველა ინფორმაცია ამოცანის გადაჭრისთვის იყოს აუცილებელი.

განვიხილოთ სავარჯიშო **„გამოყავი ზედმეტი სიტყვა და დაასაბუთე შენი არჩევანი“** (V კლასის მასალის მიხედვით):

ა) ხმალი, მშვილდი, ჰარპუნი
**პასუხი** – ჰარპუნი თევზჭერისთვის გამოიყენებოდა, დანარჩენი კი – ნადირობისთვის.
ბ) კოჰორტა, სატრაპია, ლეგიონი
**პასუხი** – კოჰორტა და ლეგიონი რომაული სამხედრო საჯარისო ნაწილები იყო, სატრაპია კი ირანული ტერიტორიული ერთეული გახლდათ.
გ) რომელია ზედმეტი ინფორმაცია? (V კლასის მიხედვით): „ტაძრის ასაშენებლად მშენებლებმა მოიტანეს სამშენებლო მასალები: 5 ტონა ქვა, 0, 5 ტონა ალიზი, 500 ლიტრი ხორბალი, 1 ტონა ხე-ტყე, 40 კუბი ქვიშა“.

- რომელი მასალაა აქ ზედმეტი?

შემდეგ დავალებები გართულდება და დაემატება ვარიანტები, როდესაც **ამოცანის პასუხი შეიძლება იყოს ერთი ან მეტი. ამავდროულად მოსწავლემ უნდა დაასაბუთოს თავისი არჩევანი.**

სავარჯიშო – **„იპოვეთ ზემეტი სიტყვა“** (მაგ., VII კლასის ისტორიის პროგრამის მიხედვით):

ა) **მეჩეთი, ქრისტიანობა, ისლამი**

*პასუხის I ვარიანტი:* ზედმეტია მეჩეთი (მეჩეთი ნაგებობაა, ქრისტიანობა და ისლამი მსოფლიო რელიგიებია);

*პასუხის II ვარიანტი:* ზედმეტია ქრისტიანობა (მეჩეთი ნაგებობაა, რომელიც დაკავშირებულია ისლამთან).

ბ) **სპარტაკი, ანიკეტი, კატილინა, სულა**

*პასუხის I ვარიანტი:* ზედმეტია სულა (სპარტაკი და ანიკეტი ცნობილი არიან, როგორც აჯანყების მეთაურები, კატილინა კი – როგორც შეთქმულების მეთაური);

*პასუხის II ვარიანტი:* ზედმეტია ანიკეტი (სპარტაკი და კატილინა რომის იმპერიასთან დაკავშირებული პერსონები იყვნენ, ანიკეტი კი – პონტოსთან).

სწავლის ზედა საფეხურზე ასეთი ტიპის ინფორმაცია შეიძლება გაცილებით ვრცელი იყოს და შესაბამისად – დავალებაც კიდევ უფრო რთულად შესასრულებელი. მაგალითად, **„იპოვეთ ტექსტში ზედმეტი ინფორმაცია“** (X კლასის ისტორიის კურსის მაგალითზე):

„ანტიოქიის ეკლესია და სირიული ასკეტური სამონასტრო ცხოვრება მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული (როცა 13 ასირიელი მამა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განმარტოვდა და სამონასტრო ცხოვრება დაიწყო) დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქრისტიანული ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტაძრების მშენებლობის ტექნიკის ცოდნას. 963 წელს, ხარება დღეს, 25 მარტს დაუწყიათ ოშკის ეკლესიის შენება. ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზე კურთხეულა, ქტიტორნი ყოფილან მეფენი ჩვენნი დავითი (მომავალში დავით III კურაპალატი) და მისი ძმა ბაგრატი, მშენებლობის ზედამხედველობა გრიგოლისთვის მიუნდვიათ, ყოველწლიურად 5000 ფისოსი ღვინო გაუციათ და 250 გრივი ხორბალი გაუხარჯავთ, 50 ლიტრი რკინა დასჭირვებიათ და ყოველწლიური ხარჯი 20000 დრამა ყოფილა. მუდმივად 50 კალატოზს, მშენებელსა და მჭედელს უმუშავია, სულ კი 80 კაცი მუშაობდა. ქვას 30 ხარი ეზიდებოდა, 30 იყო გრიგოლწმინდიდან სპონდაკის ქვის მომტანი. ტაძრის მშენებლობა 10 წელს გრძელდებოდა“.

**პასუხი:** ზედმეტი ინფორმაციაა: „ანტიოქიის ეკლესია და სირიული ასკეტური სამონასტრო ცხოვრება მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული (როცა 13 ასირიელი მამა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განმარტოვდა და სამონასტრო ცხოვრება დაიწყო) დიდი პოპულარობით სარგებლობდა“, რადგან ტექსტის მთავარი აზრია ეკლესიის მშენებლობა.

**ასეთი დავალებები აყალიბებს ლოგიკურ აზროვნებას (ლოგიკურ ისტორიულ აზროვნებას), არგუმენტირების უნარს და ხელს უწყობს ფაქტების დამახსოვრებას და ცოდნას, ხოლო ისეთი ტიპის დავალებები, როგორიცაა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა, ხელს უწყობს ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებას და განმტკიცებას.**

მაგალითად, სავარჯიშო **„დაალაგეთ მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით“** (IX კლასის მასალის მიხედვით):

ა. ქართლის გაქრისტიანება;
ბ. ბაგრატ III-ის მეფობა;
გ. აშოტ კურაპალატის მმართველობა;
დ. ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა.

ისტორიის სწავლებაში ასეთი ტიპის დავალებები ფართოდ გამოიყენება, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობას მაინც უჭირს მათი შესრულება, რადგან მეტწილად საჭიროებს ლოგიკურ აზროვნებას და ნაკლებად – ფაქტებისა და მოვლენების ცოდნას. ასეთ დროს საკმარისია მოვლენების დაკავშირება ისტორიულ პიროვნებებთან, მმართველებთან, რომელთა დროსაც მოხდა ესა თუ ის მოვლენა, შემდეგ კი მმართველების დალაგება, რაც გაცილებით ადვილია, ვიდრე მოვლენებისა და ფაქტების დეფინიცია. შედეგად, ცხადია, დავალებაც შესრულებულია.

**ნებისმიერი საგნის სწავლებისას გამოყენებული სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტთან მუშაობას ითვალისწინებს, იქნება ის ბუნებრივი ხიდი, რომლითაც მოსწავლე შეძლებს სასწავლო მიზნების შესრულებას.**

შემდეგი ტიპის **ლოგიკური დავალებაა „დაასრულე ლოგიკური ჯაჭვი“:**

ა. ხსნის კავშირი, რეკონკისტა... (მაგ., წინააღმდეგობის მოძრაობა);
ბ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი „დასტურლამალი“... (მაგ., „ძეგლისდება“).

**ლოგიკური ამოცანების შესრულების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ანალოგიის, ანუ მსგავსების პოვნა, რომელიც შეესაბამება მოვლენებსა და ცნებებს.**

განვიხილოთ დავალება VIII კლასის მასალის მიხედვით:

ა. რუსეთი – ვოლგა, იტალია... (ტიბრი);
ბ. საფრანგეთის და ავსტრიის ბრძოლა (ვაგრამთან გამარჯვება);
გ. 1812 წლის სამამულო ომი... (ბოროდინოსთან ბრძოლა).

შემდეგში, სწავლის ზედა საფეხურზე, ლოგიკური ამოცანები კიდევ უფრო რთულდება და ემატება ახალი ტიპის სავარჯიშო – **კანონზომიერების დადგენა.** ამ დავალების შესრულებისთვის მოსწავლეებმა ტექსტში უნდა იპოვონ **მთავარი სიტყვა, ანუ ძირითადი ცნება.**

მაგალითად, **„იპოვეთ კანონზომიერება სიტყვებში და დაყავით ისინი 2 ჯგუფად, შემდეგ კი დაასათაურეთ“** (XI კლასის მასალის მიხედვით):

**სიტყვები/ცნებები:** ქურუმები, კერპები, ქრისტე, წარმართობა, ხატი, ოდინი, ქრისტიანობა, სიწმინდე, ტაძარი, გუმბათი, აღდგომა

**პასუხები:**

**წარმართობა:** ქურუმები, კერპები, ოდინი, სიწმინდე;

**ქრისტიანობა:** ქრისტე, ხატი, ტაძარი, აღდგომა.

შემდეგში მოსწავლეები **გამორიცხავენ ტექსტში ძირითადი სიტყვის/ცნების არსებობას და დამოუკიდებლად დაადგენენ კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმებს.**

მაგალითად: **„იპოვეთ კანონზომიერება, განსაზღვრეთ კლასიფიკაციისთვის საჭირო კრიტერიუმები და დაყავით ინფორმაცია 2 ჯგუფად“:**

ა. ბარკალაი დე-ტოლი, პ. ბაგრატიონი, მ. კუტუზოვი;
ბ. ანტიგონე I, ლისიმაქე, სელევკოსი, პტოლემაიოსი.

(**კლასიფიკაციის პრინციპები:** 1. სარდლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში; 2. ალექსანდრე მაკედონელის ცნობილი სარდლები/მემკვიდრეები).

არანაკლებ მნიშვნელოვანია **ცნებების განზოგადებაზე** ორიენტირებული სავარჯიშოები, რადგან აქ მოსწავლეებს კრიტიკულ და ანალიზურ აზროვნებასთან ერთად სინთეზური აზროვნებაც სჭირდებათ. ეს სავარჯიშოები ასევე ხელს უწყობს პასუხების სწორად ფორმულირებას, ლექსიკის გამდიდრებას და ტერმინების სწორად გამოყენებას.

საწყის ეტაპზე აუცილებელია მარტივი დავალებების შეთავაზება, შემდეგ კი – გართულება. მაგალითად:

1. **უძველესი ადამიანის საქმიანობის რომელ ფორმას უკავშირდება შემდეგი სიტყვები:**
   ა. მამონტი, მშვილდი, ისარი (ნადირობა);

ბ. მდინარე, ჰარპუნი (თევზჭერა);
გ. კენკრა, ნაყოფი, ჯოხი (შემგროვებლობა).

2. **რომელ მოვლენას ანდა რომელ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება შემდეგი სახელები ანდა მოვლენები:**
   ა. იარლიყი, დამღა, ყალანი (მონღოლთა ბატონობა);
   ბ. პოტიომკინი, სუხოტინი, სუვოროვი (რუსეთ-თურქეთის ომები);
   გ. უქიმერიონი, პეტრა, მოხირისი, შორაპანი („დიდი ომიანობა“ ეგრისში).

დავალების გართულების შემთხვევაში ამოცანას შეიძლება ასეთი სახე მიეცეს: **„იპოვეთ შემდეგი სიტყვების, მოვლენების და ცნებების განმაზოგადებელი სიტყვა“**:

ა. პროტექტორატი, რესპუბლიკა, მონარქია – ესაა... (მმართველობის ფორმები);
ბ. თეოდორ რუზველტი, ჯორჯ ვაშინგტონი, აბრაამ ლინკოლნი... (ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები);
გ. კადეში, დარა, კალიასი... (სამშვიდობო ხელშეკრულებები);
დ. ანანური, ხერთვისი, აწყური... (ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები).

ასეთ დავალების შესრულებისას მთავარია **განმაზოგადებელი** სიტყვის სწორად ფორმულირება, რამდენადაც პოლიტიკურ ფიგურებს ხშირად აიგივებენ პარტიულ ლიდერებთან, სახელმწიფო მოღვაწეებს – მმართველებთან, ერთმანეთში ურევენ მმართველობის ფორმებს და პოლიტიკურ რეჟიმებს და ა.შ.

კიდევ უფრო რთულია სავარჯიშო, რომელიც **დაკავშირებულია საერთო და განმასხვავებელი ნიშნების** პოვნასთან.

მაგალითად, **„მოცემულ ცნებებში იპოვეთ საერთო და განმასხვავებელი ცნება“**:

ა. ადამიანთა ჯგუფი და საგვარეულო თემი (**საერთო**: ადამიანთა ჯგუფი; **განსხვავება**: საგვარეულო თემი გარკვეული კოლექტივია, მაგრამ ის ნათესავების კოლექტიურ გაერთიანებას წარმოადგენს);
ბ. მეფე და პრეზიდენტი (**საერთო**: ქვეყნის მეთაურობა; **განსხვავება**: მეფის ხელისუფლების გადაცემა ხდება მემკვიდრეობით, პრეზიდენტის – არჩევნების გზით).

**ლოგიკური ამოცანებით მოსწავლეს უყალიბდება საჭირო ინფორმაციის გადამუშავების უნარ-ჩვევა, შედეგად კი ის შეძლებს თავადაც მოიგონოს მსგავსი ტიპის დავლებები, მოახერხოს ლოგიკური ამოცანების შეკითხვების სწორად ფორმულირება და შესასწავლი წყაროს მოკლე კონსპექტის ჩაწერა (შინაარსის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით).**

ზემოთ მოცემული ნებისმიერი დავალების შესრულების დროს შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზოთ ასეთი სავარჯიშოც:

ა. **დასვით შეკითხვა** ისე, რომ ზედმეტი აღმოჩნდეს დავალების პასუხი, ხოლო დანარჩენი კი მისი გამოცნობისთვის იყოს საჭირო;
ბ. **ჩამოაყალიბეთ** ახალი დავალების პირობა და გადაწყვიტეთ ის.

სავარაუდო პასუხი სავარჯიშოსთვის **„იპოვეთ ზემეტი სიტყვა“** (X კლასის ისტორიის კურსის მაგალითზე):

ა. როდიდან გახდა პოპულარული ანტიოქიის ეკლესია და სირიული სამონასტრო ცხოვრება?
**პასუხი**: მეექვსე საუკუნიდან.
ბ. რამ შეუწყო ხელი მის პოპულარობას საქართველოში?
**პასუხი**: 13 ასირიელი მამის ჩამოსვლამ საქართველოში და სხვადასხვა კუთხეში სამონასტრო ცხოვრების დაწყებამ.
გ. **რომელი ინფორმაციაა ზედმეტი ტექსტში?**
**პასუხი**: ზედმეტია ომკის ტაძრის მშენებლობაზე მოცემული ინფორმაცია.

თანდათან მოსწავლე შეძლებს განსაზღვრების, კლასიფიკაციის, დამტკიცების, უარყოფის, განზოგადების, ანალიზის, შედარების, ახალი მასალის ათვისების, კანონზომიერების დადგენის, ასოციაციური კავშირების დამყარების, არგუმენტირების, დამოუკიდებელი მუშაობის, ანუ **ლოგიკური ამოცანების** ამოხსნის უნარ-ჩვევების შეძენას/განმტკიცებას. ის შეამცირებს ასეთ დავალებებზე დახარჯულ დროს და გაზრდის ცოდნის შეძენის ხარისხს და სისწრაფეს. ლოგიკური ამოცანების შესრულებით და ინფორმაციასთან მუშაობის გამოცდილებით მას ჩამოუყალიბდება კრიტიკული, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევები, რის შედეგადაც წარმატებით დაეუფლება სასწავლო-საგნობრივ კომპეტენციებს და მიაღწევს დასახულ მიზნებს.

თამარ მოსიაშვილი

# სიღარიბის გავლენა განათლებაზე

**„თუ ჩვენი ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს“.**

*ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“. 1879 წ. აპრილი*

## 1. შესავალი

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კანონმდებლები და განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანები, რიგითი მოქალაქეები გამუდმებით საუბრობენ სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ვალდებულებაზე, უზრუნველყონ ხარისხიანი განათლება ყველა ბავშვისთვის. თუმცა საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბავშვები სკოლებში მრავალი ნიშნით არიან დაყოფილები ცალკეულ ჯგუფებად. ეს ნიშნებია: ეკონომიკური სტატუსი, შეზღუდული შესაძლებლობა, ეთნიკური წარმოშობა, საცხოვრებელი ადგილი. მტკიცებულებები და კვლევები ღიად მიგვითითებენ, რომ ამგვარი დაყოფა საზიანოა როგორც ბავშვებისთვის, ასევე ქვეყნისთვის.

თუმცა ნამდვილად ღირს ოცნება იმის შესახებ, რომ საქართველოში თავდადებული და გაბედული ადამიანები შეძლებენ ისეთი სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანი შეძლებს მიიღოს ხარისხიანი განათლება. გვწამს, რომ სიღარიბით გამოწვეული სეგრეგაცია მტკივნეულ წარსულს ჩაბარდება, ბავშვები მიიღებენ კარგ განათლებას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში.

ამ სტატიის დაწერა ჩემმა ერთმა წარუმატებელმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიკარნახა. წლების წინ მასწავლებელი ვიყავი. ჩემი სკოლა არ მიეკუთვნებოდა ელიტური სკოლების ჯგუფს. სკოლაში სასწავლო პროცესი მოწესრიგებული იყო, კვალიფიციური მასწავლებლები ბევრ საინტერესო ღონისძიებასა თუ გაკვეთილს ატარებდნენ. სკოლაში ერთ-ერთი მთავარი სირთულე რუტინისთვის თავის გართმევაა. ახალბედა პედაგოგი ვიყავი, ახალგაზრდული შემართებით ვცდილობდი, მემუშავა კარგად, მესწავლა მასწავლებლობა და მესწავლებინა ჩემი ბავშვებისთვის. მაგრამ სტატიაში წარუმატებელი ამბავი უნდა აღვწერო, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. კლასის ხელმძღვანელი ვიყავი და ერთი ბიჭის მშობელთან ვერ ვახერხებდი ურთიერთობას. ბავშვი სკოლას აცდენდა, გაკვეთილებს არ ამზადებდა, სკოლაში არც წიგნი მოჰქონდა და არც - რვეული. ვშფოთავდი ამ ბავშვის გამო, ვცდილობდი, მესაუბრა მასთან, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. როგორც იქნა, შევხვდი მშობელს და შევეცადე, დეტალურად ამეხსნა ის პრობლემები, რაც მის შვილს ჰქონდა. დედა შეზღუდული შესაძლებლობის იყო, თითქმის ვერ ხედავდა. ჩემი ხანგრძლივი მონოლოგის შემდეგ მითხრა: რას მელაპარაკებით, თქვენ იცით, ჩემს შვილს დღეს მარტო თუთა აქვს ნაჭამიო. ამ პასუხისთვის მზად არ ვიყავი და არც ის ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მშობელმა ისიც მითხრა, სახლში ჩემი შვილის ამხანაგებსაც ვერ ვეპატიჟები, სანაგვეში როგორ უნდა მოვიდნენო. ბავშვმა მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ დატოვა სკოლა. იმედია,

კარგადაა და იპოვა საკუთარი გზა ამ რთულ ცხოვრებაში. სიღარიბემ მას ადვილი ბავშვობა არ არგუნა წილად.

## 2. სიღარიბე საქართველოში

მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, სიღარიბე და უმუშევრობა დღემდე საქართველოს უმთავრეს გამოწვევად რჩება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, სიღარიბის დონე კვლავ მაღალია. სიღარიბის რეგისტრირებული მაჩვენებელი 11,6%-ია, ხოლო უმუშევრობის –12,4%. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მიხედვით, ქალაქ თბილისში ერთ სულზე საშუალო შემოსავალი გაცილებით მაღალია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი ნებისმიერ სხვა რეგიონში, გარდა აჭარისა, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთისა (ურბანიზებულ რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი შემოსავალი ფიქსირდება). სიღარიბე განპირობებულია როგორც უმუშევრობით, ასევე ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებში თვითდასაქმებულთა დაბალი შემოსავლით. გლობალურმა კრიზისმა და რუსეთთან ომმა საქართველოში სიღარიბის მასშტაბები და სიმძიმე უფრო გაზარდა. სოფლად ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა 2009 წელს 24.7% შეადგინა, ხოლო 2013 წელს იგი 27.1 %- მდე გაიზარდა. საქართველოში სიღარიბის მასშტაბები სოფელში უფრო დიდია, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. განსხვავება 2000-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. ეკონომიკის სწრაფი ზრდის პერიოდში ურბანულ რაიონებში სიღარიბე 2003 წელს არსებული 23.7%-დან 2007 წელს 18%-მდე შემცირდა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში იმავე პერიოდში იგივე მაჩვენებელი 33%-დან 29.4%-მდე შემცირდა. საქართველოში ღარიბთა დაახლოებით 2/3 სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს.

> **„სკოლები, რომლებიც ეფექტურად მუშაობენ ღარიბ ბავშვებთან, სახელმწიფომ უნდა აღიაროს წარმატებულ სკოლებად. მათი მიღწევები უნდა გაუთანაბრდეს საერთაშორისო ოლიმპიადებსა და უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა რაოდენობის მიხედვით აღიარებული პრესტიჟული სკოლების მიღწევებს.“**

გაეროს ბავშვთა ფონდის, UNICEF-ის მონაცემებით, 2013 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების მაჩვენებელი 27%-ია, რაც 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2%-ით აღემატება. ეს ბავშვები დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარენ. კვლევამ აჩვენა, რომ უღარიბეს ოჯახებში 17 წლის ბიჭების მხოლოდ 53% დადიოდა რაიმე სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2012-2013 სასწავლო წელს. 18 წლის ბიჭებისთვის ეს მაჩვენებელი 47%-ია.

## 3. ღარიბი ბავშვი სკოლაში

ბავშვზე ორიენტირებული, ჰუმანისტური სკოლის შექმნა შეუძლებელია, თუ სკოლაში არ არის ღარიბი ბავშვების მხარდამჭერი გარემო. არსებობს სტერეოტიპი, რომ ღარიბი ზარმაცია, არ აკეთებს სწორ არჩევანს და ამიტომ უწევს სიღარიბეში ცხოვრება. ადამიანები თავს დამცირებულად გრძნობენ, როდესაც სიღარიბის გამო ადანაშაულებენ. საერთაშორისო კვლევებმა სულ სხვა რეალობა დაგვანახა(Beegle, 200; Danziger &Haveman, 2001). ღარიბ ოჯახებში გაზრდილი მოსწავლეები ღარიბებად რჩებიან. ბევრი ფაქტორის გამო, ასეთი ბავშვები ცხოვრებას ვერ იუმჯობესებენ. ღარიბი ბავშვებისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება რთულია, მაგრამ არა – შეუძლებელი.

რას ნიშნავს, იყო ღარიბი? ასეთი ბავშვების მშობლები ხშირად ცუდ გუნებაზე არიან, რადგან მუდმივად ცდილობენ, იშოვონ საჭმელი, გამოკვებონ შვილები, მონახონ თავშესაფარი და დაიკმაყოფილონ სხვა მოთხოვნილებები.

ღარიბი ბავშვები შეიძლება ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ, ცუდად იკვებებოდნენ, არ ჰქონდეთ სეზონური ტანსაცმელი, ზამთარში კარგად ვერ თბებოდნენ, მუშაობდნენ მშობლებთან ერთად საოჯახო მეურნეობებში. მშობლებს, რა თქმა უნდა, ადარდებთ შვილების მდგომარეობა, მაგრამ ძალა აღარ ყოფნით და მხარს ვერ უჭერენ მათ.

უნდა გვესმოდეს, რომ ბევრი ღარიბი ოჯახი განათლებას არ მიიჩნევს მნიშვნელოვნად. ისინი გადარჩენისთვის ბრძოლაში არიან ჩაბმულნი და ფიქრობენ, რომ შვილებიც უნდა ეხმარებოდნენ, ნაცვლად იმისა, რომ საშინაო დავალებები აკე-

თონ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ერთი ჩვენი მოქალაქე ამბობს: „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ადამიანი აღარ ვარ“ („ბათუმელები“, 11 ნოემბერი, 2015).

ღარიბი მშობლები სამუშაოში მინიმალურ ხელფასს იღებენ, რაც მხოლოდ თავის გასატანადაა საკმარისი. მოსაზრება, რომ ბავშვებმა კარგად უნდა ისწავლონ და კარგი სამსახური იშოვონ, მათთვის აზრს მოკლებულია. ხშირად არ ესმით, რომ განათლებას შეუძლია მათ შვილებს უკეთესი მომავალი შეუქმნას. თუ ღარიბი ბავშვი თვლის, რომ მასწავლებელმა არ იცის, რა სჭირდება და როგორ ცხოვრობს, შეიძლება გაუჩნდეს გრძნობა, რომ სასკოლო საზოგადოებას არ ეკუთვნის. დაბალი თვითშეფასებისა და სიმორცხვის გამო, ასეთი ბავშვები გაკვეთილზე წყნარად სხედან, ან გაღიზიანებულნი არიან, უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ სხვების მიმართ და ყოვლისმცოდნეებად მოაქვთ თავი. ისინი ხშირად ვერ ახერხებენ დავალების შესრულებას და წესრიგში არა აქვთ სასწავლო მასალები.

ღარიბი თემის სკოლები ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან. საზოგადოების მხრიდან ასეთი სკოლების მხარდაჭერა ფრიად მნიშვნელოვანია.

## 4. სახელმწიფოს პოლიტიკა ღარიბ ბავშვებთან დაკავშირებით

საქართველოს ყველა მოქალაქისთვის 12-წლიანი განათლება უფასოა. განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, სახელმწიფომ 2013 წლიდან დაიწყო სახელმძღვანელოებისა და სატრანსპორტო მომსახურების დაფინანსება. შეიცვალა მასწავლებლის პროფესიის რეგულაციები, დაიწყო სკოლის ექიმის ინსტიტუტის ამოქმედება. მიმდინარეობს პროფესიული განათლების რეფორმა, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც რეგიონული ჭრილი, ასევე ინკლუზია.

უმაღლესი განათლების დაფინანსება მოიცავს სოციალურ პროგრამას ბაკალავრებისთვის. 2013 წელს გამოყოფილი თანხით 1550-მდე სტუდენტი დაფინანსდა, 2013-2014 წლებში სახელმწიფომ დაიწყო 17 საბაკალავრო პროგრამის დაფინანსება, 2013 წელს 3 529 სტუდენტს მიეცა სწავლის საშუალება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე. სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება ეხება ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შვილებს, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, სოციალურად დაუცველ სტუდენტებს. სახელმწიფო სტიპენდიას, 150 ლარის ოდენობით, 10 თვის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4% იღებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წელს უნივერსიტეტებში სწავლობდა 1177 ათასი სტუდენტი. სოციალური პროგრამები სტუდენტთა საერთო რაოდენობის მცირე ნაწილს ეხება. სიღარიბის მასშტაბებიდან გამომდინარე, ბევრი ღარიბი მოზარდი ვერ ახერხებს უმაღლესი განათლების მიღებას.

**ბავშვთა უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლი** განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

**მუხლი 28**

**გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასთვის თითოეულის უნარის შესატყვისად. დ)უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის.**

## 5. საცხოვრებელი ადგილი, სარეპეტიტორო სკოლა და ღარიბი ბავშვი

სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და საცხოვრებელი ადგილი ხშირად ბავშვს სერიოზულ პრობლემებს უქმნის სწავლის გაგრძელებასა და პროფესიის დაუფლებაში. მოსწავლის აკადემიური მოსწრება კავშირშია მის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. მაგალითად, წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მონაცემებით, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ (508, 89), სოფელში მცხოვრები ბავშვების მაჩვენებლები კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება PIRLS-ის საშუალო მაჩვენებელს. ამავე კვლევაში აღნიშნულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

**ნამდვილად ღირს ოცნება იმის შესახებ, რომ საქართველოში თავდადებული და გაბედული ადამიანები შეძლებენ ისეთი სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც ყველა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანი შეძლებს მიიღოს ხარისხიანი განათლება. გვწამს, რომ სიღარიბით გამოწვეული სეგრეგაცია მტკივნეულ წარსულს ჩაბარდება, ბავშვები მიიღებენ კარგ განათლებას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საქმეში.**

ეს ფაქტორებია:

- ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI), რომელიც, გაეროს მიხედვით, წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ინდიკატორს. ის აერთიანებს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი. სახელმწიფოს ხარჯები განათლებაზე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს არ აღემატება;
- მოსწავლეთა ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობა;
- კომპიუტერის ხელმისაწვდომობა;
- მასწავლებლის კვალიფიკაცია;
- სკოლისა და ოჯახის კომუნიკაცია.

საცხოვრებელი ადგილი განსაზღვრავს, რომელ უმაღლეს სასწავლებელში გადაწყვეტს აბიტურიენტი ჩაბარებას. ის აბიტურიენტები, რომლებიც სკოლას დედაქალაქში არ ამთავრებენ, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე პირველ არჩევნად ძირითადად არაპრესტიჟულ ან ნაკლებად პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ასახელებენ (მ. ჩანქსელიანი, 2012). ამავე კვლევის მიხედვით, სოფლებში მცხოვრები სტუდენტები, თბილისელებთან შედარებით, დაახლოებით 7-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე არაპრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. აბიტურიენტები უნივერსიტეტის შერჩევისას ითვალისწინებენ სასწავლებლის ადგილმდებარეობას, მანძილს სახლამდე, საცხოვრებელ ხარჯებს, სწავლის საფასურს, პრესტიჟს და სასურველი პროგრამის არსებობას.

საქართველოში არსებული საგამოცდო სისტემა სირთულეებს უქმნის სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს. 2005 წლიდან საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა ამოქმედდა. ყველა აბიტურიენტი აბარებდა ცენტრალიზებულად ადმინისტრირებულ გამოცდებს. ამ ცვლილებამ პრაქტიკულად აღმოფხვრა კორუფცია მისაღებ გამოცდებზე. 2010 წლიდან მთავრობამ საატესტატო გამოცდების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. ტესტირების შინაარსობრივი და პროგრამული მხარის მომზადება დაევალა გამოცდების ეროვნულ ცენტრს. 2011 წლიდან კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების (Gcat) სისტემა ამოქმედდა. 2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში ტარდება. მე-11 კლასის მოსწავლეები აბარებენ ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და გეოგრაფიას, ხოლო მე-12 კლასის მოსწავლეები - მათემატიკას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენასა და ისტორიას. გამოსაშვებ გამოცდებში ყოველწლიურად 45 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტებს დამატებით ოთხი ეროვნული გამოცდის ჩაბარება უწევთ. სულ ცენტრალიზებულად ჩატარებული გამოცდების რაოდენობა 12-ია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში არსებული სარეპეტიტორო სკოლა ძირითადად მორგებულია საგამოცდო სისტემის მოთხოვნებს.

2011 წელს ჩატარებული კვლევის „კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში“ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „რესპოდენტების 40%-ის აზრით, რეპეტიტორობაზე მოთხოვნას სკოლაში ნასწავლი მასალის გამოცდების მოთხოვნებთან შეუსაბამობა განაპირობებს“. ამავე კვლევის მიხედვით, მშობელთა დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარია, რაც სახელმწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების 85.5%-ს შეადგენს. იმ ოჯახებში, რომლებსაც სასკოლო ასაკის შვილები ჰყავთ, განათლების ხარჯები მეორე ადგილზე დგას საკვების ხარჯების შემდეგ. რეპეტიტორობის მასშტაბი კი იზრდება საფეხურების ზრდასთან ერთად და განსხვავებულია როგორც ცენტრსა და პერიფერიაში, ასევე მაღალ და დაბალშემოსავლიან ოჯახებში. სარეპეტიტორო სკოლა სოციალური უთანასწორობის კიდევ ერთი ნიმუშია.

## 6. რამდენიმე მოსაზრება მდგომარეობის გამოსწორების თაობაზე

ღარიბი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული განათლების პოლიტიკა, სკოლებისა და მასწავლებლების როლი, სასკოლო თემის, კერძო სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესება სასკოლო ცხოვრებით. რა თქმა უნდა, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების როლი დიდია, მაგრამ ხშირად მათი შესაძლებლობები შეზღუდულია.

სკოლაში ღარიბი ბავშვების სწავლის დონის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული

ღონისძიებები უნდა უკავშირდებოდეს როგორც შიდა სასკოლო პოლიტიკის ცვლილებას, ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ღარიბ ბავშვებთან მუშაობის მიმართულებით.

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- სასურველია, სკოლის დონეზე ამუშავდეს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ღარიბი ბავშვებისთვის;
- სკოლა და კლასი არ უნდა შეიცავდეს მათთვის ემოციურ და სოციალურ საფრთხეს. ბავშვების ფსიქოლოგიური უსაფრთხოება მნიშვნელოვანია;
- მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობა, ოჯახებში ვიზიტი, რათა მასწავლებელმა გაიგოს მშობლის მოსაზრება და საჭიროება;
- სკოლამ უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ღარიბ ბავშვებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ;
- სკოლამ, შესაძლებლობის ფარგლებში, გაკვეთილების შემდეგ შეიძლება შესთავაზოს სარეპეტიტორო მომსახურება (ტუტორის პროგრამა), როდესაც მოსწავლის მშობელს არ აქვს შესაძლებლობა, მოამზადოს შვილი. ამგვარი მომსახურება ეფექტურია სწავლების ადრეულ საფეხურზე;
- როდესაც ბავშვს კარგი საცხოვრებელი პირობები არ აქვს, სასურველია, მას ჰქონდეს ისეთი საშინაო დავალება, რომლის შესრულებასაც შეძლებს.

სკოლის დონეზე ბავშვების მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედება შეუძლებელია სკოლის, საზოგადოებრივი, სათემო და ბიზნეს ორგანიზაციების თანამშრომლობის გარეშე. უნდა შეიქმნას სკოლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნესის თანამშრომლობის პლატფორმა, სადაც მოხდება ფინანსური რესურსების მობილიზება, რათა სკოლებმა შეძლონ დამოუკიდებლად გადაჭრან არსებული პრობლემები (გაამდიდრონ სასკოლო ბიბლიოთეკა, სკოლის ლაბორატორია, სოფლებში შექმნან სკოლის ბაზაზე არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრები, დააფინანსონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი და სხვა).

სკოლები, რომლებიც ეფექტურად მუშაობენ ღარიბ ბავშვებთან, სახელმწიფომ უნდა აღიაროს წარმატებულ სკოლებად. მათი მიღწევები უნდა გაუთანაბრდეს საერთაშორისო ოლიმპიადებსა და უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა რაოდენობის მიხედვით აღიარებული პრესტიჟული სკოლების მიღწევებს.

მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიაზროს ის მიზეზები, რომლებიც აძლიერებს სარეპეტიტორო სკოლას, და გადადგას ნაბიჯები ცენტრალიზებულად ადმინისტრირებული გამოცდების შესამცირებლად, სკოლაში მიღწეული წარმატების აღიარების მიმართულებით.

სკოლაში მრავალფეროვანი აქტივობები მნიშვნელოვანია მოსწავლეების განვითარებისთვის. ზოგჯერ ამ აქტივობების დაფინანსება მშობლების მხრიდან ხდება. ეს კი შეიძლება ღარიბი მშობლისთვის ახალი სტრესი იყოს. დამატებითი ხარჯები შეიძლება საჭირო გახდეს დამხმარე სახელმძღვანელოსთვის, ექსკურსიისთვის, საკითხავი წიგნისთვის. სასურველია ამ მიზნით დამატებით შემოსავლების მოძიება, რაც სკოლებისთვის რეგულაციების გამარტივების გარეშე შეუძლებელია.

მნიშვნელოვანია ადგილობრივ თემში არსებული რესურსების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობა. მაგალითად, თუ ვიცით საგანმანათლებლო ცენტრები ან სხვა სახის სერვის-პროვაიდერები, რომლებიც ბავშვებს ეხმარებიან ან არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება აქვთ, ხელი უნდა შევუწყოთ ბავშვებსა და ამ ორგანიზებს შორის კავშირების დამყარებას. თუ თემში არ არის არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრები, შესაძლოა ასეთი ცენტრი თავად სკოლა გახდეს.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მაია ჩანქსელიანი, გეოგრაფიული უთანასწორობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას: პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების არჩევისა და სასწავლებლებში ჩარიცხვის ალბათობა, 2012
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში, ოქტომბერი 2013
3. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა
4. გიორგი მაჩაბელი, თამარ ბრეგვაძე, რევაზ აფხაზავა „კერძო რეპეტიტორობის ფენომენის კვლევა საქართველოში", 2011
5. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo, ნანახია 2015 წლის 3 ნოემბერს
6. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo, ნანახია 2015 წლის 3 ნოემბერს
7. http://www.naec.ge/gamosashvebi-gamocdebii/zogadi-informacia.html?lang=ka-GE, ნანახია 2015 წლის 3 ნოემბერს
8. http://batumelebi.netgazeti.ge/GE/batumelebi/news/52214/ნანახია 2015 წლის 3 ნოემბერს
9. http://unicef.ge/62/1_ivnisi_2014/257, ნანახია 2015 წლის 3 ნოემბერს.

# ფიზიკური აქტივობა ფსიქიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად

ეკატერინე ყიფიანი

საგანმანათლებლო სკოლების მიზანი მხოლოდ გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა არაა. სასწავლო კურიკულუმები შეიცავს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისთვის შედგენილ პროგრამებსაც. ბოლო გამოკვლევების თანახმად, სხეულის ვარჯიში არა მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობას განაპირობებს, არამედ აზროვნებასაც აუმჯობესებს.

რა არის კარგი აზროვნება? რა ითვლება მაღალი ინტელექტის განმსაზღვრელად? ბევრი წიგნის წაკითხვა და დამახსოვრება? ცხოვრებისეული გამოცდილება? სივრცეში კარგი ორიენტაციის უნარი თუ სხარტი მათემატიკური აზროვნება?

დადგენილია, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები სტრესისა და გამოუვალი მდგომარეობების დროსაც სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ, თანაც უმოკლეს დროში. სწორედ ეს უნარი მიიჩნევა კარგი აზროვნების დამადასტურებლად.

ფსიქო-ფიზიოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ინფორმაციის სწრაფად დამუშავებას ემსახურება ხანმოკლე მეხსიერება, იგივე მუშა მეხსიერება. ის ასრულებს აღმასრულებელ ფუნქციას და აქვს განსაზღვრული ტევადობა, რაც გულისხმობს მოკლე დროში ინფორმაციის გარკვეული რაოდენობის დამახსოვრების უნარს. გარდა ამისა, თავის ტვინში მიმდინარეობს ინფორმაციის გადამუშავება წარსულში დაგროვილი გამოცდილების გახსენების თანადროულად. ამ დროს ხდება გადაწყვეტილების მიღებაც. რაც მეტი ინფორმაციის გადამუშავება შეუძლია თავის ტვინს მუშა მეხსიერების საშუალებით, მით მაღალია ადამიანის თავის ტვინის აღმასრულებელი ფუნქცია და გონებრივი შესაძლებლობები. კოგნიტურ უნარებში იგულისხმება სხვადასხვა საზროვნო პროცესი: რამდენად სწორად აღიქვამს ადამიანი გარემოს, როგორი სისწრაფით გადაამუშავებს ინფორმაციას, შეუძლია თუ არა პრობლემის სწორად მოგვარება, როგორია მისი სივრცეში ორიენტირების უნარი და ა.შ.

მაღალი ინტელექტის ადამიანებს განვითარებული აქვთ პრობლემების გადაჭრის, იმპულსების შეკავების, მსჯელობის უნარები, რადგან მათ დიდი ტევადობის მუშა მეხსიერება აქვთ. ფსიქოლოგები და ნეირომეცნიერები ეძებენ მუშა მეხსიერების გასაუმჯობესებელ გზებს ადამიანის ინტელექტის ასამაღლებლად.

მეცნიერები მუშაობენ ეფექტური დასწავლის და ყურადღების ფოკუსირების გაუსაუმჯობესებელი მეთოდების შემუშავებაზეც. გონებრივი აქტივობის (მეხსიერება და კონცენტრაციის უნარი) გასაუმჯობესებლად გამოყენებულ სპეციალურ სავარჯიშოთა ნაკრებს ტვინის „ჯოგინგს“ უწოდებენ. ამ სავარჯიშოებში შედის წარმოდგენილ რიცხვებს შორის არსებული კავშირების გამოცნობა, ნაჩვენები ცხო-

> **მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ იპოვიან ყველა იმ ქიმიურ ნივთიერებას, რომლებიც ვარჯიშის შედეგად წარმოიქმნება თავის ტვინში და კოგნიტური პროცესების გაუმჯობესებას იწვევს; შემდეგ შექმნიან მათ მსგავს მედიკამენტებს, და საბოლოოდ დაამარცხებენ თვით ალცჰაიმერის დაავადებასაც კი.**

ველების დამახსოვრება და შემდეგ დასახელება, უცხო ენის შესწავლა და მრავალი სხვა.

ტვინის აქტივობების გასაუმჯობესებლად მრავალი ექიმი სპეციალურ მედიკამენდებსაც ნიშნავს. მეცნიერებს სურთ იმგვარი „მეხსიერების მინიბარათის“ გამოგონებაც, რომელიც მობილური ტელეფონის



მსგავსად დაიტევს დიდ ინფორმაციას. თავის ტვინში მისი ჩანერგვის შედეგად კი ადამიანის ინტელექტის ხელოვნური ზრდა იქნება შესაძლებელი.

ბოლო გამოკვლევების თანახმად, თავის ტვინის კოგნიტური ფუნქციებისთვის „ჯოგინგსა“ და მედიკამეტებზე უკეთესი ეფექტი სპორტულ აქტივობას აქვს.

80-იან წლებში ატარებდნენ ექსპერიმენტებს, სადაც იზომებოდა სხვადასხვა ასაკის ადამიანების მიერ ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების სისწრაფე. აღმოჩნდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც სპორტული ცხოვრების წესს მისდევდნენ (რეგულარულად თამაშობდნენ ფეხბურთს, ფრენბურთს, ტენისს ან ბურთის ჩაწოდებასთან დაკავშირებულ სხვა თამაშებს), უფრო სწრაფად აღიქვამდნენ და აანალიზებდნენ ინფორმაციას, ვიდრე სპორტისგან მოწყვეტილი მათი თანატოლები.

2009 წელს ჩრდილოეთ კაროლინის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ფსიქოლოგებმა და ნეირომეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი 18 წელს გადაცილებულ 5538 მოხალისეზე. მათ მოხალისეები ორი კრიტერიუმის მიხედვით აირჩიეს: აერობიკის მსგავსი აქტივობების მიმდევრები, რომლებსაც უყვარდათ ველოსიპედით სიარული, სირბილი, ცეკვა და ა.შ. და ისინი, ვისაც სპორტთან არაფერი აკავშირებდა. 29 ტესტით გაიზომა კავშირი სპორტულ ცხოვრებასა და გონებრივ შესაძლებლობებს შორის.

აღმოჩნდა, რომ აერობიკის მსგავსი აქტივობების მიმდევრებს აღენიშნებოდათ ყურადღების უკეთესი კონცენტრირება, ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარის ზრდა და ტვინის აღმასრულებელი ფუნქციის გაუმჯობესება. ტვინის აღმასრულებელ ფუნქციებში იგულისხმება იმპულსების შეკავება, პრობლემების გადაჭრა, ინფორმაციის გახსენება, დაგეგმვა, ყურადღების კონცენტრირება.

გერმანიის სათხილამურო სპორტის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის და წიგნის „სპორტი ხდის საზრიანს“ ავტორის, ფრიდა ბეკის თანახმად, აღმასრულებელი ფუნქციაა, რომელიც თავს კარგად ან ცუდად გვაგრძნობინებს. მისი საშუალებით ეგუება ორგანიზმი გარემოს, მისი წყალობით ეადვილებათ მოსწავლეებს სკოლაში სწავლა. როგორ განათლებას მივიღებთ, რა მიღწევები გვექნება ცხოვრებაში, როგორ კარიერას ავიწყობთ – სწორედ ჩვენი თავის ტვინის აღმასრულებელი ფუნქცია განსაზღვრავს.

*დასასრული 31-ე გვერდზე*

# განათლება - თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

დიანა ანფიმიადი

## როგორ ვუყვარვართ, როგორ გვხედავენ

კიდევ ერთხელ ვიტყვი, მთავარი სიყვარულია. სწორედ ის აგებს კარგ გაკვეთილს, გულწრფელ ურთიერთობას. მას მოაქვს სიახლე და პროგრესი, აღმოჩენებისა და გაზიარებების ბედნიერება!

მე ბედნიერი ვარ იმ სიყვარულით, რომელსაც კლასში ვიღებდი და იმედია, ყოველთვის მივიღებ. ალბათ თქვენც ასევე.

გადავწყვიტე, ბევრი არ ვილაპარაკო და უბრალოდ გაცალოთ დატკბეთ, აღფრთოვანდეთ, გაგიხარდეთ, შეგიყვარდეთ თქვენი მოსწავლეების დახატული თქვენი საკუთარი თავი!

იყოთ ბედნიერები იმით, როგორ უყვარხართ; გიხაროდეთ, რომ ყველაზე კარგად გხედავენ, ყველაზე კარგებს და ყველაზე დიდი სიყვარულით.

მაშ ასე, ნახეთ მოსწავლეების მიერ დახატული მასწავლებლები:

### ქეთი მასწავლებელი

ქეთი სადღობელაშვილი
მხატვარი ლალი ფეიქრიშვილი

### თამთა მასწავლებელი

თამთა დოლიძეს
გაკვეთილის ბოლოს, მაგიდაზე დახვდა ეს ნახატი,
შესაბამისად, ავტორი არ იცის

### ნინო მასწავლებელი

ეს ნინო წიკლაურია, თავისმა მოსწავლემ დახატა. საერთოდ, მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ მისი ულამაზესი თმის ფერი.

## ლელა მასწავლებელი

**ლელა კოტორაშვილი** თბილისიდან უწერაში ჩავიდა, რომ იქაურ ბავშვებს ლიტერატურა შეაყვაროს. ჰოდა, ამ ნახატზე მათი ერთ-ერთი გულისამაჩუყებელი დამშვიდობებაა ასახული. მეშვიდეკლასელი თამუნა ჩიხრაძეა ნახატის ავტორი.

## ნუცა მასწავლებელი

ნუცა ჩიკვაიძეს თავისი მოსწავლეების დახატული მთელი სერია აქვს, ამ ნახატებში მას ყოველთვის ფერადი სამოსი აქცია და ძალიან ლამაზია. ეს ელენე კაპანაძის ნახატია.

## თამუნა
### მასწავლებელი

**თამუნა ლომიტაშვილს** ჩოგბურთი უყვარს და სპორტის ეს სახეობა ქართული ლიტერატურის გაკვეთილზეც ძალიან პოპულარულია, შესაბამისად, ასეთი პორტრეტით დააჯილდოვეს, ის სალომე გაბიძაშვილმა დახატა.

## ნინო მასწავლებელი

**ნინო გრიგალაშვილი** ასე საოცრად პატარა ანასტასია ავალიშვილმა დახატა. ნინო ამბობს, რომ ეს საუკეთესო საჩუქარია მის ცხოვრებაში.

## ნინო
### მასწავლებელი

**ნინო დოფიძეც** წიგნების სიყვარულს ასწავლის ბავშვებს, ამიტომაც, ყველა ნახატში ცოტათი ლიტერატურულ პერსონაჟს ჰგავს.

## ნათია მასწავლებელი

**ნათია კაკაბაძეს** ზუსტად ასეთ წითელი ბერეტი აქვს და ამბობს, რომ ისეთი ზუსტი პორტრეტი, როგორიც თავისმა მოსწავლემ, ლელა თათარაშვილმა დაუხატა – სხვა არც აქვს, არცერთი ფოტოაპარატით გადაღებული.

## დიანა
### მასწავლებელი

ეს კი მევარ.

შორენა ტყეშელაშვილი

# უკან საკლასო ოთახში

„ჩემი ცხოვრების კოშმარი“, „ჩემი ბავშვობის ყველაზე მძიმე სატანჯველი“, „დღესაც მაკანკალებს სკოლის გახსენებაზე“, „წლების შემდეგ, როდესაც ჩემს დამრიგებელს შევხვდი, შიშისგან ჩავიკეცე“, „იქ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ციხეში“, „ყველაზე დაუცველი იქ ვიყავი“, „მასწავლებლებს ჩემი არ ესმოდათ და არ სჯეროდათ“...

...მესმოდა ჩურჩული და ხმამაღალი წამოძახილები. ჩვენ 90-იანი წლების სკოლის შვილები ვიყავით, რომლებსაც თითქოს განგებ არ გვინდოდა, სკოლის შესახებ რამე სასიკეთო გვეთქვა, თითქოს წინასწარ შევთანხმდით, კარგი არაფერი წამოგვცდენოდა იქ გატარებულ წლებზე. ჩვენ წინ ისხდნენ ჩვენი მშობლების ასაკის ადამიანები, რომლებიც ბედნიერი ღიმილით იგონებდნენ სკოლას, მის პოზიტიურ გავლენაზე გველაპარაკებოდნენ, უკვირდათ ჩვენი სიტყვები და ამბობდნენ, რომ საუკეთესო წლები სკოლაში გაატარეს, საუკეთესო გამოცდილება იქ მიიღეს, საუკეთესო მეგობრები იქ შეიძინეს...

სამწუხაროდ, ადამიანს დიდხანს მიჰყვება უარყოფითი გამოცდილება და ხშირად ვერ ახერხებს მის დავიწყებას, ახალი გამოცდილებით გადაფარვას, ძველი შიშების დაძლევას, ძველი წნეხისგან გათავისუფლებას. ეს ყველაფერი წარუშლელ დაღს ასვამს მას და სამუდამოდ ილექება მის ცნობიერებაში. ეს გამოცდილება კი თავისუფლად შეიძლება იყოს ვითომდა ჩვეულებრივი ბულინგის ისტორია, როდესაც თანაკლასელები დაგცინიან განსხვავებული აზრის გამო, განსხვავებული ქცევის გამო, განსხვავებული ჩაცმულობის გამო, დაგცინიან იმიტომ, რომ მათი გემოვნების კრიტერიუმებში ვერ ჯდები ან უბრალოდ არ მოსწონხარ და ცდილობენ გატკინონ. ფიზიკურად გეხებიან მასწავლებლის თანდასწრებით, გაკვეთილის მიმდინარეობისას, და ეს არავის აღელვებს შენ გარდა, არავინ მიიჩნევს ამას დამცირებად, გარდა მოძალადეებისა, არავინ რეაგირებს ამაზე და გაკვეთილიც ჩვეულებრივ იწყება და მთავრდება.

ძალადობრივი რუტინა კი გრძელდება – საკლასო ოთახში, სკოლის დერეფნებში თუ სკოლიდან შინისკენ მიმავალ გზაზე. და, რაც არ უნდა პათეტიკური მოგეჩვენოთ, ეს შეუმჩნეველი ძალადობა მიწის გახეთქვაა მსხვერპლისთვის, სირცხვილის ღრმა ჭაა, საიდანა ამოსვლასაც შესაძლოა წლობით ეცადოს, მაგრამ ვერ მოახერხოს, ვერ დააღწიოს თავი ამ საპყრობილეს, ვერ დაივიწყოს დამცირება, რომელიც ზრდასრულობაშიც გაჰყვება მძიმე კომპლექსებად.

სკოლაში ზოგიერთ მოსწავლეს მხოლოდ ერთი ოცნება აქვს და ეს ოცნება სწრაფად გაზრდაა. სკოლის მალე დამთავრება, რომ ვეღარავინ შეეხოს, ვეღარავინ გაბედოს მისი დამცირება, რომ მოძალადე და მსხვერპლი გზაზე აღარასოდეს გადაიკვეთონ, აღარასდროს შეხვდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ასეთი განწყობითაც მთავრდება სკოლა.

არა მგონია, ყველაფერი მხოლოდ მასწავლებლების ბრალი იყოს და უსამართლობად მეჩვენება მხოლოდ მათზე ჯოხის გადატეხვა. არც სკოლა მიმაჩნია იმ ადგილად, სადაც პიროვნება ფსიქოლოგიურად მახინჯდება, თუმცა მართლაც არის შემთხვევები, როცა სკოლაში გადატანილმა ძალადობამ ადამიანის ცხოვრება, მისი მომავალი დააზარალა, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის აქტიური ჩარევა და ყურადღების გამოჩენა მსგავსი პრობლემების დროს.

მე მყავდა მასწავლებლები, რომელთა წყალობით სკოლაში წასვლა მიხაროდა, რომელთა გაკვეთილებზე მშვიდად ვიჯექი და სულმოუთქმელად არ ველოდი ზარს. ისეთი მასწავლებლებიც მახსოვს, თავიანთი ფავორიტები რომ ჰყავდათ და ეს სხვა მოსწავლეებს თრგუნავდა. აქ არაფრის მტკიცებას არ ჰქონდა აზრი.

როცა ვფიქრობ, რა უნდა გაეკეთებინა ყველას, რომ ასე დაზაფრულებს არ გაგვეხსენებინა სკოლის წლები, მარტივ პასუხს ვპოულობ: თავისუფლება უნდა გვეგრძნო. ჩვენ, პატარებს, საკლასო ოთახებში გამოკეტილებს, არ უნდა შეგვშინებოდა, თუ განტოლებას ვერ ამოვხსნიდით, შიშისა და სირცხვილისგან ხელისგულები არ უნდა გაგვოფლიანებოდა, უნდა დაგვესვა კითხვები, თუნდაც სულელური, ჩვენთვის უნდა მოესმინათ და დაეჯერებინათ, უნდა გვეგრძნო, რომ სამართლიანი და თანასწორი გარემოს ნაწილი ვიყავით.

საკლასო ოთახში კი ხშირად არის უთანასწორობა და ასეთი დამოკიდებულება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზეც მოქმედებს. უალტერნატივო ფავორიტების არსებობა სხვა მოსწავლეთა მოტივაციას თრგუნავს და ისინიც ხელჩაქნეულნი ეგუებიან თავიანთ „გამართულ სამიანებს“ – ყველა ერთნაირად მებრძოლი და ამტანი ხომ არ არის?

მახსოვს, როცა სკოლა დავამთავრე, ღრმად ამოვისუნთქე და პირველად აღარ შემეშინდა. იმხელა თავისუფლება ვიგრძენი, თითქოს ძალა მომემატა და ახალ ადამიანად დავიბადე. ამდენ სევდიან ამბავთან ერთად ბევრი ისეთიც ამოტივტივდება, რომელიც მთელ ამ უსიამოვნებებს გვავიწყებს. გვახსენდება, როგორ ვისხედით გაყინულ საკლასო ოთახებში ერთად მასწავლებლები და მოსწავლეები, მათაც სცოდათ და ჩვენც. მახსენდება მათი თვალწასული „კოლგოტკები”, ფრთამოტეხილი ქოლგები და გაქუცული ხელჩანთები, სიცივისგან აწითლებული ხელები, მახსენდება, როგორ ელოდნენ თვეობით თავიანთ სასაცილო ანაზღაურებას, მახსენდება, რომ ხანდახან გვემეგობრებოდნენ კიდეც და ჩვენ მათი გაკვეთილები გვიყვარდებოდა და მერე ყველაზე ბეჯითად მათ საგანს ვსწავლობდით, მახსენდება, რომ ზამთრის ცივ დღეებში საკმაოდ შორ მანძილს გადიოდნენ ფეხით, რათა ჩვენთვის გაკვეთილი არ გაეცდინათ.

ახლა უკვე გამუდმებით ვფიქრობ იდეალურ სკოლაზე, სადაც ჩემი შვილები თავს კარგად იგრძნობენ და სწავლის სურვილი გაუჩნდებათ. სადაც ეყოლებათ ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც ნამდვილად უყვართ თავიანთი საქმე, რომლებიც არასდროს დატოვებენ უყურადღებოდ ძალადობას და სამართლიანი პოზიცია ექნებათ ნებისმიერი პრობლემის მოგვარების დროს. დარწმუნებული ვარ, ასეთ სკოლას მომავალი თაობები უფრო დადებით გაიხსენებენ და მჯერა, ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია.

თორნიკე ჭელიძე

# სასკოლო ბიბლიოთეკა

პირადი გამოცდილებიდან რომ ვთქვა, სკლის ბიბლიოთეკაში ორი სხვადასხვა სტატუსით შევდიოდი, როგორც მოსწავლე და შემდეგ – მასწავლებელი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში თერთმეტი წლის განმავლობაში ვსწავლობდი, ხოლო მასწავლებელი სულ რაღაც სამი წელი ვიყავი, ამ უკანასკნელის დროს უფრო ხშირი და პროდუქტიული იყო ჩემი ყოფნა ბიბლიოთეკაში. რა იყო ამის მიზეზი?.. ალბათ ის, რომ მე არ მქონდა სკოლის კარგი ბიბლიოთეკა, უფრო სწროად თუ ვიტყვი, თითქმის საერთოდ არ მქონდა.

დაურიგდათ წიგნები, ე.წ. პრეზიდენტის საჩუქრის მანიშნებელი ბეჭდით. მათ შორის იყო ზღაპრები, მარკესის რამდენიმე რომანი და პოეზიის კრებულები. დღეს კი იმ სკოლათა უმეტესობაში, რომლების ბიბლიოთეკებშიც მე ვყოფილვარ ისეთი სიტუაციაა, რომ აქვთ საბჭოთა კავშირის დროს გამოცემული და მხოლოდ ეს პრეზიდენტის საჩუქარი წიგნები. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დირექტორები ნაკლებად, ან საერთოდ არ იყენებენ სკოლისათის გამოყოფილ თანხას ახალი წიგების შესაძენად. უფრო

მეტიც, ზოგგან ბიბლიოთეკარის შტატი აქვს მასწავლებელს, რომელიც იქ მხოლოდ მაშინ შედის, როცა ვინმე სთხოვს კარის გაღებას. წიგნების თაროები დამტვერილია და დაულაგებელია, სადმე კუთხეში დგას ერთი დიდი მაგიდა და სულ ესაა მთელი აღწერილობა იმისა, რაც ყველაზე მიმზიდველი უნდა იყოს სკოლაში.

ბიბლიოთეკა, როგორც საშუალება, მიიღო განათლება, ბიბლიოთეკა – პარალელური განზომილება, თუ ალტერნატიული სამყარო,

თითქმის სრულად იგნორირებულია. კი, რა თქმა უნდა, არის ისეთი სკოლები, განსაკუთრებით კერძო, სადაც ყველაფერი კარგად აქვთ მოწყობილი, შეხვალ და თითქოს ყველაფერი რიგზეა; თვალსაჩინოდ დალაგებული წიგნები კარგ თაროებზე, მოწყობილი სამკითხველო დარბაზი, მაგრამ იშვიათად რომ იქ მჯდარი მოსწავლე დაინახო, მოსწავლე და მასწავლებელიც, რადგან მასწავლებლის პროფესიული ზრდაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებაზე.

რა არის მიზეზი იმისა, რაც ვთვქი?.. იქნებ რაღაც ფასადურობა ყველაფერის, რაც დღესდღეობით მრავლადაა ჩვენს საზოგადოებაში. რატომ ვერ გახდა მიმზიდველი მუშაობა, კითხვა, მაშინ როცა დღეს სტუდენტთა და დამამთავრებელ კლასის მოსწავლეთა უმეტესობა მხარზე ჩანთაგადაკიდებულები ჯიუტად დადიან და სხვადასხვა ელექტრონული წიგნით ხელდამშვენებულნი მსჯელობენ წიგნებზე.

საბოლოოდ, მინდა გითხრათ, მოსწავლეებსაც, მასწავლებლებსაც, რომ სკოლაში, სახლში, – მოკლედ ყველგან, სადაც კი არის, საუკეთესო ადგილი ბიბლიოთეკაა და ნუ მოშორდებით საუკეთესო ადგილებს, რადგან ისინი ჩვენც თავისნაირებად გვაქცევენ ხოლმე.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში დადგინდა, რომ თაგვები უფრო იოლად ისწავლიდნენ, თუ მათ გალიაში ტრიალა ბორბალზე სირბილის საშუალება ექნებოდათ. რაც უფრო მრავალფეროვან გარემოში უწევთ მათ არსებობა, მით უკეთესი მეხსიერებით გამოირჩევიანო – ასეთი ინტერპრეტაცია მოჰყვა ამ გამოკვლევას. ერთსა და იმავე გარემოში ამყოფებდნენ „ხალისიან“ და „ზარმაც“ თაგვებს, რომლებსაც ეზარებოდათ ბორბალზე სირბილი. ამ უკანასკნელებს უჭირდათ ლაბირინთში გზის პოვნა და დამახსოვრება. როგორც აღმოჩნდა, მოძრაობის მოყვარული თაგვების თავის ტვინის იმ სტრუქტურაში, რომელიც მეხსიერებასა და აღმასრულებელ ფუნქციებში მონაწილეობს და რომელსაც ჰიპოკამპი ეწოდება, მოხდა ნეიროგენეზი, ანუ ნერვული უჯრედების წარმოქმნა. როგორც შემდეგ დადგინდა, ნეიროგენეზი სწორედ სპორტული აქტივობის შედეგი იყო. სპორტული აქტივობა ხელს უწყობს ჰიპოკამპში სისხლის მიმოქცევას და ახალი სისხლძარღვების წარმოქმნას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა ხელი შეუწყოს ნეიროგენეზს.

> **საგანმანათლებლო სკოლების მიზანი მხოლოდ გონებრივ განვითარებაზე ზრუნვა არაა. სასწავლო კურიკულუმები შეიცავს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისთვის შედგენილ პროგრამებსაც. ბოლო გამოკვლევების თანახმად, სხეულის ვარჯიში არა მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობას განაპირობებს, არამედ აზროვნებასაც აუმჯობესებს.**

სპორტული აქტივობით კოგნიტური პროცესების გაუმჯობესების სხვა მექანიზმია თავის ტვინის უჯრედების (ნეირონების, ანუ ნერვული უჯრედების) მიერ სპეციალური ნივთიერების – ნეიროტროფული ფაქტორების გამოყოფა. ეს ნივთიერება ჰიპოკამპსა და სტრიატუმში გამოიყოფა სპორტული აქტივობის შედეგად. სტრიატუმი, ანუ ზოლიანი სხეული ტვინში ღრმად მდებარე სტრუქტურაა და პასუხისმგებელია მოძრაობასა და მეხსიერებაზე. სპორტული აქტივობის შედეგად გამოყოფილი ნეიროტროფული ფაქტორები ხელს უწყობს ნერვული უჯრედების საშუალებით ჰიპოკამპსა და სტრიატუმს შორის ახალი კავშირების დამყარებას.

სპორტი საუკეთესო საშუალებაა თავის ტვინის ფუნქციების გასაუმჯობესებლად, რადგან, მედიკამენტებისგან განსხვავებით, მას არ ახლავს გვერდითი ეფექტები და ჯანმრთელობისთვის ყოველმხრივ სასარგებლოა.

გერმანიის მიუნსტერის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლეებზეც ჩაატარეს გამოკვლევა. ბავშვები 15 წუთის განმავლობაში ასრულებდნენ სავარჯიშოებს ველოსიპედზე. ზოგჯერ, ფიზიკური აქტივობის ნაცვლად, ისინი 15 წუთის განმავლობაში უყურებდნენ რაიმე ვიდეოს. ორივე აქტივობის ბოლოს მათ მოეთხოვებოდათ სპეციალური ტესტის შევსება, რომელიც ზომავდა აღმასრულებელ ფუნქციებს. მეცნიერებმა ნახეს, რომ თუნდაც 15-წუთიანი მოძრაობები დადებით ზეგავლენას ახდენდა მუშა მეხსიერებაზე, რადგან ტესტის შესრულების ხარისხი მაღალი იყო სპორტული აქტივობის შემდეგ. გარდა ამისა, მათ გამოიკვლიეს მოსწავლეების სპეციალური ჯგუფები (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომი, დეპრესიისკენ მიდრეკილება) და შეადარეს ფიზიკურად კარგად მომზადებული მოსწავლეების შედეგებს. აღმოჩნდა, რომ ორივე ჯგუფზე თანაბარი წარმატებით მოქმედებს 15-წუთიანი ფიზიკური დატვირთვა.

ზემოხსენებული გამოკვლევების შედეგად, მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ იპოვიან ყველა იმ ქიმიურ ნივთიერებას, რომლებიც ვარჯიშის შედეგად წარმოიქმნება თავის ტვინში და კოგნიტური პროცესების გაუმჯობესებას იწვევს; შემდეგ შექმნიან მათ მსგავს მედიკამენტებს, და საბოლოოდ დაამარცხებენ თვით ალცჰაიმერის დაავადებასაც კი.


გამოყენებული ლიტერატურა:

Sport macht geistig fit. Frank Frick. Bild der Wissenschaft. 2015

ქეთევან ოსიაშვილი

# პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლასთან და სასკოლო სწავლება

**სკოლასთან პირველკლასელის ადაპტაცია სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.**

ყველა იმ პრობლემას შორის, რომელსაც შეიძლება სასკოლო ცხოვრების დასაწყისში წავაწყდეთ, სკოლასთან პირველკლასელის ადაპტაცია სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

გავრცელებული განმარტებით, ადაპტაცია – ეს არის შეგუება, „ჩაწერა“ რაიმე გარემოში. ადაპტაციის პერიოდი 2-3 კვირიდან ნახევარ წლამდე გრძელდება. ერთხელ ერთმა პედაგოგმა შეწუხებულმა შემომჩივლა: „უკვე ერთი თვე გავიდა, ადაპტაციის პერიოდმა გაიარა, მაგრამ გიორგი მაინც ვერ შეეგუა სკოლას, არც სწავლა უნდა და თავისი ქცევითაც ბევრს აწუხებს“. უნდა ითქვას, რომ ადაპტაციის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია. ამასთან, არ არსებობს მზამზარეული რეცეპტები, რომლებიც ყველასთვის საერთო იქნებოდა და ამ საფეხურზე მყოფი ნებისმიერი ბავშვისთვის ეფექტური აღმოჩნდებოდა. თუმცა შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესის ხასიათსა და ხანგრძლივობაზე.

## სკოლასთან ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები

- ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი, ტემპერამენტი აჩქარებს ან ანელებს ადაპტაციის პროცესს.
- სასწავლო დაწესებულების ტიპი ასევე თავისებურ გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესის მიმდინარეობაზე. კლასში ბავშვების სიმრავლე საკმაოდ ართულებს აღნიშნულ პროცესს. ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა კერძო სკოლებში, სადაც კლასში ბავშვების რაოდენობა ათ-თხუთმეტს არ აღემატება, თუმცა ასეთ სკოლებში დამკვიდრებული დღის რეჟიმი, ბავშვების მთელი დღის განმავლობაში სკოლაში ყოფნა ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ადაპტაციის პროცესის ხასიათზე.
- საგანმანათლებლო პროგრამების სირთულის ხარისხი. ექვსწლიანთა ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, სასწავლო წლის პირველ ნახევარში მათ დღეში მხოლოდ სამი გაკვეთილი უტარდებოდეთ, თუმცა იმის გამო, რომ პირველკლასელთა სასწავლო პროგრამები საკმაოდ გადატვირთულია, სამის ნაცვლად მათ ოთხი, ხშირად კი ხუთი გაკვეთილიც უტარდებათ. უფრო მეტიც: იმისთვის, რომ წლის ბოლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს მიაღწიოს, პედაგოგი პატარებს არცთუ იშვიათად საშინაო დავალებებითაც ტვირთავს. ყოველივე ეს კი უფრო მეტად ართულებს და ახანგრძლივებს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს.
- სკოლისათვის ბავშვის მზაობის დონე. როგორც წესი, მიზეზთა გამო პირველკლასელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან

სკოლისათვის მზაობის დონით. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ფიზიკური, პიროვნული და სოციალური მზაობაც. ხშირად პედაგოგისთვის სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა არა მხოლოდ ის, რომ ცალკეულ ბავშვებს ასაკის შესაფერის დონეზე არ აქვთ განვითარებული ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა ფსიქიკური პროცესები, არამედ ისიც, რომ მათ უმრავლესობას არ გააჩნია თვითმომსახურების ჩვევები – არ შეუძლია დამოუკიდებლად სასწავლო ნივთების ამოლაგება, ჩალაგება, დამოუკიდებლად ჩაცმა, გახდა, ჭამა. პირველკლასელების ბავშვების საკმაოდ დიდ ნაწილს ასევე განუვითარებელი აქვს ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედების უნარი, რაც საგაკვეთილო პროცესის წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს. მაგალითად, მასწავლებლის მარტივი ინსტრუქცია: „გადაშალე რვეული პირველ გვერდზე, გადათვალე მარცხნიდან მარჯვნივ ორი უჯრა, ზემოდან ქვემოთ ორი უჯრა და დასვი წერტილი“, – ბავშვმა შესაძლოა ვერ შეასრულოს. ასეთ დროს მასწავლებელი იძულებული ხდება, ყველა ბავშვს სათითაოდ მოუნიშნოს რვეულში მითითებული ადგილი, რაც მას 35-წუთიან გაკვეთილზე უამრავ დროს აკარგვინებს და სასწავლო პროცესსაც საკმაოდ უშლის ხელს. სისტემატური მარცხი და წარუმატებლობა ბავშვს სასწავლო მოტივაციასაც უქვეითებს, სკოლასთან პირველკლასელთა წარმატებული ადაპტაციისთვის კი სასწავლო მოტივაცია აუცილებელია.



ალბათ, როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მშობლებისთვისაც საინტერესო იქნება იმის ცოდნა, რა შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ სკოლასთან ადაპტაციის პროცესი დასრულებულად და წარმატებულად.

### სკოლასთან წარმატებული ადაპტაციის ნიშნები

- ბავშვი მხიარული, მშვიდი და ხალისიანია;
- სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის;
- სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი;
- დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე;

> **მუდამ გვახსოვდეს აღზრდის ოქროს წესი: ბავშვს ჩვენი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ სჭირდება, როცა ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას.**

- მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი;
- დღის ახალი რეჟიმი მისთვის კომფორტულია (არ ტირის დილაობით, არ უჭირს ღამით ჩაძინება და ა.შ.);
- არ აქვს სკოლასთან, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები.

### სკოლასთან დეზადაპტაციის ნიშნები

- ბავშვი სწრაფად და ხშირად იღლება;
- შესაძლოა, უჩიოდეს თავის ტკივილს, უმადობას;
- უჭირს საღამოს ჩაძინება და დილით გაღვიძება;
- ხშირად საყვედურობს, ემდურის თანაკლასელებს;
- წუწუნებს მასწავლებლის მოთხოვნებზე;
- აქვს შინაგანი პროტესტის განცდა, ისეთ სიტუაციებშიც კი ჭირვეულობს, სადაც ადრე სიმშვიდით გამოირჩეოდა;
- უჭირს სასკოლო მოთხოვნების შესრულება, ვერ იცავს სასკოლო წესებს.

წესისამებრ, ასეთ ბავშვები განიცდიან სირთულეებს და აქვთ პრობლემები სასწავლო საქმიანობაში.

ვინაიდან სკოლასთან ადაპტაციის პროცესში წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მშობლებზე, კარგი იქნება, თუ ისინი გაითვალისწინებენ ქვემოთ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ამით ისინი დიდ დახმარებას გაუწევენ როგორც შვილებს, ისე მათთან მომუშავე მასწავლებლებსაც, რაც, თავის მხრივ, სასწავლო პროცესში წარმატების გარანტად შეიძლება იქცეს.

### რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება ვაჩუქოთ შვილს, ჩვენი ყურადღებაა;
- მშობლების დადებითი დამოკიდებულება სკოლასთან, მასწავლებლებთან გაუიოლებს ბავშვს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს;
- აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში დავეხმაროთ ბავშვს, ირწმუნოს საკუთარი ძალების, საკუთარი შესაძლებლობების;
- სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღის რეჟიმის სწორად შედგენა. დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად სასურველია დღის ძილის ორგანიზება. საშინაო დავალებები უნდა შესრულდეს არა გვიან საღამოს, ძილის წინ, არამედ შუადღისას. გარდა ამისა, ბავშვს უნდა რჩებოდეს დრო მულტფილმების საყურებლად, სასეირნოდ და ა.შ.
- განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ფიზიკურ ვარჯიშებს. პატარები ყველაზე დიდი გატაცებით მოძრაობით თამაშებს თამაშობენ. შემთხვევითი არ არის, რომ პირველკლასელებისთვის საგაკვეთილო პროცესში ყველაზე სასიამოვნოა წუთშესვენებები, როდესაც ისინი სხვადასხვაგვარ ფიზიკურ ვარჯიშს ასრულებენ. ერთხელ, როდესაც გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა ბავშვებს სთხოვა ეთქვათ, რა მოეწონათ გაკვეთილზე ყველაზე მეტად, პატარა ლუკამ დაუფიქრებლად წამოიყვირა: „წუთშესვენება, მასწავლებელო!“ თუმცა, სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად, გაკვეთილებზე დამკვიდრებული წუთშესვენებების მიუხედავად, ბავშვის მოძრაობითი აქტივობა შესამჩნევად მცირდება, რაც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს მისი ზრდისა და განვითარებისთვის, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის იმუნიტეტსა და გუნება-განწყობაზეც. ფიზკულტურის გაკვეთილები, რომლებიც სასკოლო პროგრამით არის გათვალისწინებული, ამ ასაკის ბავშვისთვის საჭირო მოძრაობითი აქტივობის 10%-საც კი ვერ ანაზღაურებს. ამდენად, აუცილებელია, ბავშვი სკოლის გარეთაც იყოს დაკავებული მოტორული აქტივობებით და თამაშებით. განვავითაროთ ბავშვის მოძრაობითი აქტივობა, ვინაიდან ამტანი ბავშვი, რომელიც შეჩვეულია ფიზიკურ დატვირთვას, ადაპტაციას უფრო იოლად ახერხებს, ვიდრე სუსტი და ნაკლებად მოძრავი ბავშვი;

- სასკოლო ცხოვრების დაწყებით ეტაპზე სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. აუცილებელია შევამციროთ თვალის დატვირთვა – ბავშვმა რაც შეიძლება ნაკლები დრო უნდა გაატაროს ტელევიზორსა და კომპიუტერთან. საწერი მაგიდა დავუდგათ ფანჯარასთან. ოთახი, რომელშიც ბავშვს უწევს მუშაობა, კარგად უნდა იყოს განათებული. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, როგორ ზის ბავშვი – მანძილი თვალსა და წიგნს ან რვეულს შორის მკაცრად უნდა იყოს დაცული;
- ანგარიში გავუწიოთ სათამაშოებისადმი ბავშვის დამოკიდებულებას. ხშირად პირველკლასელები სათამაშოს სკოლაში წაღებას ითხოვენ. ამის აკრძალვა ნამდვილად არ ღირს. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება დიდი ზომის სათამაშოებს, კონსტრუქტორებს, ბარბის სახლებს; თუ სათამაშო პატარაა, შეიძლება, დავრთოთ ბავშვს მისი სკოლაში წაღების ნება, მაგრამ უნდა ავუხსნათ, რომ გაკვეთილზე სათამაშოს ადგილი არ არის და თამაში მხოლოდ შესვენებაზე შეიძლება. გავითვალისწინოთ, რომ სათამაშო იმ კომფორტული და ნაცნობი გარემოს ნაწილია, რომელსაც ბავშვი სახლში ტოვებს. ამდენად, სათამაშოს გვერდით ყოფნა პატარას უსაფრთხოდ და დაცულად აგრძნობინებს თავს;
- ხელი შევუწყოთ ბავშვის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და ვასწავლოთ მას სასკოლო სირთულეებისთვის დამოუკიდებლად თავის გართმევა;
- ეცადეთ უპასუხოთ ბავშვის ყველა კითხვას, ვინაიდან ცნობისმოყვარეობას ამ ასაკში საზღვრები არ გააჩნია;
- ნუ გაგაღიზიანებთ ბავშვის წარუმატებლობა. ეცადეთ, მისი სასწავლო საქმიანობა მხოლოდ დადებითად შეაფასოთ, მაშინაც კი, თუ გეჩვენებათ, რომ მიღწეული წარმატება საკმარისი არ არის. ეცადეთ, მშვიდად შეხვდეთ მის მარცხს, რადგან პატარა მტკივნეულად განიცდის მშობლის განაწყენებას. ნუ ეჩხუბებით იმის გამო, რომ რაღაც კარგად ვერ გაიგო ან ვერ გააკეთა;
- დაეხმარეთ ბავშვს თანატოლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. გამოიჩინეთ ინტერესი სკოლისა და კლასის მიმართ, რომელშიც სწავლობს თქვენი შვილი. კარგი იქნება, თუ მას უბრალოდ მოუსმენთ. ეს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს საგრძნობლად დააჩქარებს;
- ნუ გააკრიტიკებთ თქვენს პატარას, მაშინაც კი, თუ ცუდად წერს, ნელა ითვლის, აკლია სიფაქიზე. კრიტიკა, განსაკუთრებით – უცხოს თანდასწრებით, მხოლოდ გაამწვავებს მის პრობლემებს;
- გაითვალისწინეთ თქვენი შვილის ტემპერამენტი. აქტიურ ბავშვებს უჭირთ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა, დინჯი ბავშვებისთვის კი რთულია სასკოლო რიტმთან შეგუება;
- წაახალისეთ ბავშვი დადებითი კომენტარებით, გამოხმაურებებით, და არამხოლოდ სასწავლო წარმატებების გამო. უფროსების მხრივ მორალური სტიმულირება, მხარდაჭერა ეხმარება ბავშვს, ამა თუ იმ საქმიანობაში თავი მნიშვნელოვნად იგრძნოს;
- არასოდეს არავის შეადაროთ საკუთარი შვილი. ასეთი შედარებებით შეიძლება საკუთარი თავის რწმენა დავაკარგვინოთ და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შეიძლება მხოლოდ ბავშვის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მის წარსულ მიღწევებთან;
- გვახსოვდეს, რომ ბავშვების პრობლემები უფროსების პრობლემებზე მარტივი არ არის. კონფლიქტი მასწავლებელთან ან თანატოლთან ემოციური დაძაბულობითა და შედეგებით შესაძლოა უფრო მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე ოჯახის უფროსი წევრების კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან სამსახურში.

დაბოლოს, სკოლასთან ადაპტაციის პროცესში ბავშვის ქცევაში აღმოჩენილი სირთულეების გამო მშობლებს ხშირად უჩნდებათ უკმაყოფილების განცდა და ამას არც ბავშვთან მალავენ, რაც პატარას შფოთვას და შიშს უძლიერებს – იმის შიშს, რომ მშობლებს ის ადრინდელივით აღარ უყვართ, ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს. ამიტომ მუდამ გვახსოვდეს აღზრდის ოქროს წესი: ბავშვს ჩვენი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ სჭირდება, როცა ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას.

ნინო ლომიძე

# ზეპირმეტყველების განმავითარებელი რამდენიმე აქტივობა საშუალო საფეხურისთვის

ზეპირმეტყველება ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში ერთ-ერთია სამი ძირითადი მიმართულებიდან კითხვასა და წერასთან ერთად.

ზეპირმეტყველების უნარი თვითგამოხატვისთვის, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისთვის, სრულფასოვანი, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვისთვის უმნიშვნელოვანესია და მისი განვითარების „ვალდებულება“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას სწავლების ყველა საფეხურზე აქვს „ნაკისრი“. (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, საგნობრივი პროგრამები, თავი XI, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში);

ამ საკითხზე ბლოგის დაწერის იდეა მაშინ გამიჩნდა, როდესაც ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე, ერთ-ერთი მონაწილის ვრცელი სიტყვის მოსმენის შემდეგ, ჩემში „წითელკალმიანი მასწავლებლის“ ინსტინქტმა იმძლავრა და გონებაში მოსმენილის „ჩასწორებას“ შევუდექი...

ეს მომხსენებელი ჩემი მოსწავლე რომ ყოფილიყო, აუცილებლად შევახსენებდი ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც მოსაუბრემ უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის წინაშე მოხსენების წარდგენისას: მსმენელის „მოთმინების ფიალა“ , ყურადღების მარაგი და ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობა უძირო არ არის. შესაბამისად – სათქმელის გადმოცემა მოკლე, მკაფიო, ლაკონიური წინადადებებით გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ერთი და იმავე მოსაზრების სხვადასხვანაირი ფორმულირებით რამდენჯერმე გამეორება.

მონდომების შემთხვევაში, ის სათქმელი, რისი გადმოცემაც ამ მომხსენებელს სურდა, სულ რამდენიმე წინადადებით შეიძლებოდა გადმოცემულიყო, თუმცა, მან სხვა გზა აირჩია და უცხოური წარმოშობის სიტყვებისა და რთულ-რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით შეეცადა გარკვეული წარმოდგენა შეექმნა მსმენელებისთვის.

დღევანდელ ბლოგში შევეცდები, ის სავარჯიშოები და აქტივობები მიმოვიხილო, რომლებიც სწორედ ამ მიმართულებაზე მუშაობის დროს გამოადგებათ საგნის მასწავლებლებს. თუმცა, მანამდე დავსვამ დისკუსიის, მსჯელობისა და კვლევების წარმართვისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე კითხვას. პასუხებს ამ კითხვებზე ინტერესით დაველოდები, რადგან მიმაჩნია, რომ კოლეგებს შორის გამოცდილების და მოსაზრებების ურთიერთგაცვლა ცვლილებების საწინდარია. ცვლილებები კი სასიცოცხლოს მნიშვნელოვანია განვითარებისთვის და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის:

**საინტერესოა, რა დროს უთმობენ მასწავლებლები ზეპირი მეტყველების უნარების გაუმჯობესებას?**

რა ტიპის სავარჯიშოები, აქტივობები და დავალებებია თავმოყრილი გრიფირებულ სახელმძღ-

ვანელოებში ზეპირი მეტყველების პროვოცირებისა და გაუმჯობესებისთვის?

რა აქტივობებს იყენებენ პრაქტიკოსი მასწავლებლები შედეგის მისაღწევად და მათი გამოცდილებით, რა მეთოდი „მუშაობს“ სხვებზე უკეთ?

და ბოლოს – ხომ არ გვრჩება ეს მნიშვნელოვანი მიმართულება ყურადღების მიღმა საკმაოდ მოცულობითი პროგრამული ტექსტების დამუშავების დროს?

## მიმართულება – ზეპირმეტყველება

საფეხური – საშუალო

### აქტივობა – „რეფლექსია“

აღწერა – წინა დღეს ჩატარებული გაკვეთილის დეტალური აღწერა/გახსენება/მიმოხილვა.

აქტივობის გამოყენება შესაძლებელია საპროგრამო ნაწარმოების შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე. გაკვეთილის დასაწყისი – საუკეთესო დროა განსახორციელებლად. შესაძლებელია, გაკვეთილის დასასრულს მოვიტოვოთ 5 წუთი ჩანაწერების გასაკეთებლად – მოსწავლე მოკლედ ჩაინიშნავს, რა დაამახსოვრდა მიმდინარე გაკვეთილიდან. მეორე დღეს ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით გაუზიარებს თანაკლასელებს (ზეპირად) თავის შთაბეჭდილებებს.

> „საგაკვეთილო პროცესში ბრიფინგი კარგი საშუალება იქნება შემაჯამებელი გაკვეთილის გასამრავალფეროვნებლად. მოსწავლეები გაიხსენებენ გავლილ მასალას და ისაუბრებენ შესწავლილი საკითხებზე სახალისო და საინტერესო ფორმით.“

**მითითებები** – ორი წუთის განმავლობაში გაიხსენეთ გუშინდელი გაკვეთილი. ( თუ სურვილი ექნებათ, მოცემულ დროში გააკეთონ მოკლე ჩანაწერები გეგმის სახით, გამოიყენონ სქემა, შემოკლებები, მათთვის მოსახერხებელი ნებისმიერი სახის ჩანაწერი).

ამის შემდეგ მოსწავლე აღწერს გაკვეთილის მიმდინარეობას, იცავს თანმიმდევრულობას ( შესაძლებელია გაკვეთილის დასაწყისიდან დასასრულამდე ან პირიქით დასასრულიდან დასაწყისამდე გახსენება/აღწერა), ცდილობს პაუზის, პარაზიტი ჩანართების გარეშე ისაუბროს, გაიხსენოს მნიშვნელოვანი დეტალები, იმსჯელოს – რა მოეჩვენა საინტერესოდ, რა ვერ გაიგო.

ამ აქტივობის შესრულება შესაძლებელია კიდევ უფრო ზუსტი და კონკრეტული მითითებებით:

3 რამ...

აქტივობის მიზანი იგივეა. დაკონკრეტებულია საუბრო თემა. მოსწავლეებს ეძლევათ მითითება. გაიხსენე და გაგვაცანი:

3 რამ, რაც ყველაზე მეტად მოგეწონა

2 რამ, რაც განსაკუთრებით კარგად დაგამახსოვრდა

1 რამ, რაც უკეთ შეიძლებოდა გაკეთებულიყო (რაც ვერ გავიგე, რაზეც მეტს შევიტყობდი...)

აქტივობა ხელს უწყობს მეტყველების პროვოცირებას. მოსწავლეს არ ევალება ისეთი დავალების შესრულება, რაც მას წინასწარ უნდა მოემზადებინა, რაც ფაქტობრივ ცოდნას მოითხოვს ან შესასწავლი ტექსტის შინაარსს ეყრდნობა, შესაბამისად, ის მეტად თავისუფლად გრძნობს თავს.

შესრულებული დავალება არ ფასდება.

მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს კომენტარი ( ზეპირი განმავითარებელი შეფასება);

### აქტივობა – თეზისები

აღწერა – შესწავლილი ტექსტის მიხედვით მნიშვნელოვანი თეზისების ჩანიშვნა. ჩანაწერის მიხედვით ზეპირი ხანმოკლე პრეზენტაციის წარდგენა.

> **„კოლეგებს შორის გამოცდილების და მოსაზრებების ურთიერთგაცვლა ცვლილებების საწინდარია. ცვლილებები კი სასიცოცხლოს მნიშვნელოვანია განვითარებისთვის და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.“**

აქტივობა განსაკუთრებით ეფექტიანია პუბლიცისტური წერილების შესწავლის პროცესში.

წინაპირობა – მოსწავლეს კარგად ესმის, რას ნიშნავს თეზისი ( დასრულებული აზრის მქონე დებულება, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის); ის ასხვავებს ერთმანეთისგან გეგმას ( გეგმის პუნქტებს), ქვესათაურებს ( ეპიზოდების დასათაურებას) და თეზისებს ( ერთგვარ კონცეპტუალურ წინადადებებს);

აქტივობა, ზეპირმეტყველების გაუმჯობესებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ისეთი უნარის განვითარებას, როგორიცაა: ტექსტის კონსპექტის შედგენა შესაბამისი წესების დაცვით. (ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, საგნობრივი პროგრამები,ქართ. X. 14)

მითითება – წაიკითხე მოცემული ტექსტის N აბზაცი ( ან თუ დრო ამის საშუალებას გვაძლევს, მთლიანი ტექსტი); თითოეული აბზაციდან ამოიწერე თეზისი; ჩანაწერი გამოიყენე მოკლე ზეპირი პრეზენტაციის წარსადგენად. ისაუბრე ტექსტის მთავარ სათქმელზე. დაიცავი თანმიმდევრობა.

## აქტივობა – ბრიფინგი

აღწერა – როგორც ცნობილია, მედიასაშუალებების ან დაინტერესებული პირების მიერ ორგანიზებული ბრიგინგი კონკრეტულ საკითხს ეძღვნება და ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად. ბრიფინგი დროში უფრო შეზღუდული და გაცილებით ოპერატიულია, ვიდრე პრესკონფერენცია. საგაკვეთილო პროცესში ბრიფინგი კარგი საშუალება იქნება შემაჯამებელი გაკვეთილის გასამრავალფეროვნებლად. მოსწავლეები გაიხსენებენ გავლილ მასალას და ისაუბრებენ შესწავლილი საკითხებზე სახალისო და საინტერესო ფორმით.

**განხორციელება** - მოსწავლეები იყოფიან „ექსპერტებად” და „ჟურნალიტებად”. სასურველია, „ექსპერტების” რაოდენობა არ აჭარბებდეს 5-ს. მასწავლებელი არჩევს თემას (შესასწავლი საპროგრამო ნაწარმოები, ბიოგრაფია, პუბლიცისტური წერილი...)და სთხოვს ჟურნალისტებს, მოამზადონ კითხვები თემის ირგვლივ. ექსპერტები ამ დროს იმეორებენ შესაბამის მასალას, აზუსტებენ ერთმანეთთან დეტალებს, აჯერებენ თემასთან დაკავშირებით რვეულებში ჩაწერილ ცნობებს. ჟურნალისტები სვამენ კითხვებს, ექსპერტები პასუხობენ ვრცლად და ამომწურავად. მათ შეუძლიათ „შეავსონ” ერთმანეთის

კომენტარები ერთი პირობის დაცვით - მომდევნო ექსპერტმა მოკლედ უნდა ჩამოაყალიბოს წინა გამომსვლელის მთავარი სათქმელი და დაამატოს საკუთარი. ( როგორც უკვე N-მა მოგახსენათ {რამდენიმე წინადადებით იმეორებს მოსმენილს} ბ ავსებს წინა მომხსენებლის რეპლი

# მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები

ცვატა ბერძენიშვილი

მრავალი პედაგოგი თანხმდება, რომ მოსწავლეთა მოტივირება ერთ-ერთი კრიტიკული საკითხია პედაგოგიკაში. მოსწავლეები კოგნიტურად, ემოციურად თუ ქცევით ჩართულნი უნდა იყვნენ პროდუქტიულ საკლასო აქტივობებში. დავიწყოთ საკითხით, რა არის მოტივაცია, მოვიძიოთ პასუხები, რომლებიც მოიცავს შინაგანი და გარეგანი მოტივაციის საკითხს, მოტივაციის ოთხ ძირითად თეორიას: ბიჰევიორისტულს, ჰუმანისტურს, კოგნიტურსა და სოციოკულტურულს.

მოტივაციას, როგორც წესი, ასეთნაირად განმარტავენ: ესაა შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას. ფსიქოლოგები, რომლებიც მოტივაციას სწავლობენ, აქცენტს ხუთ ძირითად საკითხზე აკეთებენ:

1. როგორ არჩევანს აკეთებენ ადამიანები საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით? რატომაა რომ, მაგალითად, ერთი მოსწავლე გულმოდგინედ აკეთებს დავალებას, მეორე კი ტელევიზორის ყურებას არჩევს?
2. რა დრო უნდა გავიდეს, რომ მოტივაცია ამოქმედდეს? რატომ იწყებს ზოგი მოსწავლე დავალების შესრულებას მაშინვე, ზოგი კი დროს ფლანგავს?
3. რა ხარისხით ან ინტენსივობით არის ჩართული ადამიანი არჩეულ ქცევაში? ყურადღებით ასრულებს მოსწავლე დავალებას თუ მექანიკურად?
4. რა აიძულებს ინდივიდს იყოს შეუპოვარი ან ადვილად დანებდეს? მაგალითად, რას იზამს მოსწავლე, მთლიანად წაიკითხავს შექსპირის ნაწარმოებს თუ მხოლოდ მის რამდენიმე გვერდს?
5. რა გრძნობები აქვს და რაზე ფიქრობს ინდივიდი, როცა ქცევას ახორციელებს? მაგალითად, მოსწავლე სიამოვნებას იღებს შექსპირის კითხვით, თუ მოსალოდნელ გამოცდაზე ნერვიულობს?

## შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

ყველამ კარგად ვიცით, როგორ გამოიყურება მოტივირებული ადამიანი, რომელიც თავდაუზოგავად მიიწევს მიზნისკენ ან მუშაობს მუყაითად მაშინაც კი, როცა სამუშაო მოსაწყენად ეჩვენება. რა წარმართავს ქცევას და რა ანიჭებს მას ამ ენერგიას? ამის ახსნა უნდა ვეძიოთ მოთხოვნილებებში, სტიმულებში, შიშებში, მიზნებში, სოციალურ ზეწოლაში, თვითრწმენაში, ინტერესებში, ცნობისმოყვარეობაში, რწმენაში, ღირებულებებში, მოლოდინებში და ა.შ. ზოგიერთი ფსიქოლოგი მოტივაციას პიროვნული ნიშან-თვისებების ტერმინებით ხსნის.

**კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებენ.**

ზოგიერთ ადამიანს მიღწევის მაღალი მოთხოვნილება აქვს, ეშინია გამოგდების, აინტერესებს ხელოვნება, ამდენად, ისინი ბევრს მუშაობენ, რომ მეტს მიაღწიონ, თავს არიდებენ გამოცდებს და საათობით ათვალიერებენ გამოფენებს. სხვა ფსიქოლოგები მოტივაციას განიხილავენ როგორც მდგომარეობას, დროებით სიტუაციას. თუ თქვენ, მაგალითად, რაიმეს კითხულობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალ გამოცდა გაქვთ ჩასაბარებელი, თქვენ სიტუაციით ხართ მოტივირებული. რა თქმა უნდა, მოტივაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს დროის ნებისმიერ მოცემულ მონაკვეთში, ნიშანთვისებებისა და მდგომარეობის ერთგვარი კომბინაციაა. თქვენ შეიძლება სწავლობდეთ იმიტომ, რომ სწავლა თქვენთვის დიდი ღირებულებაა და იმიტომაც, რომ გამოცდისთვის ემზადებით.

როგორც ხედავთ, მოტივაციის ზოგიერთი განმარტება ეყრდნობა შინაგან, პიროვნულ ფაქტორებს, როგორიცაა მოთხოვნილებები, ინტერესები, ცნობისმოყვარეობა. სხვა განმარტებებში აქცენტი ექსტერნალურ, გარეფაქტორებზეა აღებული – ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და ა.შ. მოტივაციის კლასიკური დაყოფა ასეთია: შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია არის ტენდენცია – მიღწეულ იქნეს მიზნები საკუთარი ინტერესებისა და უნარების კვალდაკვალ. როდესაც ჩვენ შინაგანად ვართ მოტივირებულნი, ჩვენ არ გვჭირდება წახალისება ან დასჯა, რამდენადაც თვითონ აქტივობა თავისთავად წარმოადგენს ჯილდოს.

ამის საპირისპირო შემთხვევაა, როცა რაღაცას კარგი შეფასებისათვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მასწავლებლის სიამოვნებისათვის ან ამოცანასთან ნაკლებად დაკავშირებული რაიმე სხვა მიზეზით ვაკეთებთ. ეს გარეგანი მოტივაციაა. რეალურად ჩვენ ქცევას იმიტომ არ ვახორციელებთ, რომ თავად იგი გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს, რას მოგვიტანს ეს ქცევა.

ფსიქოლოგები, რომლებიც იზიარებენ მოტივაციის შინაგანად და გარეგანად დაყოფის კონცეფციას, ამბობენ, რომ ერთი შეხედვით შეუძლებელია განვსაზღვროთ, მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. არსებითი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის ინდივიდის ქცევისათვის წარმმართველი მიზეზია, ანუ მიზეზობრიობის ლოკუსი ინტერნალურია თუ ექსტერნალური – პიროვნების შიგნითაა თუ მის გარეთ. ინდივიდი შეიძლება იმიტომ კითხულობდეს, ცურავდეს ან ხატავდეს, რომ მან ქცევის თავისუფალი არჩევანი პიროვნული ინტერესების გათვალისწინებით გააკეთა (მიზეზობრიობის ინტერნალური ლოკუსი/შინაგანი მოტივაცია), ან ასე იმიტომ იქცევა, რომ გარედან, ვიღაცის ან რაღაცის გავლენას განიცდის (მიზეზობრიობის ექსტერნალური ლოკუსი/გარეგანი მოტივაცია)

როდესაც თქვენ საკუთარ მოტივაციაზე ფიქრობთ, ალბათ გეჩვენებათ, რომ ეს დიქოტომია შინაგან და გარეგან მოტივაციას შორის ძალიან მარტივია. ერთი ახსნა ისაა, რომ ქცევა მიჰყვება ერთგვარ კონტინუუმს აბსოლუტური თვითგანსაზღვრულობიდან (შინაგანი მოტივაცია) სხვათა მიერ აბსოლუტურ განსაზღვრულობამდე (გარეგანი მოტივაცია). მაგალითად, სტუდენტი შეიძლება აკეთებდეს თავისუფალ არჩევანს, მუყაითად იმუშაოს ისეთ სფეროში, რომელიც მისთვის არცთუ მიმზიდველია, იმიტომ, რომ ეს საჭიროა საბოლოო ღირებული მიზნის მისაღწევად; ვთქვათ, საათობით უჯდეს განათლების ფსიქოლოგიას იმისათვის, რომ გახდეს კარგი მასწავლებელი. შინაგანი მოტივაციაა ეს თუ გარეგანი? რეალურად, ის სადღაც მათ შორისაა – პიროვნება თავისუფალ არჩევანს აკეთებს გარე ფაქტორების (მაგალითად ლიცენზიის მისაღებად საჭირო მოთხოვნები) გათვალისწინებით და შემდეგ ცდილობს მეტი სარგებელი მიიღოს აქედან. ანუ

პიროვნებამ ექსტერნალური მიზეზის ინტერნალიზაცია მოახდინა.

ცოტა ხნის წინ საკამათო გახდა საკითხი შინაგანი და გარეგანი მოტივაციის, როგორც კონტინუუმის საწყისი და საბოლოო წერტილების შესახებ. ალტერნატიული ახსნა შემდეგია: რამდენადაც მოტივაცია მოიცავს როგორც პიროვნული ნიშნის, ისე გარემოს ფაქტორებს, ის ასევე შეიძლება მოიცავდეს, როგორც შინაგან, ისე გარეგან ფაქტორებს. შინაგანი და გარეგანი ტენდენციები – ესაა ორი დამოუკიდებელი შესაძლებლობა დროის ნებისმიერ მოცემულ მონაკვეთში და ჩვენ შეიძლება მოტივირებული ვიყოთ თითოეული მათგანით. სწავლებამ შეიძლება შექმნას შინაგანი მოტივაცია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და კომპეტენტურობის მნიშვნელობის ხაზგასმით. თუმცა ისიც ვიცით, რომ ეს ყოველთვის ვერ იმუშავებს. ყოველთვის მიმზიდველი და საინტერესოა თქვენთვის ქვემიწერით გაყოფა? ყოველთვის აღგიძრავთ ცნობისმოყვარეობას არაწესიერი ზმნები? თუ მასწავლებლებს მუდმივად ექნებათ შინაგანი მოტივაციის იმედი, იმედგაცრუება ელით. არის სიტუაციები, როცა წამახალისებელი სტიმულები და გარემხარდაჭერა აუცილებელია. მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ შინაგანი მოტივაციის გაჩენასა და შენარჩუნებაზე, როცა დარწმუნდებიან, რომ გარეგანი მოტივაციაც მუშაობს და ჩართულია სწავლის პროცესში. ამისათვის მათ უნდა იცოდნენ მოტივაციაზე გავლენის მქონე ფაქტორების შესახებ.

## ოთხი ძირითადი მიდგომა მოტივაციისადმი

მოტივაცია საკმაოდ ფართო, კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს. ამ თეორიებიდან ზოგიერთი ლაბორატორიებში ცხოველებთან მუშაობისას განვითარდა, ზოგი კი ადამიანებთან ისეთ სიტუაციაში მუშაობისას, სადაც გამოყენებული იყო თავსატეხების შემცველი ამოცანები. სხვა თეორიები კლინიკური ან ინდუსტრიული (შრომის) ფსიქოლოგიის ფარგლებში გაწეული სამუშაოების საფუძველზე წარმოიქმნა.

მოტივაციისადმი ბიჰევიორისტული მიდგომა. ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას. იმპულსი ის ობიექტები ან მოვლენებია, რომლებიც აღძრავს ან, პირიქით, აწყობს ქცევას. მაგალითად, დამატებითი ქულების დაპირება წამახალისებელი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლისთვის.

თუ ჩვენ მუდმივად წაგვახალისებენ გარკვეული ქცევის გამო, ჩვენ განგვივითარდება გარკვეული ჩვევა ან ტენდენცია – განვახორციელოთ ხოლმე გარკვეული ტიპის ქცევა. მაგალითად, თუ მოსწავლე ფეხბურთის თამაშის გამო ჯილდოდ მიიღებს ხან ფულს, ხან საჩუქრებსა და პრივილეგიებს, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება მიექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დიდ დროს დაუთმობს ფეხბურთში ვარჯიშს და არა გეომეტრიის სწავლას. კარგი ნიშნები, ვარსკვლავები, სტიკერები და სხვა საშუალებები განმტკიცებისათვის ან გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები ცუდი საქციელისათვის – ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისათვის გარეგანი იმპულსის, ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით.

მოტივაციისადმი ჰუმანისტური მიდგომა. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მომხრეები, მათ შორის კარლ როჯერსი, ამბობდნენ, რომ ფსიქოლოგიის ვერცერთი დომინანტური სკოლა, ვერც ბიჰევიორული და ფროიდისეული, ადეკვატურად ვერ ხსნიდა ადამიანის ქცევას. მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს ისეთ შინაგან წყაროებს, როგორიცაა პიროვნების „თვითაქტუალიზაციის“ მოთხოვნილება, თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია“ ან „თვითგანსაზღვრის“ მოთხოვნილება. ასე რომ, ჰუმანისტურ ჭრილში, მოტივირება ნიშნავს ადამიანების შინაგანი რესურსების – მათი კომპეტენტურობის, თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას. მასლოუს თეორია მოტივაციის ცნობილი ჰუმანისტური ახსნაა.

**მასლოუს იერარქია.** აბრაჰამ მასლოუ ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია მთელი დიაპაზონით – დაბალიდან (მაგ. უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე (თვითაქტუალიზაცია). თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია,

რითაც იგი პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას აღნიშნავდა. სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები.

მასლოუ ოთხ შედარებით დაბალი რანგის მოთხოვნილებას: ფიზიოლოგიურს, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობისა და თვითშეფასების მოთხოვნილებებს დეფიციტურს უწოდებდა. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მათი რეალიზების მოტივაცია იკლებს. მან სამ ზედა, მაღალი რანგის მოთხოვნილებას – ინტელექტუალური მიღწევების, ესთეტიკურ და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებს ზრდის მოთხოვნილებები უწოდა. როდესაც ეს მოთხოვნილებები კმაყოფილდება, პიროვნების მოტივაცია არ იკარგება, პირიქით, იგი იზრდება და დაკმაყოფილების მორიგი საშუალებების ძებნას იწყებს. დეფიციტური მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, ეს მოთხოვნილებები ბოლომდე არასდროს კმაყოფილდება. მაგალითად, რაც უფრო წარმატებულია თქვენი მცდელობა, გახდეთ კარგი მასწავლებელი, მით უფრო მეტად გინდათ მიაღწიოთ მეტს.

მასლოუს თეორია იმის გამო გააკრიტიკეს, რომ ადამიანები აშკარად ყოველთვის ისე არ იქცევიან, როგორც ეს თეორიის მიხედვით არის მოსალოდნელი. ადამიანების უმრავლესობა ხშირად ბრუნდება უკან, დაბალი რანგის მოთხოვნილებებისაკენ და ერთდროულად შეიძლება მოტივირებული იყოს სხვადასხვა საფეხურის მოთხოვნილებებით. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება უარსაც ამბობდეს უსაფრთხოებაზე, მეგობრობაზე და განათლებისათვის, უფრო მეტი თვითაქტუალიზაციისათვის ზრუნავდეს.

კრიტიკის მიუხედავად, მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან. ბავშვი, რომლის უსაფრთხოებისა და მიკუთვნებულობის განცდას საფრთხე მშობლების გაყრის გამო ექმნება, ნაკლებ ინტერესს გამოამჟღავნებს წილადების გაყოფის სწავლაში. თუ სკოლა საშიშ, არაპროგნოზირებად ტერიტორიაზე იმყოფება, იქ უფრო მეტი ყურადღება უსაფრთხოებას მიექცევა, ვიდრე სწავლას ან სწავლებას. სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობა და ამ ჯგუფის შიგნით თვითშეფასების განმტკიცება მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის. თუ იმის გაკეთება, რასაც მასწავლებელი მოსწავლისაგან ითხოვს, ეწინააღმდეგება ამ ჯგუფის დადგენილ წესებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ მოსწავლე ყურად არ იღებს მასწავლებლის სურვილს და შეიძლება დაუპირისპირდეს კიდეც მას.

## მოტივაციისადმი კოგნიტური და სოციალურ-კოგნიტური მიდგომა

კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებენ. მოტივაციის კოგნიტური თეორიები, შეიძლება ითქვას, ბიჰევიორისტული შეხედულებების საპასუხოდ განვითარდა. კოგნიტივისტებს სჯერათ, რომ ჩვენი ქცევა აზროვნებით არის

განპირობებული და არა უბრალოდ იმით, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვაჯილდოვეს ან დაგვსაჯეს. ქცევა წამოწყებული და რეგულირებულია გეგმების, მიზნების, სქემების, მოლოდინებისა და ატრიბუციების მიერ.

მოლოდინი X ღირებულების თეორიებზე. თეორიებს, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც ბიჰევიორისტების აქცენტებს ქცევის გავლენებისა და შედეგების შესახებ, ასევე კოგნიტივისტების ინტერესს ინდივიდის აზროვნების გავლენის მიმართ, შეიძლება ვუწოდოთ მოლოდინის/ღირებულების თეორიები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევა აღქმულია როგორც ორი მთავარი ფაქტორის პროდუქტი: მიზნის მიღწევის მოლოდინისა და ამ მიზნის ღირებულების პროდუქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი საკითხებია: „მივაღწევდი თუ არა წარმატებას, რომ მეცადა?“ და „იქნება თუ არა შედეგი ღირებული და ჩემთვის რაიმე ჯილდოს მომტანი, თუ წარმატებას მივაღწევ?“ მოტივაცია სწორედ ამ ორი ფაქტორის პროდუქტია. თუ ორივე ფაქტორი ნულის ტოლი იქნება, მოტივაციაც, რომ მუყაითად იმუშაო მიზნის მისაღწევად, არ იარსებებს. მაგალითად, თუ მე მჯერა, რომ დიდი შანსი მაქვს შევქმნა კალათბურთის გუნდი (მაღალი მოლოდინი) და ამ გუნდის შექმნა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია (მაღალი ღირებულება), ჩემი მოტივაცია ძლიერი იქნება. მაგრამ თუ ორივე ფაქტორი ნულის ტოლია (მჯერა, რომ არ შემიძლია გუნდის შექმნა და დიდად არც მაღელვებს კალათბურთის თამაში), მაშინ მოტივაციაც ნულის ტოლი იქნება.

„მივაღწევდი თუ არა წარმატებას, რომ მეცადა?“ და „იქნება თუ არა შედეგი ღირებული და ჩემთვის რაიმე ჯილდოს მომტანი, თუ წარმატებას მივაღწევ?“ მოტივაცია სწორედ ამ ორი ფაქტორის პროდუქტია. თუ ორივე ფაქტორი ნულის ტოლი იქნება, მოტივაც არ იარსებებს.

ჟაკლინ ეკლსსა და ალან ვიგფილდს დამატებით შემოაქვთ კიდევ დანახარჯის ცნება. ღირებულებები განხილული უნდა იყოს აგრეთვე იმ კონტექსტში, თუ რა ჯდება მათი აღსრულება; რა ენერგია იხარჯება; კიდევ რის გაკეთება შეიძლება ამის ნაცვლად; რა რისკი არსებობს მარცხის შემთხვევაში; სულელად ხომ არ გამოვჩნდები;

მოტივაციის სოციოკულტურული კონცეფციები. მოტივაციისადმი სოციოკულტურული შეხედულება ხაზს უსვამს ერთობის წევრობას. ადამიანები ერთვებიან აქტივობაში, რათა განამტკიცონ თავიანთი იდენტობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები ამ ჯგუფის შიგნით. ამდენად, მოსწავლეები მოტივირებულნი არიან ისწავლონ, თუ ისინი არიან წევრები იმ საკლასო ან სასკოლო ჯგუფისა, რომლისთვისაც სწავლას დიდი ღირებულება აქვს. როგორც სოციალიზაციის პროცესში ჩვენი კულტურის უფრო გამოცდილი წევრებისაგან ვსწავლობთ ლაპარაკს, ჩაცმას, სუფრასთან მოქცევის წესებს, ასევე იმათზე დაკვირვებით, ვინც ჩვენი სასკოლო ჯგუფის წევრია, ვსწავლობთ, როგორი მოსწავლეები უნდა ვიყოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვსწავლობთ იმ ჯგუფისგან, რომლის წევრებიც ვართ.

იდენტობის კონცეფცია ცენტრალური საკითხია მოტივაციისადმი სოციოკულტურულ მიდგომაში. როდესაც თავს აღვიქვამ ფეხბურთელად, სკულპტორად, ინჟინრად, მასწავლებლად ან ფსიქოლოგად, მე მაქვს იდენტობა ამ ჯგუფთან. სოციალიზაციის ერთ-ერთი ნაწილია ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობის საფეხურიდან ჯგუფის ცენტრალური წევრის პოზიციაზე გადასვლა. ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ დამწყებნი ჩართული არიან ჯგუფის საქმიანობაში მაშინაც კი, თუ მათი შესაძლებლობები არასაკმარისადაა განვითარებული. ახალბედა მქსოველი ჯერ მატყლის შეღებვას სწავლობს, სანამ რთვასა და ქსოვას ისწავლიდეს. ახალბედა მასწავლებელი სანამ მთელ ჯგუფს აიყვანდეს, ჯერ ერთ ბავშვთან მუშაობას უნდა მიეჩვიოს. თითოეული ამოცანა ექსპერტის მთლიანი სამუშაოს ნაწილია. როგორც ახალბედას, ისე ექსპერტის იდენტობა მჭიდრო კავშირშია ჯგუფში მათ ჩართულობასთან. ისინი მოტივირებულნი არიან ისწავლონ და შეითვისონ ჯგუფის ღირებულებები და გამოცდილება, რათა ჯგუფის ნამდვილ წევრებად იგრძნონ თავი.

# მართვა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი სკოლაში

**თამთა კობახიძე**

თუ დავფიქრდებით იმაზე, რა არის მთავარი ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად და სწავლების სასურველი შედეგის მისაღწევად, პირველი, რაც აზრად მოგვივა, კარგი მასწავლებელია. რასაკვირველია, სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი, თემი და ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პიროვნების ჩამოყალიბებაში, მაგრამ მრავლად ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შიშველი ხელებით, მხოლოდ მასწავლებლის მონდომების ხარჯზე, მოსწავლეებს სასურველი მიზნისთვის მიუღწევიათ. სკოლების ლიდერები დღითი დღე ჩივიან, რომ უჭირთ სასურველი კადრების პოვნა, განსაკუთრებით – საჯარო სექტორში, რომელიც დაბალი ანაზღაურებისა და სხვა ფაქტორების გამო კონკურენციას ვერ უწევს კერძოს. ინტერვიუებში ისინი აღნიშნავენ, რომ ფინანსური საკითხი ამ შემთხვევაში გადამწყვეტია. თუმცა მოტივაციის ფაქტორების შესასწავლად ჩატარებული მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ პერსონალის მოტივაცია ანაზღაურებაზე ერთმნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული – დიდ როლს ასრულებს გარემო და პიროვნული აღიარებაც. ადამიანები იშვიათად თმობენ სამსახურს, სადაც თავს დაფასებულად, აღიარებულად, გუნდის ნაწილად გრძნობენ. კვლევები წარმოაჩენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს – ორგანიზაციის მენეჯმენტის სტილს, რომელიც პერსონალს ან მოტივაციას აუმაღლებს, ან სამსახურის დატოვებისკენ უბიძგებს. გერმანული გამოცემები (Suddeutsche Zeitung, Die Welt) წერენ, რომ მუშაობის პოტენციალი იკლებს, როდესაც ადამიანი განუწყვეტლივ გრძნობს კონტროლს მენეჯერისგან. „მენეჯერებს ხშირად ავიწყდებათ, რომ თავადაც დაქვემდებარებულები არიან“, „თუ შეიქმნა გამოუვალი ვითარება, რომლის მართვა ხელმძღვანელს არ შეუძლია, ზეწოლა მაინც პერსონალზე მოდის“, – ნათქვამია სტატიაში.

საინტერესოა მათი მოსაზრებები, ვინც კარიერულ კიბეზე ერთი საფეხურით აიწია და დღეს თავადაა მენეჯერი. „სანამ რიგითი მასწავლებელი ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, რატომ არ დგამდა დირექტორი რადიკალურ ნაბიჯებს სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად; ახლა, როდესაც ხელმძღვანელის პოზიციიდან ვაკვირდები, ვხვდები, რომ ცვლილებების განხორციელება არც ისე ადვილია“, – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. „ვცდილობ, იგივე შეცდომები არ მომივიდეს, რაც ჩემს დირექტორს მოსდიოდა. არ მინდა დავივიწყო, რომ თავადაც რიგითი თანამშრომელი ვიყავი... ყველაზე რთული თანამშრომელთა მოტივირებაა“, – აღნიშნავს მეორე.

ადმინისტრირება ორგანიზებული საზოგადოების ყველა ინსტიტუციის აუცილებელი კომპონენტია. ადმინისტრაციული საქმიანობის აუცილებლობა მაშინვე იჩენს თავს, როცა საქმიანობის შესასრულებლად ორგანიზაციაში ორი ან მეტი თანამშრომელია საჭირო. მრავალი ისტორიული წყაროც კი ადმინისტრაციულ აქტივობებს აღწერს – პირამიდების მშენებლობით დაწყებული, ფეოდალური მამულების მართვა–გამგეობით დამთავრებული. ადმინისტრაციული პროცესის შესახებ ყველაზე ადრეული კონცეფციები თავმოყრილი იყო სამოქმედო მოდელის გარშემო – მართვას ახორციელებდა ის, ვინც ხელმძღვანელობდა აქტივობებს და ასრულებდა საქმეს. საინტერესოა, მაგრამ ჩემ მიერ გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობაც კერძო სექტორისთვის უპირატესობის მინიჭების მიზეზად მატერიალურ მხარესთან ერთად სასკოლო გარემოსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას ასახელებს. ამ შემთხვევაში აქცენტი თანამშრომლობით სწავლასა და ჯანსაღ სასკოლო გარემოზე დაისმის.

სკოლაში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თაობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რონალდ უ. რებორის წიგნში „Human Resources Administration in Education: A Management Approach”.

ყველა სკოლაში საჭიროა ადამიანების მიზიდვა, შერჩევა, განთავსება, შეფასება და ანაზღაურება – ეს უპირობოდ შესასრულებე-

ლი აქტივობებია. ავტორი განმარტავს, რომ ადმინისტრირება სოციალური პროცესია, რომელიც მოიცავს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვას გამიზნული სამუშაოს შესასრულებლად. მნიშვნელოვანია, მენეჯერებმა გაიაზრონ, რომ ადმინისტრირების პროცესი განსხვავდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისგან. ადმინისტრირება არის უკვე ჩამოყალიბებული სტრატეგიის განხორციელება, რაც უშუალოდ მოქმედებას გულისხმობს.

ადამიანური რესურსების ფუნქცია და პერსონალის ძირითადი ამოცანები ყველა სასკოლო სისტემაში ერთი და იგივეა: პერსონალის დაქირავება, შენარჩუნება, განვითარება და მოტივირება, ცალკეული თანამშრომლების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების მაქსიმალური დონის მისაღწევად და პერსონალის კარიერული წინსვლისთვის აუცილებელი პირობების შექმნა. ეს მიზნები უნდა ხორციელდებოდეს ადამიანური რესურსების ფუნქციის შემდეგ მიმართულებათა გათვალისწინებით:

1. ადამიანური რესურსების დაგეგმვა – გეგმის შედგენა ადამიანური რესურსების ხანგრძლივ და ხანმოკლე მოთხოვნილებებთან დაკავშირებით სკოლის განვითარების აუცილებელი კომპონენტია;
2. თანამშრომლების დაქირავება – კვალიფიციური პერსონალი ბავშვების, მოზარდებისა თუ ზრდასრულებისთვის ეფექტიანი საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ძირითადი ფაქტორია;
3. შერჩევა – ადამიანური რესურსების ხანგრძლივი და ხანმოკლე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შერჩევა ხორციელდება საგანგებოდ შემუშავებული ტექნიკისა და პროცესების მეშვეობით;
4. განთავსება და საქმის კურსში ჩაყენება – შესაფერისი დაგეგმვის მეშვეობით ახალი თანამშრომლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან, სასკოლო კულტურის გაცნობა, საერთო გეგმების გაზიარება;
5. პერსონალის განვითარება – განვითარების პროგრამები ხელს უწყობს პერსონალს სასკოლო მიზნების მიღწევაში და ცალკეულ პირებს პირადი და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას აძლევს;
6. მუშაობის შეფასება – შეფასების პროცესები და ტექნიკა ხელს უწყობს პიროვნებას პროფესიულ ზრდაში და ეხმარება სასკოლო თემს დასახული მიზნების მიღწევაში;
7. კომპენსაცია – ისეთი პროგრამების გატარება, რომლებიც ახდენს კვალიფიციური შრომის კომპენსაციას, ხელს უწყობს პერსონალის მოტივაციის ზრდას;
8. კოლექტიური მოლაპარაკებები – მოლაპარაკების პროცესი საშუალებას აძლევს პერსონალს, მონაწილეობა მიიღოს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ და პერსონალურ კეთილდღეობაზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების ფუნქციის ეს რვა განზომილება განცალკევებულ, იზოლირებულ ობიექტებს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთი და იმავე ფუნქციის ორგანული შემადგენელი ნაწილებია და იქვე დასძენს, რომ, სამწუხაროდ, მრავალი სკოლა ადამიანური რესურსების ფუნქციას დღემდე განიხილავს როგორც მხოლოდ კომპეტენტური მასწავლებლების სამუშაოზე აყვანას.

> **მნიშვნელოვანია, მენეჯერებმა გაიაზრონ, რომ ადმინისტრირების პროცესი განსხვავდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისგან. ადმინისტრირება არის უკვე ჩამოყალიბებული სტრატეგიის განხორციელება, რაც უშუალოდ მოქმედებას გულისხმობს.**

ცოდნის დონის მკვეთრმა ზრდამ და მუდმივად ცვალებადმა სოციალურმა გარემომ წარმოშვა მნიშვნელოვანი საკითხები ადამიანური რესურსების ადმინისტრირების სფეროში. წინათ კადრების განვითარება მოიაზრებოდა ძირითადად მიმდინარე ტრეინინგების მოდელთან კავშირში, რომელიც კონცენტრირებული იყო მცირერიცხოვანი სემინარების გამართვაზე სასწავლო მასალის ირგვლივ. ახალი სასწავლო ტექნოლოგიების მოზღვავებასთან ერთად განათლების სისტემაში მოსულ ახალ პროფესიონალთა შეცვლილი დამოკიდებულება და საზოგადოებრივი ღირებულებები იწვევს კადრების მუდმივი განვითარების აუცილებლობას, როგორც ადმინისტრატორებისთვის, ასევე მასწავლებლებისათვისაც. ეს ფუნქცია იმდენად სპეციალიზებულია, რომ ნამდვილად მოითხოვს ადამიანური რესურსების სპეციალისტის, ჩვენს სინამდვილეში კი სკოლის ადმინისტრატორის დიდ ყურადღებას.

სტატიის მომდევნო ნაწილებში მოკლედ მიმოვიხილავთ ავტორის მიერ დასახელებულ რვა პუნქტს და გაგაცნობთ ადამიანური რესურსების მართვის პროცესში გავრცელებულ ორ ძირითად ლიდერულ ტიპს (ტრანსცენდენტური და ტოტალური ხარისხის მენეჯმენტი), რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს განათლების ადმინისტრატორებს.

ნესტან რატიანი

# როგორ ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილები

> შეეცადეთ, ისეთი შეკითხვები დასვათ, რომ მოსწავლე პასუხამდე თვითონ მივიდეს ანუ აღმოაჩინოს ის, რაც თავისთავად ცხადია.

ერთი კვირის წინ ჩემმა ლეპტოპმა სიურპრიზი მომიწყო: ჩამუქებულ ეკრანზე რამდენიმე წინადადება იკითხებოდა, საიდანაც მხოლოდ ის გავიგე, რომ, თუ სასწრაფოდ არ მივხედავდი D დისკს, ყველა ჩემს დოკუმენტს სერიოზული ზიანი მიადგებოდა. არადა, როგორც მსოფლიოს საქმიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მეც კომპიუტერს მაქვს მინდობილი არაერთი ინფორმაცია, მას რომ უკურნებელი სენი შეეყაროს, არ ვიცი, როგორ აღვადგენ ან პროექტისთვის დამუშავებულ ვეებერთელა მასალას ან ციფრულ ფორმატში შენახულ იმ მასალას, რომელიც მოუცლელობისა და გულმავიწყობის გამო ჯერ კიდევ ვერ გადავიტანე სხვა ფორმატში. მადლობა ღმერთს, ამ ეტაპზე გადავრჩი. თუმცა ჭკუა ვისწავლე, შიშნაჭამმა თავი დავიზღვიე და ყველა დოკუმენტის ასლი გავაკეთე. არადა, ხომ ვიცოდი, რომ კომპიუტერის ნდობა არ შეიძლებოდა?!

საუკუნეების წინ მსგავსი პრობლემა იწინასწარმეტყველა ჩემმა საყვარელმა ფილოსოფოსმაც: პლატონის „ფედროსში“ სოკრატე ჰყვება, თუ როგორ მივიდა ციფრების, გამოთვლის, კამათლის და სხვა სასარგებლო გამოგონებათა ავტორი – ეგვიპტური მითოლოგიის პერსონაჟი თოთი – ფარაონ თამუსთან და ეგვიპტელი ხალხის მეხსიერების წამალი, ანბანი შესთვაზა. თოთის აზრით, ანბანი გააუმჯობესებდა მეხსიერებას, ხოლო ფარაონმა ამ წამალში საწამლავი (ბერძნულ ენაშიც ორივე ეს სიტყვა ერთი ძირიდან მომდინარეობს) დაინახა და იწინასწარმეტყველა, რომ ანბანზე მინდობილი ხალხი გულმავიწყი გახდებოდა – მეხსიერების გავარჯიშების ნაცვლად, მთლიანად მიენდობოდა ამბების ჩაწერას, რაც მხოლოდ მათი მეხსიერების დაჩლუნგებას გამოიწვევდა. რა თქმა უნდა, ანბანის წყალობით უამრავი რამ გადაურჩა დავიწყებას, თუმცა, მეორე მხრივ, ანბანზე მინდობილი ადამიანები აღარ იმახსოვრებდნენ იმას, რასაც მანამდე აუცილებლად დაიხსომებდნენ. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ქაღალდზე დაწერილი კომპიუტერზე აკრეფილმა და ელექტრონულ სივრცეში განთავსებულმა მასალამ შეცვალა. დღეს უკვე ჩვენი წამალი, სახელწოდებით Google, Google effect ანუ გუგლის ეფექტის სახელით ცნობილ საწამლავად შემოგვიბრუნდა.

სწორედ მეხსიერებას შეიძლება მიეძღვნას ერთი ინტეგრირებული გაკვეთილი, რომლის ჩატარებაც დამოუკიდებლად ერთ მასწავლებელსაც შეეძლება, თუმცა სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა თანამშრომლობაც მისასალმებელია. პირადად მე ამ თემის არჩევის შემთხვევაში ასეთ აქცენტებს დავსვამდი:

როდესაც ავთანდილი როსტევან მეფის ნებართვის გარეშე ტარიელთან შესახვედრად

გაიპარება, ანდერძს დატოვებს, რომელშიც სხვა ყურადღებამისაქცევ დეტალებთან ერთად ამგვარ სიტყვებსაც ამბობს: „შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არასმქონები: მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. განმარტების მიხედვით, „მომიგონებენ“ და „მოვეგონები“ ორივე სიტყვა „გახსენებას“ უკავშირდება, თუმცა აქ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ამ ერთი სიტყვის ორ მნიშვნელობაზე. თუკი ორი სხვადასხვა მნიშვნელობისა და წარმოშობის მქონე სიტყვას ერთნაირი ბგერითი შემადგენლობა აქვს, მას ომონიმი ჰქვია. აღიარებულია, რომ მაშინ, როდესაც სინონიმები ენის ლექსიკურ სიმდიდრეზე მეტყველებს, ომონიმები ენის „ხარვეზს“ წარმოადგენს. „მოგონება“ გახსენებასაც არის და „მოგონება“ ფანტაზიაც არის. მაგრამ ამ სიტყვებს ომონიმებად ვერ ჩავთვლით, რადგან, მიუხედავად ერთნაირი ბგერითი შემადგენლობისა, მათი წარმოშობა ერთია არა მხოლოდ ეტიმოლოგიურად, არამედ – ფილოსოფიურადაც. ნებისმიერი მოგონება რომ რაღაც დონეზე ფანტაზიის ნაყოფიცაა, ამაზე დიდიხანია, რაც მკვლევარები საუბრობენ. ამის გამოხატვა ენობრივად ქართულმა ენამ მოახერხა და ასახა, რომ ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანთათვის ეს ფენომენი კითხვასაც არ აღძრავს იმ შემთხვევაში, თუკი ამ სიტყვით ვისარგებლებთ, ხოლო, თუკი წარსულის აღდგენა ფანტაზიის შეულახავად გვინდა, მაშინ ამ პროცესს სხვა სიტყვით გამოვხატავთ. ავთანდილს შესანიშნავად ესმის, რომ მასზე მოგონებების რაღაც ნაწილი სიმართლე იქნება, ხოლო დანარჩენი - უბოროტო ფანტაზიის ნაყოფი. ამგვარი ფანტაზია უკვე იმდენად გადაეჯაჭვება ხოლმე წარსულის ამბებს, რომ მთქმელი ვეღარც კი აცნობიერებს, რა დონეზეა მისი ნაამბობი სიმართლე და წარსულის ზუსტი რესტავრაცია და რა დონეზეა იგი უნებლიე ფანტაზიით დაბინძურებული.

აქ არ შეიძლება მხატვრობაც არ გაგვახსენდეს. როდესაც მხატვარი ტილოზე ნატურის გადატანას ცდილობს, მან თუნდაც რამდენიმე წამით/წუთით უნდა მოსწყვიტოს თვალი ნატურას და კონცენტრირდეს საკუთრივ ნახატზე. შესაბამისად, დროის ამ მცირე მონაკვეთის გამო იგი მეხსიერებას უნდა მიენდოს.

და ბოლოს, მეხსიერებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისტორიას. ისტორიის მამებმა, ჰეროდოტემ და თუკიდიდემ, თავიანთი საისტორიო ნაწერებისთვის ორი სხვადასხვა მეთოდოლოგია შექმნეს. ჰეროდოტე ხშირ შემთხვევაში წყაროდ სხვათა მონათხრობს იყენებს, შესაბამისად, მის „ისტორიაში“ მოგონებისა და ფანტაზიის გამიჯვნა დიდ სირთულეს წარმოადგენს. თუკიდიდემ კი სპარტელთა და ათენელთა ომის დაწყებისთანავე გადაწყვიტა

> **ანბანის წყალობით უამრავი რამ გადაურჩა დავიწყებას, თუმცა, მეორე მხრივ, ანბანზე მინდობილი ადამიანები აღარ იმახსოვრებდნენ იმას, რასაც მანამდე აუცილებლად დაიხსომებდნენ.**

ჩანაწერები გაეკეთებინა, შესაბამისად, მისი ნაწერი თვითმხილველის მონათხრობია. თუმცა თუკიდიდე ნაწარმოების დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ იმ ამბებს აღწერს, რასაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ. სწორედ ეს – დამახსოვრებისას მნიშვნელოვანის გამორჩევა - ხდის მონათხრობებზე, თუნდაც თვითმხილველისაზე, დაფუძნებულ პირველად და მეორად წყაროებს მიკერძოებულს და ზობს. ერთი ასეთი გამოსვლა, ბრძოლის ველზე დაცემულ ათენელ გმირთა საფლავზე პერიკლეს მიერ წარმოთქმული სიტყვა, ქრესტომათიულად იქცა. ამ გამოსვლაში ათასზე მეტი სიტყვაა, ეს რომ ქაღალდზე გადავიტანოთ, რამდენიმე გვერდი გამოვა (როდესაც ინტერნეტიდან ქართული ტექსტი, რომელიც 1269 სიტყვას ითვლიდა, Word-ის ფაილად ვაქციე, Sylfaen 10-ით სამი

| საგანი | საკითხი | ძირითადი შეკითხვა |
|---|---|---|
| ენა და ლიტერატურა | ავთანდილის ანდერძი (811) (ვეფხისტყაოსნის სასკოლო გამოცემა ალ.ჭინჭარაულის რედ. 2009) | რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები „მომიგონებენ“ და „მოვეგონები“? |
| ისტორია | პერიკლეს სიტყვა გმირი მეომრების დაკრძალვაზე (http://vangogen.blogspot.com/2012/12/blog-post_30.html) | რამდენად სანდოა წყარო, თუკი ის მეხსიერებაზეა დაფუძნებული? |
| ხელოვნება | ნატურა და მხატვარი | რამდენად ვიყენებთ მეხსიერებას ხელოვნებაში და რამდენად რეალისტურია ქაღალდზე გადატანილი რეალობა? |
| ბიოლოგია | იმუნური სიტემა, ვაქცინაცია | შეგვიძლია თუ არა ვუწოდოთ იმუნურ სისტემას ორგანიზმის მეხსიერება? |
| საინფორმაციო ტექნოლოგია | ინფორმაციის შენახვა და დამახსოვრება | რა უპირატესობა და ნაკლოვანება აქვს კომპიუტერს ადამიანის მეხსიერებასთან შედარებით? |

არასანდოს (რა თქმა უნდა, ისტორიკოსებმა არაჩვეულებრივად იციან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში, რომ მათი დარგი, რომელიც რაღაც თვალსაზრისით არასანდო ამბებზეა აგებული, არასანდო მეცნიერებად არ იქცეს და ამაში მათ ანალიზი და შედარება ეხმარებათ). არასანდოა თვითმხილველის მონათხრობი მაშინაც, როდესაც მას ვრცელი ამბის დამახსოვრება უხდება. მაგალითად, თუკიდიდე ხან ელჩების სიტყვებს, ხანაც პოლიტიკოსთა გამოსვლებს გვთავაგვერდი გამოვიდა. ინტერნეტში ამ სიტყვის აუდიოვერსიის მოსმენაცაა შესაძლებელი ინგლისურ ენაზე და ის 18:28 წუთს გრძელდება. შემეძლო, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა და მენახა, რა დრო დასჭირდებოდა ბერძნულ ენაზე ტექსტის წაკითხვას, მაგრამ არა მგონია, ამის აუცილებლობა არსებობდეს). როგორი კარგი მეხსიერებაც არ უნდა ჰქონოდა თუკი დიდეს, ერთი მოსმენით ამ სიგრძე სიტყვის დამახსოვრება, მაინც წარმოუდგენელია, ამიტომ დგება კითხვა, ტექსტის რა ნაწილი ან რომელი ძირითადი დებულებები ეკუთვნის პერიკლეს და რომელი თუკიდიდეს.

ამ წერილში ძირითადად მეხსიერების ნაკლოვან მხარეზე გავამახვილე ყურადღება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კარგი მეხსიერება კომპლიმენტად ითვლება, ჩვენ მაინც არაჯეროვნად ვაფასებთ მეხსიერების როლს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ენის შესწავლა, წესებისა და ფორმულების დამახსოვრება, ის უამრავი რამ, რაც მიღებული ინფორმაციას ცოდნად აქცევს, სწორედ რომ მეხსიერებას ეფუძნება. ამიტომაც, როდესაც ინტეგრირებულ გაკვეთილს ჩაატარებთ, არ დაგავიწყდეთ მეხსიერების ამ ორივე მხარის – დადებითისა და უარყოფითის – თანაბრად განხილვა, მე კი ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებელ ასეთ გეგმას შემოგთავაზებთ, თუმცა, რა თქმა უნდა, გეგმაში ნებისმიერი ცვლილება შეგიძლიათ მოახდინოთ. და ერთიც, შეეცადეთ, ისეთი შეკითხვები დასვათ, რომ მოსწავლე პასუხამდე თვითონ მივიდეს ანუ აღმოაჩინოს ის, რაც თავისთავად ცხადია. ჩემი შემდეგი წერილი კი სწორედ აღმოჩენაზე იქნება...

# რას მინდა სწავლობდნენ ქართულ სკოლაში

თეონა ბექიშვილი

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა ვარსკვლავს“
*ილია*

საშუალო სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი დემოკრატიული ღირებულებებით აღსავსე, ჰუმანური და ქმედითი მოქალაქის აღზრდაა. მიუხედავად სპეციალური საგნის არსებობისა, ადამიანის აღზრდაში ლიტერატურას მაინც განსაკუთრებული ადგილი აქვს.

კაცობრიობა ვითარდება. იცვლება ხედვები, ღირებულებები, პრობლემები. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მარადიულია, მაგრამ ბევრსაც ყავლი გასდის. თანამედროვეობას თანამედროვე ხედვები სჭირდება, თანამედროვე მკითხველს კი - თანამედროვე პრობლემებზე შექმნილი ნაწარმოებები.

არავინ დავობს, რომ განათლების მისაღებად კლასიკური გამოცდილების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურის დღევანდელ პროგრამას გადახალისება სჭირდება. ბოლო ათწლეულების საქართველოში მომხდარ მოვლენებს მოსწავლეებისათვის შეთავაზებული ნაწარმოებები ნაკლებად ასახავს.

ერთ-ერთ წერილში უკვე ვახსენე, რამდენიმე წლის წინ ქართველი აბიტურიენტების უმრავლესობამ ვერ გაიგო და სწორად ვერ შეაფასა რეზო ინანიშვილის „ლარა“. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მეოცე საუკუნის ისტორიას ნაკლებად ეცნობიან ქართველი მოსწავლეები, მით უფრო, ამ ისტორიის მხატვრული გააზრებას.

ბოლო რამდენიმე ათწლეულში შექმნილი ნაწარმოებებიდან კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროზაული ტექსტი მგონია, და ვფიქრობ, მისი შესწავლა-ანალიზი მოსწავლეებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ქვემოთ შევეცდები ჩამოვთვალო ის მიზეზები, რომელთა გამოც, მიმაჩნია, რომ ეს მოთხრობა შესატანია უფროსკლასელთა ლიტერატურის სახელმძღვანელოებში.

უპირველესი – ესაა, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე საყოველთაო პრობლემა, გლობალიზაცია, რაზეც მოთხრობის სათაურიც მოწმობს. ნაწარმოები ცალხელა კახელი გლეხის ნაამბობია, რომელსაც ჟურნალისტები რადიო გადაცემისთვის იწერენ. ზომიერი იუმორი და თვითირონია, რითაც მისი თხრობა იწყება, თავიდანვე მომხიბვლელს ხდის ტექსტს. „პივა“ ყავა და ჩიპსები – ამ პროდუქტების ფონზე, სოფლის კაფეში მიმდინარეობს ჩაწერა. ნელ-ნელა თხრობა იშლება და ცხადი ხდება, როგორ მოხვდა ისინი კახეთის ერთ-ერთ სოფელში. როგორ შემოვიდა უამრავი უცხო რამ და რაც საწყენია, როგორ დაიკარგა საკუთრივ ქართული, როგორ და რატომ ვერ შეძლეს კამეჩიანთკარის ცნობილი კამეჩის ყველის ტექნოლოგიის მსოფლიო ბაზარზე გატანა და დამკვიდრება. რა როლი მიუძღვის ამ ყველაფერში ავადსახსენებელ სამოცდაათ წელიწადს

> კაცობრიობა ვითარდება. იცვლება ხედვები, ღირებულებები, პრობლემები. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მარადიულია, მაგრამ ბევრსაც ყავლი გასდის. თანამედროვეობას თანამედროვე ხედვები სჭირდება, თანამედროვე მკითხველს კი – თანამედროვე პრობლემებზე შექმნილი ნაწარმოებები.

**არავინ დავობს, რომ განათლების მისაღებად კლასიკური გამოცდილების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ, ვფიქრობ, ქართული ლიტერატურის დღევანდელ პროგრამას გადახალისება სჭირდება.**

და როგორ დახია უკან ქართული წარმოება იმ დროის ჩაკეტილმა საზღვრებმა.

„გლობალიზაცია“ გლობალიზაციას ყველა დონეზე ეხება. კულინარიული სფერო მხოლოდ ზედაპირული გარსია. ნელ-ნელა ის ფართოვდება. ეხება შიგა ეროვნულ გლობალიზაციასაც, რაც წინა საუკუნის ნახევრიდან აშკარა გახდა და ნელ-ნელა მოედო მთელ საქართველოს. სხვა კუთხის კულტურა, ტრადიცია ძირითადად ქალებს გადააქვთ მეორე კუთხეში. ოჯახის შექმნის გეოგრაფია 2-3 სოფლის საზღვრებს სცდება და კონკრეტულ მოთხრობაში ერთი ოჯახის შვილები თხოვდებიან კახეთიდან სამეგრელოში, სამეგრელოდან ქართლსა და კახეთში და ნელ-ნელა მიდის საქართველოს კუთხეების ასიმილაცია.

თუმცა, ყველაზე მძაფრი რელიგიების შეჯახებაა. ტრაგიზმამდეც სწორედ ამას მიჰყავს ამბავი. ვინმე ნაგიჟარი ფიჩორის (მისი პროტოტიპი, ალბათ, მამა ბასილ მკლავიშვილია) მრევლი სამეგრელოში არბევს სექტანტების (იეჰოვას მოწმეების) შეკრებას. მთხრობელის დას (ელიჩკას), როგორც იეჰოვის მოწმეს, გამოარიდებენ ფიჩორისა და მისი მრევლის აგრესიას და სამეგრელოდან გადაიყვანენ შვილთან, გორში, სადაც ის სიძის, ეკლესიის ამგები მილიციის უფროსის ძალადობის მსხვერპლი ხდება. საბოლოოდ მშობლიურ კახეთში ჩამოჰყავთ, მაგრამ აქაც მოდაშია შემოსული ეკლესიურობა და ერთი შეხედვით სიმპათიური მღვდელი მოხუც ქალს მთელ სოფელს უმხედრებს, ბოლოს კი უბრძანებს, ეპისკოპოსი ჩამოდის, ეკლესიაში ფორთხვით მოდიო და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.



მოთხრობაში ნათლად იკვეთება, რომ ქრისტიანობა, როგორც ტრადიცია, როგორც ერის სულიერი არსებობის ფორმა, იმავე სამოცდაათ წელიწადშია გამქრალი. ამდენად იეჰოვას მოწმეებს როგორც უცხო და უჩვეულო ღირებულებების მატარებელ ხალხს, საკუთარ თავში გარკვეული საზოგადოება კი არა, მოდას აყოლილი ბრბო, უვიცების ჯარი უპირისპირდება. უცხო მაშინაა საშიში, როდესაც შენ არ გამოგირკვევია საკუთარი არსი, საკუთარი კულტურა და ღირებულებები.

„გლობალიზაციის“ სიუჟეტის მსვლელობისას ერთ-ერთი ტრაგედიის (ელიჩკას ქმრის მკვლელობის) მიზეზი ოთხმოცდაათიანი წლების სამეგრელოში მომხდარი დაპირისპირებაა.

ამ ტექსტით მოსწავლეები საბჭოთა რეპრესიების შესახებაც შეიტყობენ. ისინი მხატვრული ტექსტისგან გაიგებენ წამების, სისასტიკისა და დაუნდობლობის საბჭოთა მეთოდების შესახებ, რომელთაც წინა საუკუნის დასაწყისში მთელი ქვეყნის მასშტაბით მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა.

ასევე მნიშვნელოვანია, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და შეფიცულთა რაზმის თემაც. მოკლედ აქ ყველაფერია განვლილი საუკუნის შესახებ. თუმცა, „გლობალიზაციის“ მიხედვით პოსტსაბჭოთა პერიოდის ადამიანი გაცილებით უფრო სასტიკი და დაუნდობელია განსხვავებულის მიმართ. მერაბ მამარდაშვილი სწორედ იმ პერიოდში წერდა: „ქართველმა ხალხმა ჯერ ყურადღებით უნდა ჩახედოს თავის თავს სარკეში, შერცხვეს თავისი სახის, ბაქიაობის და უსაქმურობის, თავისი მონური რეაქციებისა და სტერეოტიპების, შერცხვეს თავისი მკვდრების და დაფიქრდეს: ვინ ვიყავი ამ წლების განმავლობაში? რას ვაკეთებდი, ვისი მჯეროდა, ვის მივყვებოდი, უნდა შეძრწუნდეს სირცხვილის და საზიზღრობისგან, და მაშინ მის წინაშე გაიხსნება თავისუფლების გზა, გზა, რომელიც ასაშენებელია, იმიტომ რომ მხოლოდ სირცხვილისგან შეიძლება აღორძინების ენერგია გაჩნდეს“.

მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ სირცხვილის სარკით შეძლო ერის გადარჩენა. მიუხედავად ამისა, დღემდე ვერ მოვერიეთ უამრავ მანკიერ თვისებას, ისტორიაც მეორდება და საბჭოთა მონობამაც ისე იმოქმედა, რომ მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცეს დასაწყისთან შედარებით, ხშირად უკან წასულიც მოჩანს საზო-

გადოება. მაინც, ყველა დროს თავისი სირცხვილი სჭირდება. კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“ სწორედ ამ სირცხვილზეა.

ლიტერატურა, მისი სწავლება, რაღა თქმა უნდა, საკუთრივ ლიტერატურის ხარისხით უნდა განისაზღვროს და არა მასში არსებული საჭირო თემებით. ამ მხრივაც „გლობალიზაცია“ მეტად საინტერესო ტექსტია. ის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს თვალი მიადევნონ სიუჟეტის განვითარების კლაკნილ ხაზს, როგორ იკვრება ქრონოლოგიურად ერთი ოჯახის ისტორია, ერთი შეხედვით აბდაუბდა მონათხრობში, როგორ თანაარსებობენ ერთ სივრცეში იუმორი და დრამა, სარკაზმი და ტრაგედია. ენობრივი მასალის რა კომპონენტებით იქმნება მხატვრული სინამდვილე, რომლისაც მართლა გჯერა. კოტე ჯანდიერის ეს მოთხრობა ბრწყინვალე ნიმუშია იმისა, როგორ შეიძლება დიალექტიზმებითა და სლენგით, ხშირად ბარბარიზმებითაც მეტყველებდეს პერსონაჟი და არსად გადაამლაშოს, ბოლომდე შეძლოს ლიტერატურულ სივრცეში ცოცხალი მეტყველების ისე გადმოტანა, რომ მკითხველიც დააჯეროს და არც მომაბეზრებელი გახადოს საალიტერატურო ენისთვის თითქოსდა მიუღებელი ეს კომპონენტები.

ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა „გლობალიზაციაში“ საკუთრივ ქართული ლიტერატურის გამოცდილების ძიებაც. მთავარი გმირის სახეში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სცენაა, როდესაც ის, ჯერ კიდევ პატარა გოგო, უფსკრულის პირას ლოდზე შეხტება და საოცარი ხმით მღერის. ეს სცენა, როგორც მოგონება, ფინალშიც მეორდება. ელიჩკა საბოლოოდ თავს იკლავს. თავს იკლავს, რადგან ადამიანი აღარაა, ვისაც მისი თანაგრძნობა შეუძლია. „ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი აღარ არია“. არის თუ არა ამ ქალის მხატვრული სახე უფსკრულს მომზერალი პირიმზეს შორეული ალუზია, კიდევ რა გამოცდილება კვებავს ავტორის წარმოსახვას?

ამ და მსგავს ლიტერატურულ საკითხებზე „გლობალიზაციის“ მიხედვით ბევრი რამის სწავლება შეიძლება, თუმცა მივუბრუნდეთ ისევ პრობლემატიკას.

გარდა საკუთრივ განათლების პოლიტიკისა, არსებობს ერში დამკვიდრებული აღზრდის გარკვეული სტერეოტიპებიც. მაგ. ის რომ წინაპარი აპრიორი გმირია, მამა-პაპები ის ადამიანები არიან, რომელთა მორალურ სიმაღლეს მარადიულად უნდა ელტვოდეს მოზარდი. ეს ერთი მხრივ, კარგია, უფროსების, ფესვების მიმართ პატივისცემას ბადებს, მაგრამ მეორე მხრივ, შემაფერხებელია ერის განვითარებისთვის, შემაფერხებელია, რადგან „ახალი ვარსკვლავის დევნას“ ადუნებს და თანაც ტყუილია, ყველას წინაპარი ვერ იქნება ღირსეული და მისაბაძი, მით უფრო, რომ უახლესი ისტორია, რომელშიც ჩვენი თუ ჩვენი მოსწავლეების უშუალო წინაპრები ცხოვრობდნენ, ნაკლებად იძლეოდა გმირების გაჩენის საშუალებას. საოცდაათწლიანმა ტყუილმა თავისი მძიმე კვალი დაგვაჩნია და ჩვენც, რადგან არ შეგვრცხვენია, ამავე გამოცდილებით დავბადეთ ახალი, პოსტსაბჭოური ტყუილი, ქვეყანა, სადაც ეკლესიებს ქურდები და მილიციის უფროსები აშენებენ, სადაც ყველაფერი ანგარიშგასაწევია: სოფელი, ათწლეულების წინ დაღუპული მამისთვის გადასახდელი პანაშვიდი, მღვდლის აზრი, ყველაფერი, გარდა ყველაზე მთავრისა, ადამიანისა.

ამგვარ საკითხებზე მსჯელობის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტყუილის, სისასტიკისა და ძალმომრეობის შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა „გლობალიზაცია“. ასე მგონია, კერპებისა და მითების დანგრევაში, რომლებიც მომავალ თაობებს უხვად ხვდება, ეს ტექსტი ძალიან დაეხმარებათ.

ნინო კაპანაძე

# აღზრდა – საგანმანათლებლო სივრცის უწყვეტი პროცესი

„პროფესიული განვითარება გულისხმობს მასწავლებლის დაინტერესებას საკუთარი პროფესიული განვითარებით; კოლეგებთან თანამშრომლობას მოსწავლეთა სასწავლო და აღმზრდელობითი პრობლემების დაძლევის, პროფესიული საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარებისათვის" (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი).

ბავშვის სწავლება და აღზრდა ძირითადად ისეთ სოციალურ ინსტიტუტებში ხორციელდება, როგორიცაა ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა...

მართებული არ იქნება ვიფიქროთ, რომ აღმზრდელობითი პროცესი მხოლოდ კლასგარეშე გაკვეთილების შემდეგ უნდა წარიმართოს და მასზე პასუხისმგებლობას მხოლოდ კლასის დამრიგებელი უნდა ატარებდეს, სხვა მასწავლებლები კი გაკვეთილებზე მხოლოდ საგნობრივი შინაარსის ათვისებაზე უნდა ზრუნავდნენ. მცდარია ის მიდგომაც, რომ საგნობრივი სწავლების დროს აღმზრდელობითი მუშაობა ხელს უშლის კონკრეტული გაკვეთილის შინაარს, რადგან შინაარსთან დაკავშირებულ აქტივობებს ართმევს დროს.

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში კლასგარეშე მუშაობას ყველაზე მოკრძალებული დრო ეთმობა, ძირითადი დრო გაკვეთილებზე მოდის. განმავითარებელი სწავლება, რომელსაც ესგ პრიორიტეტად აღიარებს, შეუძლებელია არ იყოს აღმზრდელობითი. ხარისხიან საგანმანათლებლო პროცესში გაკვეთილის გეგმაში აღმზრდელობითი მიზნებიც უნდა აისახოს, ისევე როგორც კითხვის საათსა თუ სხვა კლასგარეშე აქტივობაში. გაკვეთილზე დიდი შესაძლებლობა იქმნება მოსწავლის პიროვნული თვისებების გამოკვეთა-განვითარებისათვის და ეს სულაც არ ითხოვს დროის განსაკუთრებულ ხარჯვას, რადგან პროცესი საგნის სწავლების პარალელურად მიმდინარეობს. მაგალითისათვის, როცა კონკრეტული თემის სწავლებისას (ნებისმიერ საგანში) პედაგოგი იყენებს განმავითარებელი შეფასების ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორიც თვითშეფასება ან ურთიერთშეფასებაა, ამ ინსტრუმენტების გამოყენებით, არა მარტო საგნის სწავლებას ეწყობა ხელი, არამედ მოსწავლის პიროვნული განვითარების გზაზეც იდგმება ნაბიჯები. მთავარია, პედაგოგმა თვალი მიადევნოს პროცესს, დროული მინიშნებები გააკეთოს და ამით თავისი წვლილი შეიტანოს სამართლიანი, ობიექტური, პირუთვნელი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ჯგუფური მუშაობის დროს, ქართულსა თუ მათემატიკაში, იწრთობა თუ არა გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობის, სხვათა აზრის პატივისცემის თვისებები? განა ნებისმიერ საგანში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის გაწეული ძალისხმევა მომავალ მოქალაქეს მეტად ღირსეული უნარის გამოცდილებით სწავლას არ უწყობს ხელს, რომ აღარაფერი ვთქვათ, კონკრე-

ტული საგნის (ბიოლოგია, ქიმია, გეოგრაფია) გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ეკოლოგიური წიგნიერების კომპეტენციად ჩამოყალიბებაზე.

სქემაში ჩართული მასწავლებლის პორტფოლიოში თავმოყრილ დოკუმენტებში ამგვარი სააღმზრდელო მიზნებისა და მისი გაკვეთილზე მიღწევის გზების გამოკვეთა პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, პატარა კვლევები ამ მიმართულებით, კოორდინირებული მუშაობის დაგეგმვა და განხორციელება სხვა კოლეგებთან (კლასის დამრიგებელი, სხვა საგნის პედაგოგები) პედაგოგის პროფესიული დონის კარგი მახასიათებელი იქნება.

მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას, მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობას გააზრებული დაგეგმვა სჭირდება. განსხვავებით ჩვეულებრივი სასწავლო მიზნებისაგან ეს მიზანი უფრო გრძელვადიანია და შედეგზე გასასვლელად მეტი მოთმინება და დროა საჭირო. აქ სხვადასხვა საგნის გაკვეთილზე, კლასგარეშე აქტივობებზე მიღებული გამოცდილება ერთმანეთს ემატება და საბოლოო შედეგთან აახლოებს მოსწავლეს. თუმცა აღზრდასთან დაკავშირებით სიტყვა „საბოლოო“ ძალიან პირობითია, რადგან ეს მუდმივი და განახლებადი პროცესია.

სპეციალისტები ასაბუთებენ, რომ აღზრდა წარმოუდგენელია ცოდნის გარეშე, რადგან იმ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რითაც აღზრდის შედეგებს ვაფასებთ, აუცილებელია გარკვეული სახის ცოდნა. მათივე აზრით, ერთნაირად საშიშია უზნეო პროფესიონალი და კეთილშობილი უვიცი. ანუ სწავლება და აღზრდა, როგორც ერთი მთლიანობის ორი მხარე, ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მოსწავლისათვის გაკვეთილი მარტო სწავლის ორგანიზების ფორმა ხომ არ არის, ეს მისი ცხოვრების ნაწილიცაა, მისი გამოცდილებაა ურთიერთობებში. მასწავლებლის ამოცანაც ის არის, რომ ყოველი 45 წუთი ეთიკური ურთიერთობების არეალად აქციოს. კლასში მასწავლებელი მარტო სწავლების ორგანიზებას კი არა, მოსწავლეთა შორის ურთიერთობების ორგანიზებასაც ახდენს.

რამდენიც არ უნდა ისაუბრონ მეცნიერებმა ჰუმანური განათლების, თანამშრომლობითი სწავლების, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თეორიებზე, ფაქტი ფაქტად რჩება, სასკოლო სივრცე პრაქტიკულ გარდაქმნას მოითხოვს და ამ გარდაქმნის აუცილებლობა მთავარი მოქმედი პირის - მასწავლებლის - ახალ მოთხოვნებთან ჰარმონიზაციაა. ანუ კონკრეტული სკოლისა და კონკრეტული საკლასო ოთახის ,,კლიმატი" იმ პედკოლექტივისა და პედაგოგის მიერ ცოდნაზე, უნარ-ჩვევების შეძენასა და ღირებულებების აღიარებაზეა დამოკიდებული, რომელიც პროცესის წარმმართველია.

პედაგოგებთან ხშირად აღგვინიშნავს, რომ ათასგვარი პრობლემებით თავმობეზრებულები, როცა გადაწყვეტილების მიმღები პირების უნიათობაზე, უსამართლობასა და ძალადობრივ ქცევაზე საუბარს ვიწყებთ, გვახსოვდეს, რომ მათ აღზრდაში პედაგოგების „წვლილიცაა“ – ისინი ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულები არიან და მათში არეკლილია სკოლაში გატარებული დროის შედეგებიც. ამიტომაც, რამდენად დემოკრატიულად და კეთილგანწყობით მივუდგებით მოსწავლეებთან ურთიერთობას, იმდენად გავზრდით სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ესეც აღზრდის ნაწილია, მაგალითით აღზრდის ნაწილი.

ძალადობის მსხვერპლი ხომ პოტენციური მოძალადეა. წარმოიდგინეთ, კლასში ჩვენ მიერ გამოყენებული მიდგომა: არაკეთილმოსურნეობა, არაკორექტული მიმართვები, „ყურის მოწიწკვნა", სხვადასხვა სასჯელები ბუმერანგივით უბრუნდება გარემოცვას, საზოგადოებას.

**„მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას, მისი პიროვნული განვითარების ხელშეწყობას გააზრებული დაგეგმვა სჭირდება. განსხვავებით ჩვეულებრივი სასწავლო მიზნებისაგან ეს მიზანი უფრო გრძელვადიანია და შედეგზე გასასვლელად მეტი მოთმინება და დროა საჭირო.“**



ანი კოპალიანი

# ისინი ვინც თამაშის წესებს ცვლიან

**ამ სტატიაში წარმოგიდგენთ ინტერვიუს იმ ცხრა ვიზიონერთან, რომლებიც თანამედროვე სამყაროში მსოფლიო განათლების რევოლუციონერებად გვევლინებიან. ისინი სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, ზოგი მათგანი სწავლების ციფრულ მომავალს ქმნის, ზოგი კი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სკოლაში სიარულის ხელმისაწვდომობას ისახავს მიზნად, თუმცა საბოლოო ჯამში ყველა მათგანი ერთ მიზანს ემსახურება: მსოფლიოს ყველა ბავშვს მიეცეს საშუალება 21-ე საუკუნის განათლება მიიღოს.**

## 1 ჯიმი უელსი

*ვიკიპედიისა და „ვიკიმედიის ფონდის" თანადამაარსებელი, აშშ*

თოთხმეტი წელი, 37 მილიონზე მეტი სტატია (და ეს – ჯერჯერობით) მსოფლიოს 286 ენაზე – ვიკიპედიის ვებგვერდი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და გავლენიან სასწავლო რესურსად იქცა. ამ ყველაფერს საფუძველი დაუდო მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, ჯიმი უელსის ერთადერთმა, სრულიად უბრალო ოცნებამ: „წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, მსოფლიოს ყველა ადამიანს უფასოდ რომ მიუწვდებოდეს ხელი მთელი იმ ცოდნის მარაგზე, რომელიც კაცობრიობას დღემდე დაუგროვებია".

„ის თავდაპირველი ენთუზიაზმი ჯერაც არ გაგვნელებია", – ამბობს უელსი, რომლის პირველი ვებპროექტი ნუპედია, უფასო ენციკლოპედია, რომელიც ექსპერტების მიერ შექმნილი სტატიებით იყო დაკომპლექტებული, 2001 წელს დაემატა ინტერნეტსივრცეს: ,,ეს არ იყო უეცარი მიგნება, ეს ჩვენი დიდი ხნის სურვილი გახლდათ, – სწორედ იმიტომ მიაღწია ამხელა წარმატებას თითქმის მყისიერად, რომ ჭეშმარიტად დიდი იდეები ადამიანების მხარდაჭერას უცებ მოიპოვებენ".

ვიკიპედიამ სრულიად გადაასხვაფერა ონლაინ სწავლება და სექტორში წამყვან პოზიციას დღემდე არავის უთმობს, თავის „კურდღლის სოროებში" ბმულების მეშვეობით ყოველთვიურად მილიონობით ვიზიტორს იტყუებს, რათა მათ ახალი იდეები, ადგილები, ადამიანები და ინფორმაცია აღმოაჩენინოს. არც ერთი საშინაო დავალება აღარ ითვლება სრულყოფილად, თუ მისმა შემსრულებელმა ეს საიტი არ მოინახულა და თუმცა მასწავლებლები ვიკიპედიის პოპულარობას ორლესურ მახვილს ადარებენ, მისი როლი ზოგადსაკაცობრიო ცოდნის თავმოყრის თვალსაზრისით ეჭვს აღარ იწვევს.

ამ საიტის არსებობა ძალიან მოტივირებული და მაღალი ერუდიციის მქონე ადამიანთა ჯგუფის დამსახურებაა: „ჩვენ ნამდვილად გვყავს რამდენიმე თანაშრომელი, – ამბობს უელსი, – მაგრამ შესავალ გვერდებს მოხალისეების მთელი არმია წერს, დაწყებული ახალგაზრდებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ საკითხმა ძალიან გაიტაცათ, დამთავრებული პენსიაში გასული სწავლულებით, რომლებსაც სურთ, რომ ინტელექტუალური საზოგადოების განუყოფელ ნაწილად დარჩნენ".

თუმცა უელსს, რომელიც დოქტორანტურაში (რომელიც მას არასოდეს დაუმთავრებია) ინდიანისა და ოსბორნის უნივერსიტეტებში სწავლობდა, სჯერა, რომ არსებობს განათლების ბევრად უკეთესი გზები, ვიდრე ფაქტების „ძველმოდური" დასწავლაა. „სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ როგორ მოიძიონ ცოდნა, როგორ განვითარდნენ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დახმარებით", – ამბობს ის, – „შესწავლილი მასალის უდიდეს ნაწილს ბავშვები უკვე აღარ იღებენ ფორმალურ გარემოში. ისინი თავისით უფრო მეტ ცოდნას იძენენ, ვიდრე – სკოლაში. ეს მართლაც საკმაოდ კრიტიკული დაკვირვებაა. ეს დიდი ცვლილებაა".

მას შემდეგ, რაც „ვიკიმედიის ფონდის" ვიკიწიგნების პროექტი მუშაობს მსოფლიოს უღარიბეს კუთხეებში მცხოვრები მოსწავლეებისათვის უფასო სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო რესურსების შექმნაზე, უელსი აღიარებს, რომ ინტერნეტზე წვდომის პრობლემა ყველაზე მეტად აფერხებს განათლებას: „მაგრამ ეს მდგომარეობაც იცვლება, თანაც უფრო სწრაფად, ვიდრე ამას ადამიანთა უმრავლესობა წარმოიდგენს. მხოლოდ დროის ამბავია, რომ ინტერნეტიც ისევე საყოველთაოდ გავრცელდეს, როგორც რადიო და ტელევიზია. ეს საფუძველს მისცემს უამრავ სოციალურ ძვრას, რომლებიც საოცარ შედეგამდე მიგვიყვანს".

ინტერნეტსამყაროს მთავარი ხიბლი, უელსის აზრით, ისაა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია უშუალოდ ჩაერთოს და წვლილი შეიტანოს კაცობრიობის წინსვლაში.

„ჩვენ ინტერნეტის განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე ვართ, ჩემი აზრით, ეს ჯერ კიდევ ის დროა, როდესაც ადამიანების მცირე ჯგუფს მართლა დიდი და საქვეყნოდ აღიარებული საქმეების კეთება შეუძლია. და ამ საქმეების დაწყება ახლა ბევრად უფრო ადვილია, ვინაიდან ყველა ბარიერი ჩვენს დროში გაცილებით იოლი დასაძლევია“.

## 2 სალმან კხანი

***კხანის აკადემიის დამაარსებელი, აშშ***

სალმან კხანს დიდი გეგმები აქვს; იგი არ სჯერდება არაკომერციულ ონლაინ „სკოლას“, რომელსაც „კხანის აკადემია“ ეწოდება და რომელიც თვეში ექვს მილიონზე მეტი უნიკალური მომხმარებლით იწონებს თავს, მას ასევე სურს რევოლუციურად შეცვალოს სასკოლო განათლების მიღების წესებიც.

– დღესდღეობით, – ამბობს კხანი, – საკლასო ოთახებში გატარებული დრო ყველასათვის საერთოა, შედეგი კი – განსხვავებული. ვფიქრობ, ეს მოდელი უნდა შეიცვალოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომით, რომლის მიზანიც ცოდნის კონკრეტული დონის მიღწევა იქნება, ხოლო საკლასო ოთახში გატარებული დრო კი ყველასთვის განსხვავებული გამოვა.

– საკლასო ოთახში მიმდინარე სწავლების პროცესიც მნიშვნელოვნად შეიცვლება, იგი აღარ იქნება ლექციის ტიპის, – ამბობს კხანი, – მოსწავლეები აღარ ისხდებიან პასიურად მერხებზე და ჩანაწერებს აღარ გააკეთებენ. მთელი კლასი ერთსა და იმავე გვერდზე აღარ იქნება გაჩერებული. ამ მოდელის მიხედვით მოსწავლეები თავიანთ მიზნებს თავადვე მიაღწევენ მასწავლებლისა თუ თანაკლასელების დახმარებით. დღევანდელი განათლება ეფუძნება იმას, რომ მასწავლებლები მთელ დროს ლაპარაკსა, ახსნასა და მოსწავლეების კეთილგანწყობის მოპოვებას უთმობენ“.

ამ სეისმური ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ძალა, კხანის აზრით, იქნება ტექნოლოგიების გამოყენება იმის გასაგებად, რა იციან სტუდენტებმა და რა უნდა ისწავლონ ამის შემდეგ. „კხანის აკადემიის“ პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა, რომელიც ეფუძნება „მაიკროსოფტისა“ და „გუგლის“ ერთობლივ სარისკო წამოწყებას „სათადარიგო ოთახის პროექტს“ და რომელსაც ქება შეასხეს TED-ის (სატელევიზიო პროგრამა, რომელიც ახალ იდეებს მიმოიხილავს) საუბრებში და მოიწონეს მთელი მსოფლიოს განათლების ექსპერტებმა, უკვე კარგად გაკვალული ბილიკია ამ მიზნის მისაღწევად. „ეს არის პლატფორმა, რომელიც გისვამს რამდენიმე შეკითხვას, იგებს, რა დონეზე ხარ ამჟამად და ამაზე დაყრდნობით გთავაზობს ფრიად მომხიბვლელ სასწავლო გეგმას, რათა სწორ გზაზე დაგაყენოს. მას ასევე შეეძლება მოსწავლის მშობლებსა და მასწავლებლებს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ როგორი პროგრესი აქვს მოსწავლეს“, – განმარტავს კხანი.

კხანის აკადემია უკვე იქცა საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ მის დამაარსებელს სჯერა, რომ მისი

> **საკლასო ოთახებში გატარებული დრო ყველასათვის საერთოა, შედეგი კი – განსხვავებული. ვფიქრობ, ეს მოდელი უნდა შეიცვალოს შესაძლებლობებზე დაფუძნებული მიდგომით, რომლის მიზანიც ცოდნის კონკრეტული დონის მიღწევა იქნება, ხოლო საკლასო ოთახში გატარებული დრო კი ყველასთვის განსხვავებული გამოვა.**

შესაძლებლობები უსაზღვროა: „ერთი წლის წინ მონღოლი გოგონასაგან ვიდეოჩანაწერი მივიღე. დავასკვენი, რომ იგი, სულ მცირე, საშუალო ფენას ეკუთვნოდა, ვინაიდან ასე კარგად ლაპარაკობდა ინგლისურად და ინტერნეტზედაც ხელი მოუწვდებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოხალისეთა ჯგუფმა „სილიკონის ველიდან“ ობოლთა თავშესაფარში კომპიუტერული ლაბორატორია დააარსა. ეს გოგონა ობოლი იყო. ახლა კი იგი ჩვენი ვებსაიტის ნომერი პირველი ინფორმაციული რედაქტორია მონღოლურ ენაზე. ფილმში მოთხრობილ ისტორიას ჰგავს ის, რომ მონღოლელი ობოლი თავისი ხალხის მომავალს ქმნის“.

## 3 რობინ რიჩარდსონი

***შეისწავლის თანასწორობასა და განსხვავებულობას განათლების სფეროში; დიდი ბრიტანეთი***

– ყველა ბავშვს, რომელიც კი საკლასო ოთახის ზღრუბლს გადააბიჯებს, ერთნაირად უნდა ექცეოდნენ. მაგრამ სამყაროში, სადაც რელიგიური დაპირისპირებები ანაწევრებენ საზოგადოების ქსოვილს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესაცვლელი, – ამბობს რობინ რიჩარდსო-

ნი, გლობალური განათლების წამყვანი ბრიტანელი თეორეტიკოსი. რელიგიური შეუწყნარებლობა, რიჩარდსონის აზრით, არასოდეს ყოფილა ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიც ახლაა. განსაკუთრებით დიდ საფრთხედ იგი ისლამოფობიას მიიჩნევს. რიჩარდსონი თავის კოლეგებთან ერთად  განათლების სფეროში გამეფებული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე მუშაობს, 1997 წელს იგი „რანიმიდ ტრასტთან“ (ბრიტანეთის წამყვანი ანალიტიკური ცენტრი, რომელიც თანასწორობისათვის იბრძვის – მთარგ. შენ.) თანამშრომლობდა, რის შედეგადაც გამოაქვეყნა კვლევა ანტიმაჰმადიანური სტერეოტიპების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა და მრავალ საერთაშორისო მოვლენას დაედო საფუძვლად 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ცნობილი ტერაქტის შემდეგ.

„ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველეთ, რაც მოხდა, თუმცა ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელიც იყო. ყველაფერი ეს: 11 სექტემბრის ტერაქტი, ლონდონის დაბომბვა 7 ივლისს, ერაყისა და ავღანეთის ინტერვენცია – ადამიანური წარმოსახვის მიღმიერი მოვლენებია“.

– საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება გვკარნახობს, რომ ანტიმაჰმადიანური სტერეოტიპების დასამარცხებლად საუკეთესო გზაა კარგად შევისწავლოთ ისლამი და ეს ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, – ამბობს რიჩარდსონი, – საყოველთაო შეხედულებებს, როგორც წესი, ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ხშირად ისინი მცდარია, თუ ჩვენ გვსურს შევისწავლოთ ისლამოფობიის მიზეზები, უნდა შევისწავლოთ ისლამოფობიის მიზეზები და არა – ისლამი. ისლამოფობიის კვლევა გარკვეულწილად ისლამის შესწავლასაც გულისხმობს, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და არც მის მთავარ პრიორიტეტად მოიაზრება.

რიჩარდსონის მოსაზრებით, ამ პრობლემის გადაჭრის გზა არის უზრუნველყოფა იმისა, რომ „სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელი ბავშვები იღებდნენ როგორც ემპირიულ, ასევე ინტელექტუალურსა და კოგნიტურ განათლებას და რაც მთავარია, იღებდნენ ერთად“.

## 4 როია მაჰბუბი

***კომპიუტერული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია „ავღანეთის ციტადელის“ დამაარსებელი, ავღანეთი***

როია მაჰბუბი და მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსულტანტების გუნდი, რომელიც უმთავრესად ქალებისაგან შედგება, ანგრევენ ავღანეთის განათლებაში არსებულ გენდერულ ბარიერებს, ისინი ქმნიან ახალ სასწავლო ტექნოლოგიებს, რომლებიც მალე უნდა იქცეს წამყვან მიმართულებად არა მხოლოდ ავღანეთის, არამედ მასზე უფრო განვითარებული ერებისთვისაც. „განათლების ჩვენეული ხედვა გულისხმობს უშუალო კავშირს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ციფრულ მედიასა და პროფესიულ სერვისებს: ბლოგებს, სოციალური მედიას, კინოფილმების

> **„განათლების ჩვენეული ხედვა გულისხმობს უშუალო კავშირს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ციფრულ მედიასა და პროფესიულ სერვისებს: ბლოგებს, სოციალური მედიას, კინოფილმების შექმნასა და კომპიუტერული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას შორის.“**

შექმნასა და კომპიუტერული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას შორის“, – ამბობს ის.

მაჰბუბისათვის ყველაზე დიდი მოტივატორია ის, რომ საკუთარი გამოცდილებით იცის „სოციალური მედიისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უზარმაზარი შესაძლებლობების“ შესახებ:

– ვფიქრობდი, რომ ამით ავღანელ ქალებს დავეხმარებოდი გაძლიერებულიყვნენ და საკუთარი ცხოვრება შეეცვალათ, – ამბობს იგი.

– ავღანეთში განათლება უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ მისი მიღების შესაძლებლობა ჯერაც საზოგადოებრივსა და ოჯახურ ტრადიციებზეა დამოკიდებული, იმაზე, დართავენ თუ არა ოჯახები თავიანთ ქალიშვილებს სწავლის გაგრძელების ნებას, – აგრძელებს როია.

– ტრადიციული საზოგადოებისა და კულტურის მხარდამჭერები ფიქრობენ, რომ ქალებისათვის განათლების მიცემა არცთუ კარგი აზრია.

მაჰბუბი მთელს ავღანეთში ორმოცი ინტერნეტით აღჭურვილი საკლასო ოთახის მოწყობას გეგმავს, სადაც ათასობით მდედრობითი სქესის მოსწავლეს საშუალება ექნება მიიღოს განათლება და ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყაროს. ინტერნეტქსელის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს მაჰბუბის ინტერნეტარხი „ქალების კუთხე“, მრავალენოვანი ბლოგი, ვიდეოსაიტი და „ეგზამერი“ – ვებსაიტი ინტერაქტიური სწავლებისათვის.

„მოსწავლე გოგონებს შესაძლებლობა მიეცემათ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ და მიიღონ შემოსავალი, რომლითაც ოჯახს მატერიალურად დაეხმარებიან, თანაც ეს ისე, რომ ადგილობრივ ტრადიციებსაც გაუწიონ ანგარიში. ამგვარად ისინი შეცვლიან კულტურას და ავღანეთის ეკონომიკის გაუმჯობესებაში თავიანთ წვლილს შეიტანენ“.

იმას, რომ ტექნოლოგიების განვითარება დემოკრატიულ პროცესებსა და ერების დაახლოებას უწყობს ხელს, ისიც ადასტურებს, რომ მაჰბუბის იდეებმა და ოცნებებმა შეიძლება მისი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გააუმჯობესოს ადამიანების ცხოვრება: „ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსწავლეებისათვის ინტერნეტი ხდება ხელმისაწვდომი, ასე რომ მათ ეძლევათ საშუალება მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის დახმარებით შეასხან ხორცი საკუთარ იდეებს“.